CYAN BLACK

# საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.





ოთხშაბათი, 22 სექტემბერი, 2004 წელი. №220 (4949) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, აღდგენილია 1990 წელს. * ფასი 50 თეთრი

◉ სწავლა სიკვდილამდე შენია

# იფიქრე იმაზე, რომ ღმერთმა შენ დაგაკისრა ხვალინდელი დღის შექმნა



**გაბრიელა მისტრალი (1889-1957) პაბლო ნერუდასთან ერთად ჩილეს თანამედროვე პოეზიის ფუძემდებელია. ლათინური ამერიკის მწერალთაგან პირველს მიენიჭა ნობელის პრემია (1945 წელს).**

როგორც ამ დიდი ჩილელი მწერლის ესპანურიდან ქართულად ბრწყინვალედ მთარგმნელი მანანა გიგინეიშვილი წერს ახლახან გამოცემული მწერლის მცირე ნაწარმოებების კრებულში, გაბრიელა მისტრალი დაიბადა მასწავლებლის ოჯახში. დედა ბასკური წარმომავლობისა იყო, მამა – ამერიკის ინდიელთა შთამომავალი. მისი ნამდვილი სახელი და გვარია ლუსილა გოდოი ალკაიაგა. 17 წლისა იყო, სოფლის მასწავლებლობა რომ დაიწყო, მას შემდეგ წლების განმავლობაში ასწავლიდა ჩილეს სხვადასხვა სოფლებისა და ქალაქების სკოლებში. მან დიდი კვალი დაამჩნია ჩილეს საგანმანათლებლო სისტემას, მონაწილეობდა მექსიკის განათლების სისტემის გარდაქმნაშიც; ესპანური ლიტერატურის კურსს კითხულობდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და პუერტო რიკოს უნივერსიტეტებში; საპატიო დოქტორი იყო ჩილეს, ამერიკის შეერთებული შტატების, ესპანეთის, იტალიის, კუბის მრავალი უნივერსიტეტისა; ეწეოდა დიპლომატიურ მოღვაწეობასაც – ჩილეს კონსული იყო ესპანეთსა და პორტუგალიაში.

„მან გამაოგნებელი გულახდილობით გადაგვიშალა ქალის სულიერი სამყარო, – წერდა პაბლო ნერუდა, – გაბრიელა მისტრალის პროზა არის ყველაზე უფრო სულისშემძვრელი პოეზია“.

თამამად უნდა ითქვას, რომ მანანა გიგინეიშვილმა ჩვეული ოსტატობით შეძლო ამ „ყველაზე უფრო სულისშემძვრელი პოეზიის“ ქართულად აჟღერება და ცალკე კრებულად გამოცემა (პოემები, პროზა და მოთხრობები).

ქვემოთ, როგორც პირველი სასკოლო ზარის შეხმიანებას, გთავაზობთ გაბრიელა მისტრალის ორი პატარა ქმნილების მანანა გიგინეიშვილისეულ თარგმანს აღნიშნული ქართული კრებულიდან.

იხ. მე-8 გვ.



## მასწავლებლის ათი მცნება

1. გიყვარდეს მთელი გულითა და სულით. თუ სიყვარული არ შეგიძლია, ნუ ასწავლი ბავშვებს.
2. ასწავლე სადად, უბრალოდ, ისე რომ მთავარი არ გაგეფანტოს.
3. გაიმეორე, როგორც ბუნება იმეორებს, ვიდრე არ მიაღწევ სრულყოფილებას.
4. ასწავლე ისე, რომ გახსოვდეს მშვენიერება, რადგან იგი დედაა ყოველივესი.
5. იყავი გულანთებული. ლამპრები რომ აანთო, ცეცხლი უნდა გქონდეს გულში.
6. სული შთაბერე გაკვეთილს. ყოველ გაკვეთილს სული უნდა ედგას ცოცხალ არსებასავით.
7. იზრუნე შენი სულის ამაღლებაზე. რომ გასცე, უნდა გქონდეს.
8. გახსოვდეს, შენი პროფესია ხელობა კი არა, — ღვთისმსახურებაა.
9. ყოველდღე, გაკვეთილის დაწყებამდე, საკუთარ სულში ჩაიხედე, წმინდა თუ გაქვს გული.
10. იფიქრე იმაზე, რომ ღმერთმა შენ დაგაკისრა ხვალინდელი დღის შექმნა.

## ნომერში წაიკითხავთ:


### ომში ერთგულებს უშვებენ



პროკურატურაში ცვლილებებია: თანამშრომელთა რაოდენობა შემცირდა, რაიონული სტრუქტურები კი შეერთდა. რა სიკეთეს მოგვიტანს ასეთი სიახლე? ამის შესახებ საუბრობს გურჯაანის რაიონის პროკურორი ალექსანდრე ფერიაშვილი.
მე-3 გვ.

### ქვათა სამოთხეები



არსად ისე მძაფრად და თვალნათლივ არ შეიგრძნობა ჩვენი ქვეყნის სიძველე და წინაპართა სუნთქვა, როგორც მაღალი კლდეებით შემოზღუდულ მტკვრის ხეობაში.
მე-4-8 გვ.

### აი, სად უნდა ვეძიოთ კრიზისის ფესვები



საკუთარი ენერგომეურნეობა უნდა მოვაწყოთ როგორც ჰიდრორესურსების, ისე ენერგიის სხვა არატრადიციული განახლებადი წყაროებით.
მე-3-4 გვ.

### რა გახდა ეს კოლორადოს ხოჭო?



საქართველოში შექმნილი ბიოპრეპარატი, რომელიც ანალოგიურ უცხოურ პრეპარატებზე 4-ჯერ იაფია, მიუხედავად მისი ავტორების დიდი მცდელობისა, ჩვენს ქვეყანაში ჯერაც არ დანერგილა.
მე-4-6 გვ.




◉ შევეწიოთ!

## სამების ტაძარი საუკუნის მშენებლობაა

ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ:

| | |
|---|---|
| რ. ქართველიშვილი, ა. ჩხიკვაძე | – 183,50 ლარი; |
| ავთანდილ წამალაშვილი | – 100 ლარი; |
| აკა, ლიკა, სოფო და მარიამ მიქელაშვილები | – 15 ლარი; |
| გოჩა ქალებაშვილი | – 100 ლარი; |
| გიორგი თათრიშვილი | – 100 აშშ დოლ. |
| ყულაბებიდან | – 1278, 58 ლარი; |
| | – 136 აშშ დოლ. |

◉ ინფორმაცია

### გასვლითი სხდომა – ოსიაურში

**საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის გასვლითი სხდომა დღეს ხაშურის რაიონის სოფელ ოსიაურში გაიმართება, სადაც არსებულ სამხედრო ნაწილში ამჟამად რამდენიმე პარლამენტარი მსახურობს. კომიტეტის დღის წესრიგში სულ ექვსი საკითხის განხილვაა შეტანილი.**

**კომიტეტი საქართველოს პრეზიდენტის მიერ აკრედიტაციისთვის წარმოდგენილ შეთანხმებას განიხილავს, რომელიც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და ლატვიის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს შორის სამხედრო აღჭურვილობის გარანტიის სახით გადაცემას ეხება.**

**გარდა ამისა, კომიტეტი „ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ“ ახალ კანონპროექტს განიხილავს, რომელიც საქართველოს მთავრობამ რამდენიმე კვირის წინათ უკან გაიწვია და შემდეგ ახალი სახით წარადგინა პარლამენტში.**

**კომიტეტი ოსიაურში „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ კანონპროექტში შესატან ცვლილებებს მეორე მოსმენით განიხილავს და მესამე მოსმენისთვის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გასატანად მოამზადებს.**

### თანამშრომლობის შემდგომი განვითარება-გაფართოებისთვის

**გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ აშშ-ს ანტიტერორისტული კოალიციის უწყებათაშორისი ჯგუფი მიიღო. შეხვედრაზე საქართველოსა და ამერიკას შორის თავდაცვისა და უშიშროების სფეროებში თანამშრომლობის შემდგომ განვითარება-გაფართოებასთან ერთად, ერაყში მიმდინარე სამშვიდობო მისიაზეც ისაუბრეს.**

**ზურაბ ჟვანიას განცხადებით, ამერიკის მთავრობა კმაყოფილია ერაყში სამშვიდობო მისიით მყოფი ქართველი სამხედროებით და მზად არის მათ ნებისმიერი სახის თანადგომა და მხარდაჭერა აღმოუჩინოს. ამერიკული დელეგაციის ხელმძღვანელის სტივენ პაიფერის თქმით, ქართველი და ამერიკელი სამხედროების თანამშრომლობა ერაყში ორივე მხარისთვის სასარგებლოა და ის მომავალშიც ინტენსიურად გაგრძელდება.**



### თბილისის ბიუჯეტის ხარჯზე

**საკრებულოს გუშინდელი გადაწყვეტილებით, მომავალი წლიდან თბილისში მცხოვრები I და II ჯგუფის ინვალიდები, მარტოხელა დედები, მარჩენალდაკარგული და ინვალიდი ბავშვები თბილისის ბიუჯეტის ხარჯზე კომუნალური მომსახურების შეღავათებით ისარგებლებენ.**

**საკრებულოს გადაწყვეტილებით, ზემოთ აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეებისთვის წყლის, ბუნებრივი აირის და საოჯახო საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ხარჯებს ბიუჯეტი გაიღებს.**

**საკრებულოს ჯანდაცვის, სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლებისა და სპორტის მუდმივმოქმედი კომისიის გათვლებით, აღნიშნული შეღავათებისთვის მუნიციპალიტეტიდან დამატებით 1 მლნ 500 ათასი ლარის გამოყოფაა საჭირო.**

**საკრებულოს გუშინდელი გადაწყვეტილებითვე, ცხინვალის რაიონის სოფელ ქურთის საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალისთვის თბილისის ბიუჯეტიდან 5000 ლარი გამოიყოფა.**

**ინტერ-პრესი.**





მინანქარი, თექა, გობელენი, ვერცხლში და ოქროში მოჭედილი და ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ლოცვანი, სახარება, ბიბლია და „ვეფხისტყაოსანი" ანტიკური პერიოდის სამარხებიდან მოპოვებული ოქროსა და ვერცხლის ნაწარმის ასლები, ძველი ქართული საბრძოლო იარაღი.

ყველაფერი ეს შეგიძლიათ შეიძინოთ ახალ სამხატვრო სალონ „მ. ART-ია"-ში.

გაიცემა სერტიფიკატი.

ლესელიძის ქ. 28. ტელ: 899 18-31-84, 877 44-80-60.


◉ აქტუალური თემა

# კარგია თუ ცუდი საქართველოსთვის რუსეთის დაშლა?

იხ. მე-2 გვ.

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

„ვრემია ნოვოსტეი“,
2004 წლის 21 სექტემბერი.
მიხეილ ვიგნანსკი, თბილისი.

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

# აფხაზური მარათონი

## საპრეზიდენტო რბოლაში ხაჯიმბა და ბაღაფში დაწინაურდნენ

**გადამწყვეტ ფაზაში შევიდა აფხაზეთის პრეზიდენტის არჩევნების კამპანია – 20 სექტემბრიდან თვითაღიარებული რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიოს პირდაპირ ეთერში გადაიცემა თოკ-შოუ „დროა, ავირჩიოთ“ ხუთივე კანდიდატის მონაწილეობით. სააგიტაციო-პოლიტიკური სერიალი 24 სექტემბერს დასრულდება. არჩევნები კი 3 ოქტომბრისთვის არის დანიშნული.**

ორშაბათის შოუში გამოვიდა ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრი რაულ ხაჯიმბა – აფხაზეთში 90-იანი წლების დამდეგიდან უცვლელი მმართველის ვლადისლავ არძინბას ფავორიტი. საპრეზიდენტო რბოლაში მონაწილეობენ აგრეთვე ორი ყოფილი პრემიერი – სერგეი ბაღაფში და ანრი ჯერგენია, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა და აფხაზეთის სახალხო პარტიის პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარე იაკუბ ლაკობა. გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი აქვთ 46 წლის რაულ ხაჯიმბას და 55 წლის სერგეი ბაღაფშს.

18 აგვისტოს ვლადისლავ არძინბამ მოქმედ პრემიერს თავისი მემკვიდრე უწოდა. ათი დღის შემდეგ კი რაულ ხაჯიმბა სოჭში მიიღო რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა, რამაც თბილისის უკმაყოფილება გამოიწვია. შუა 1980-იან წლებში აფხაზთა პრემიერი სწავლობდა მინსკში, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის უმაღლეს კურსებზე, შემდეგ მსახურობდა მშობლიური ტყვარჩელის რაიონის უშიშროების ორგანოებში. 1992-93 წლებში იგი აქტიურად იბრძოდა ქართული არმიის წინააღმდეგ, რისთვისაც დაიმსახურა აფხაზთა უმაღლესი ჯილდო – ლეონის ორდენი. 1992-2001 წლებში ხაჯიმბა სათავეში ედგა აფხაზთა უშიშროების სამსახურს, შემდეგ კი ერთმანეთს უთავსებდა მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და თავდაცვის მინისტრის პოსტებს. პრემიერად იგი დანიშნეს 2003 წელს. ხაჯიმბა მხარს უჭერს აფხაზეთის გაერთიანებას „რუსეთთან სავალუტო და საბაჟო კავშირში, კოორდინირებული პოლიტიკის განხორციელებას თავდაცვისა და უშიშროების სფეროებში“, ოღონდ იმ პირობით, რომ თვითაღიარებულმა რესპუბლიკამ უნდა შეინარჩუნოს დამოუკიდებლობის სტატუსი.

თბილისში ვარაუდობენ, რომ სერგეი ბაღაფშთან მორიგების მიღწევა უფრო ადვილი იქნება. 1970 წელს იგი საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში ხელმძღვანელობდა მუშა და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებას და აქამდე აქვს პირადი კავშირები თავისი თაობის ქართული პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებთან. კონფლიქტის დროს ბატონი ბაღაფში მუშაობდა აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ, შემდეგ ასრულებდა მოსკოვში თვითაღიარებული რესპუბლიკის წარმომადგენლის ფუნქციას. პრემიერი იგი გახდა 1997 წელს და ამ თანამდებობაზე 1999 წლამდე დაჰყო. ეს პერიოდი აღინიშნება აქტიური ქართულ-აფხაზური კონტაქტებით – დოკუმენტიც კი მზადდებოდა თბილისისა და სოხუმის პოლიტიკური თანაარსებობის შესახებ, თუმცა იგი ხელმოუწერელი დარჩა. თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ, ბაღაფში სათავეში ჩაუდგა სოხუმის „ჩერნომორენერგოს“ კომპანიას.

ბაღაფშის მეუღლე ეროვნებით ქართველია. ეს ბაღაფშის მომხრეებს უსახავს აფხაზეთის გალის რაიონის ქართველი მოსახლეობის ხმების მოპოვების იმედს, თუმცა, ოპონენტებიც არაორაზროვნად მიანიშნებენ, რომ კანდიდატმა, შესაძლოა, გადაუხვიოს აფხაზეთის დამოუკიდებლობის იდეას. მაგრამ, სერგეი ბაღაფშმა განაცხადა, რომ „აფხაზეთის ხალხმა გააკეთა საბოლოო არჩევანი – ჩვენ დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ“.

იხ. მე-2 გვ.

## ინტერპანორამა

**სირიამ დაიწყო თავისი ჯარების დისლოცირების შეცვლა ლიბანში. ამჟამად ქვეყნის დედაქალაქ ბეირუთიდან გამოჰყავთ 3 ათასამდე სირიელი სამხედრო მოსამსახურე. ისინი გადაჰყავთ დედაქალაქიდან მოშორებით, ლიბანის აღმოსავლეთ საზღვრებთან, დამასკოს ჯარები გააკონტროლებენ მხოლოდ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ბეკაას დაბლობს.**



**წლეულს რიო-დე-ჟანეიროს სანაპიროზე დაიჭირეს 23 პინგვინი, რომელთა უმეტესობა სტრესულ მდგომარეობაში, ძალიან გამოფიტული იყო. ვეტერინარებმა შეძლეს მხოლოდ 13 ფრინველის გადარჩენა. 11 მათგანი სამხედრო თვითმფრინავით ანტარქტიდაში გაგზავნეს, ორს ჯერ კიდევ მკურნალობენ.**



**84 წლის გენერალი, AK ავტომატის შემქმნელი კალაშნიკოვი მოგვევლინა ახალი არყის შემქმნელ პირად. მისი სიმაგრე 41 გრადუსია. არაყს ხდიან რუსეთში, ბოთლებს აკეთებენ გერმანიაში, სახურავები ჩამოაქვთ იტალიიდან, ეტიკეტები – შოტლანდიიდან, არაყს ფუთავენ ინგლისში.**




CYAN BLACK

საქართველოს რესპუბლიკა
№ 220, ოთხშაბათი, 22 სექტემბერი, 2004 წელი.

◎ პარლამენტის თავმჯდომარე

## „სამშობლო, ღირსება, მოვალეობა“

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე გუშინ საპატიო სტუმრის სტატუსით საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის ეროვნული აკადემიის 2004-2005 სასწავლო წლის საზეიმოდ გახსნის ცერემონიას დაესწრო, რომელიც ჩატარდა დევიზით – „სამშობლო, ღირსება, მოვალეობა“. ეროვნულ აკადემიაში უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ახალი სასწავლო ცენ-**



**ტრი გაიხსნა, აშენდა და გარემონტდა 600 კურსანტზე გათვლილი აუდიტორიები და მოსასვენებელი ოთახები, აგრეთვე, სამედიცინო ცენტრი.**

ნინო ბურჯანაძემ სასწავლო წლის დაწყება კურსანტებს და პროფესორ-მასწავლებლებს მიულოცა და აღნიშნა, რომ სახელმწიფო და მისი ხელისუფლება, როგორც ყოველთვის, დღესაც მზად არის ახალ, ძლიერ, ნატოს სტანდარტების შესაბამისად შექმნილ ქართულ ჯარს მხარში ამოუდგეს.

პარლამენტის თავმჯდომარემ წარჩინებულ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს სპეციალური ჯილდოები და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა, ჩაიბარა საზეიმო მარში.

### სასარგებლო თანამშრომლობა

**ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ მიიღო დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტული და კონსერვატიული პარტი-**ების წარმომადგენლები, დიდი ბრიტანეთის პარლამენტის წევრები.

როგორც სტუმრებმა შეხვედრისას აღნიშნეს, ამჯერად, ისინი „ვესტმინსტერის ფონდს“ წარმოადგენენ, რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზეა შექმნილი და დიდი ბრიტანეთის პარლამენტთან თანამშრომლობით, პარლამენტის შესაბამისი დემოკრატიული პროცესების განვითარებას უწყობს ხელს. სტუმრებმა სურვილი გამოთქვეს, საქართველოს პარლამენტს ამ მხრივ დაეხმარონ და პარლამენტის თავმჯდომარეს კონკრეტული წინადადებები გააცნეს.

ნინო ბურჯანაძემ ამ ინიციატივას სრულიად დაეთანხმა და აღნიშნა, რომ უდიდესი საპარლამენტო ტრადიციების მქონე დიდი ბრიტანეთის საკანონმდებლო ორგანოს გამოცდილება ჩვენი ქვეყნის გაცილებით ახალგაზრდა პარლამენტისთვის მეტად საყურადღებოა და ამ სფეროში ისეთი ორგანიზაციის ჩართვა, როგორიცაა „ვესტმინსტერის ფონდი“, კიდევ უფრო მეტად დაეხმარება ჩვენი ქვეყნის პროგრესულ და დემოკრატიულ განვითარებას.

### ყველა არგუმენტირებულ დასაბუთებას გაითვალისწინებენ

**გუშინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე საქართველოში მომუშავე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხელმძღვანელებს, მათივე ინიციატივის საფუძველზე შეხვდა. შეხ-**ვედრაზე განიხილეს კანონპროექტი „მაუწყებლობის შესახებ“, რომლის თაობაზეც პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის კომიტეტში შესული წერილობითი შენიშვნები უკვე მიიღება.

მოწვეულმა სტუმრებმა პროექტის ირგვლივ თავიანთი შენიშვნები და წინადადებები წარმოადგინეს.

უმრავლესობის აზრით, საზოგადოებრივი მაუწყებლობის ჩამოყალიბება და მთლიანად კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ დღევანდელი რეალობის მოთხოვნაა, თუმცა, პროექტმა არც ერთი კომპანიების და არც თავისუფალი სიტყვის პრინციპი უნდა დაარღვიოს.

ნინო ბურჯანაძის განმარტებით, პარლამენტში „მაუწყებლობის შესახებ“ კანონპროექტის განხილვა მხოლოდ ღიად და გამჭვირვალედ მოხდება. გათვალისწინებული იქნება ყველა არგუმენტირებული დასაბუთება.

### ლიბერალური საგადასახადო კოდექსისთვის

**ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის და გაზეთ „რეზონანსის“ ერთობლივი ორგანიზებით სასტუმროში „ქორთიარდ-მერიოტ“ გაიმართა სემინარი – მრგვალი მაგიდა თემაზე: „ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტის განხილვა“.**

სემინარზე მოწვეული სტუმრის სტატუსით პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე იმყოფებოდა, რომელმაც მისასალმებელ სიტყვაში განაცხადა, რომ საქართველოს პარლამენტს აღნიშნულ ინსტიტუტთან ხანგრძლივი თანამშრომლობა აკავშირებს, რაზეც ერთობლივი ღონისძიებების ჩატარებაც მეტყველებს.

„ხელისუფლება მზადაა, მოისმინოს და შესაძლებლობის ფარგლებში გაითვალისწინოს ის შენიშვნები და წინადადებები, რომლებსაც მეწარმეები და ბიზნესმენები წარადგენენ... პარლამენტმა უნდა მიიღოს ლიბერალური საგადასახადო კოდექსი, რათა ადამიანი, რომელიც კოდექსის მოთხოვნის შესაბამისად იცხოვრებს, ზეწოლისა და ნებისმიერი მაქინაციისგან ყოველმხრივ იყოს დაცული“, – განაცხადა სემინარზე პარლამენტის თავმჯდომარემ.

**პარლამენტის პრესსამსახური.**

◎ პრესკონფერენცია

## ხეობას მეტი ყურადღება სჭირდება



**ტერიტორიული მთლიანობის საკითხთა შემსწავლელმა კომისიის წევრებმა ლიახვის ხეობაში მცხოვრები ქართული მოსახლეობის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის თაობაზე პრესკონფერენცია გამართეს.**

როგორც კომისიის თავმჯდომარემ ვასილ მაღლაფერიძემ აღნიშნა, ყოფილ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ყოველი ქართველი, განუსაზღვრელად სქესისა და ასაკისა, ჯარისკაცად უნდა მივიღოთ, თითოეულ მათგანს, როგორც ფრონტის წინა ხაზზე მყოფ ადამიანს, ისე უნდა შევხედოთ და მთელი ძალები მათ დასახმარებლად მივმართოთ. ლიახვის ხეობის მაჟორიტარი დეპუტატის გურამ ვახტანგიშვილის აზრით, ლიახვის ხეობაში მოსახლეობა რისკის ქვეშ ცხოვრობს, საჭიროა, მათ მყარი უსაფრთხოების გარანტიები შევუქმნათ.

კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ ხელისუფლების მხრიდან გამოყოფილი ნახევარი მილიონი ლარი საკმარისი არ არის იმისათვის, რომ დაზარალებულ მოსახლეობას ზამთრისთვის ნორმალური პირობები შეუქმნან. მათ მოუწოდეს საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, ყველა დეპუტატს, ყოველ ბიზნესმენს, დახმარება აღმოუჩინონ იმ ქართულ მოსახლეობას, რომელიც შეიარაღებულ გარემოცვაში თავდასხმებისა და გატაცების დიდი რისკის მიუხედავად, არ აპირებს, დატოვოს თავისი მიწა-წყალი.

დასასრულს, კომისიის წევრებმა ჟურნალისტების შეკითხვებს ამომწურავად უპასუხეს.

◎ არჩევნები

## დაასახელეს დეპუტატობის კანდიდატები

**გუშინ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისში პრესკონფერენცია გაიმართა, სადაც 24 ოქტომბრის შუალედურ არჩევნებში მონაწილე პარლამენტის წევრობის შემდეგი კანდიდატები დაასახელეს:**

კრწანისის №4 საარჩევნო ოლქში – **გიორგი ასანიძე;** დიდუბის №8 საარჩევნო ოლქში **თეიმურაზ ჭეიშვილი;** ზესტაფონის №51 საარჩევნო ოლქში – **თეიმურაზ ცერცვაძე.**

გორის №32 საარჩევნო ოლქში პოლიტიკურმა გაერთიანება „ერთობამ“- **ჯუმბერ პატიაშვილის** კანდიდატურა წარადგინა. აღსანიშნავია, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ჯუმბერ პატიაშვილს თავის კანდიდატურას არ დაუპირისპირებს, რითაც მისდამი მხარდაჭერას გამოხატავს.

კანდიდატებმა, საკუთარ პროგრამებსა და უახლოეს გეგმებზე ისაუბრეს.

**გიორგი ასანიძე, ათენის ოლიმპიური ჩემპიონი ძალოსნობაში:** – ჩემთვის დიდი პატივია კრწანისის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად დასახელება. ვიცი, რომ ამ რაიონში ბევრი პრობლემაა მოსაგვარებელი. შევეცდები პოლიტიკაში ჩემი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოვავლინო. მაგრამ ეს არ ნიშნავს სპორტიდან ჩემს წასვლას, ეს გამორიცხულია, პირიქით, სპორტს კიდევ უფრო მეტ ყურადღებას დავუთმობ.

**თეიმურაზ ჭეიშვილი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ყოფილი გამგებელი:** – დღეს უკვე შეიძლება გამოკვეთილად ითქვას, თუ რა სჭირდება ჩვენს საზოგადოებას, რა ყოფითი პრობლემები აწუხებს. დღეს ქვეყანას ჰყავს ხელისუფლება, რომელსაც ძალუძს ამ პრობლემის გადაწყვეტა. საზოგადოებრივ ურთიერთობებში ცხოვრების ახალი წესი უნდა დამკვიდრდეს. ბოლო შვიდი თვის მანძილზე, რაც გამგებლის თანამდებობაზე ვმუშაობდი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში ბევრი რამ გაკეთდა, რაც მიზანმიმართულად, პროგრამულად გაწეული ხარჯებით განხორციელდა. შევეცდები, ჩემი ქვეყნისთვის კიდევ ბევრი სასიკეთო საქმე გავაკეთო.

**თეიმურაზ ცერცვაძე, ზესტაფონის რაიონის გამგებლის ყოფილი მოადგილე:** – ზესტაფონში შეიქმნა იმის რეალური საფუძველი, რომ ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდეს, რომლებიც, პირველ რიგში, მოსახლეობისთვის არის აუცილებელი. გვარდება წყლისა და ბუნებრივი გაზის მიწოდების საკითხი, დაწყებულია გზების მშენებლობა. შემდგომ ეტაპზე კი ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა ამუშავდეს საწარმოები, დასაქმდეს მოსახლეობა, რაც მის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას გააუმჯობესებს.

ერთი სიტყვით, კანდიდატებს თავისი გეგმები აქვთ, თუმცა, როგორ შეძლებენ ისინი არჩევის შემთხვევაში მათს განხორციელებას, ამას დრო გვიჩვენებს.

**ლელა ხვადაგიანი.**



◎ ინფორმაცია

ბიუჯეტი

### ცხრა თვის გეგმა – გადაჭარბებით

**საგადასახადო სისტემაში რეორგანიზაციის პროცესი საგადასახადო შემოსავლების გეგმის შესრულების პარალელურად მიმდინარეობს, თანაც წარმატებით:**

**მანამდე კი, საგადასახადო სამსახურებმა იანვარ-სექტემბრის საგადასახადო შემოსავლების გეგმა, 20 სექტემბრის მონაცემებით, გადაჭარბებით შეასრულეს.**

ჯანდაცვა

### „ცოცხალი წამლები“ – პირველად მსოფლიოში

**პირველად მსოფლიოში, საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის პროფესორმა ზურაბ კაკაბაძემ ცოცხალი უჯრედებისგან „ცოცხალი წამლების“ დამზადების ორიგინალური ბიოტექნოლოგია შეიმუშავა. აღნიშნული ტექნოლოგიის საფუძველზე შესაძლებელი გახდება „ახალი ორგანოების“ შექმნა თვით პაციენტის ორგანიზმში. პროფესორის მიერ შემუშავებული პროექტის პრეზენტაცია გუშინ სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გაიმართა.**

**პროექტის ძირითადი მიზანია საქართველოში ღვიძლის სხვადასხვა დაავადებების, დიაბეტის და სიმსივნეების მკურნალობისთვის თანამედროვე ბიოტექნოლოგიების დანერგვა.**

დედაქალაქი

### მოეწყობა ახალი პარკი

**თბილისის საკრებულომ გლდანის დასახლების მესამე მიკრორაიონში არსებული ხევძმარის ხევში საქალაქო მნიშვნელობის პარკის მოწყობა გადაწყვიტა და დედაქალაქის მთავრობას აღნიშნული ტერიტორიის კეთილმოწყობისთვის და პარკის განაშენიანებისთვის საჭირო ღონისძიებების უზრუნველყოფა დაავალა.**

**როგორც საკრებულოს სხდომაზე ითქვა, აღნიშნული ტერიტორია წლების მანძილზე ბინძურდებოდა და დიდ საფრთხეს უქმნიდა გლდანის მესამე მიკრორაიონის მოსახლეობას. თუმცა მოგვიანებით, საუბნო ორგანიზაცია „გლდანის“ ინიციატივით აღნიშნული ხევის დასუფთავების ორგანიზება მოხდა და ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი კეთილმოეწყო კიდეც.**

**რადგანაც ტერიტორია პერმანენტულ ზრუნვას მოითხოვს, მოსახლეობამ საკრებულოს არსებული ტერიტორიის საქალაქო მნიშვნელობის პარკად მოწყობის თხოვნით მიმართა.**

**ინტერ-პრესი.**

◎ მიზეზ-მიზეზ...

## საპროტესტო ნოტა – რუსეთს

**გუშინ მოსკოვის შერემეტიევოს და დომოდედოვოს აეროპორტებიდან საქართველოს 40 მოქალაქის დეპორტაციის გამო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის მხარეს საპროტესტო ნოტა გაუგზავნა.**

როგორც საგანგებო ბრიფინგზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მერაბ ანთაძემ განაცხადა, მომხდარ ინციდენტს რუსული მხარე ბესლანის ტერაქტს უკავშირებს და საქართველოს მოქალაქეების დეპორტაციას უსაფრთხოების ზომებით ხსნის.

ანთაძის თქმით, მოსკოვიდან საქართველოს მოქალაქეების დეპორტაციის ფაქტი რუსეთის ელჩმა საქართველოში ვლადიმერ ჩხიკვიშვილმა სწორედ ამ მოტივით ახსნა და განაცხადა, რომ საქართველოს მოქალაქეების ვიზაში აღნიშნული და გასაუბრების დროს დასახელებული ვიზიტის მიზნები ერთმანეთს არ დაემთხვა.



◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

„ვრემია ნოვოსტეი“,
2004 წლის 21 სექტემბერი.
მიხეილ ვიგნანსკი, თბილისი

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

## აფხაზური მარათონი

(პირველი გვერდიდან)

სერგეი ბაღაფშს პირველ ტურში გამარჯვების იმედი აქვს, რადგან ცენტრალურ საარჩევნო კომისიას კანდიდატად რეგისტრაციაში არ გაუტარებია აფხაზური წარმოშობის მოსკოველი ბიზნესმენი ალექსანდრე ანქვაბი, რომელსაც სერიოზული გავლენა აქვს აფხაზეთში მიმდინარე პროცესებზე. თავისი გადაწყვეტილება ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაასაბუთა იმით, რომ ბატონ ანქვაბს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში არ უცხოვრია აფხაზეთში. განაწყენებულმა ანქვაბის მომხრეებმა გადაწყვიტეს, რომ ხმებს ბაღაფშს მისცემენ.

აფხაზეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ სერგეი სმირმა „ვრემია ნოვოსტეის“ აცნობა, რომ არჩევნები გაიმართება 35 ოლქსა და 180 უბანში. პირველ ტურში გამარჯვებისთვის საჭიროა ამომრჩეველთა ხმების 50 პროცენტის და პლუს 1 ხმის დაგროვება. როგორც სოხუმში ამტკიცებენ, ამჟამად აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხოვრობს დაახლოებით 320 ათასი კაცი, მათ შორის გალის რაიონში სტიქიურად დაბრუნებული 50-60 ათასი ქართველიც. სულ კი, აფხაზეთის კონფლიქტის შედეგად ლტოლვილი გახდა 270 ათასზე მეტი ქართველი და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები.

„ამ არჩევნებს არავინ არ ცნობს ლეგიტიმურად, თვით რუსეთისგანაც არ ველით რაიმე სიურპრიზს ამ თვალსაზრისით“, – განუცხადა „ვრემია ნოვოსტეის“ საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანმა გელა ბეჟუაშვილმა. – ჩვენთვის, რა თქმა უნდა, ენიჭება მნიშვნელობა იმას, თუ რა შედეგით დასრულდება ეს არჩევნები. მაგრამ, როგორ შეიძლება ვილაპარაკოთ ადამიანის ნების თავისუფალ გამოხატულებაზე, თუ აფხაზეთიდან განდევნილია მოსახლეობის უმრავლესობა?“ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე სახელმწიფოსთვის უმთავრეს ამოცანად მიაჩნია „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და აფხაზეთის დაბრუნება საქართველოს შემადგენლობაში“.

◎ აქტუალური თემა

## კარგია თუ ცუდი საქართველოსთვის რუსეთის დაშლა?

**ამერიკის შეერთებულ შტატებს გადაწყვეტილი აქვს, 2005 წელს საქართველოს „ტერორიზმთან ბრძოლის“ პროგრამის დასაფინანსებლად 15 მილიონი დოლარი გამოუყოს. ბესლანის მოვლენების შემდეგ მოსახლეობაში თითქოს გაჩნდა ერთგვარი შიში იმისა, რომ ჩვენი ქვეყანაც შეიძლება ტერორისტების იერიშის ობიექტი გახდეს. ისმება კითხვა, რამდენად დაცულია საქართველო ამისგან? იმის მტკიცება, რომ დღეს საქართველოს მოსახლეობა ტერორიზმისგან მთლიანად არის დაცული, გულუბრყვილობა იქნებოდა, იმდენად, რამდენადაც ტერორიზმისგან დაზღვეული არც ერთი სახელმწიფო არ გახლავთ.**

საინტერესოა, რომ ტერორიზმმა იმ გაგებით, რომელიც დღევანდელი მსოფლიოს ნებისმიერი ადამიანისთვისაა ცნობილი, ჩამოყალიბებული სახე XIX საუკუნის 70-იან წლებში შეიძინა. სწორედ ამ დროიდან მოყოლებული, პოლიტიკურ ლექსიკონში თვით ეს ტერმინიც შემოვიდა, მისი რაობის განსაზღვრასაც შეეცადნენ და კლასიფიკაციაც მოახდინეს. მოკლედ რომ ვთქვათ, ტერორიზმი, ეს არის ბარბაროსობის უმაღლესი გამოვლინება, რომლისთვისაც საზღვარი და ეროვნება არ არსებობს.

ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს მასობრივი მკვლელობების ტალღამ ჩეჩნეთში წარმოებული ომების შემდეგ გადაუარა. არავინ დავობს იმაზე, რომ ტერორიზმს გამართლება არა აქვს, მაგრამ არც ისაა საკამათო, რომ „რუსული“ ტერორიზმი მცირე ერის მიმართ გატარებული უნიათო პოლიტიკის შედეგია. არჩეული ხისტი პოზიციის გამო, პუტინის ხელისუფლებას არ სურს მოლაპარაკებების გზით იაროს. პუტინს ორმაგი სტანდარტით მოქმედება – ბრძოლა ჩეჩენ ტერორისტებთან და ამავე დროს აფხაზი სეპარატისტების მხარდაჭერა ბუმერანგივით უკან დაუბრუნდა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები რუსეთთან მიმართებაში ხშირად მთლად პრინციპულობას ვერ იჩენენ, შეიძლება ითქვას, ორმაგი სტანდარტით მოქმედებენ.

ასე, მაგალითად, გაერომ ჩეჩნეთის ომთან დაკავშირებით თავშეკავებულად განაცხადა, ეს რუსეთის შიდა საქმეაო, მაგრამ მას ოსეთში მიმდინარე პროცესები საქართველოს შიდა საქმედ არ მიუჩნევია, ყოველ შემთხვევაში, მსგავსი განცხადება არ გაუკეთებია, რაც ჩეჩნეთის შემთხვევაში გააკეთა – საქართველოს მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომისკენ მოუწოდა. მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომა კარგია, მაგრამ სასურველი იყო, მსგავს შემთხვევაში რუსეთისთვისაც ასევე მიემართა. რას ვიზამთ, დიდი და პატარა სახელმწიფოების მიმართ მიდგომაც განსხვავებულია.

ევროკომისიის პრეზიდენტი პირდაპირ აცხადებს, რომ ევროპა რუსეთთან მედიატორის როლს ვერ იკისრებს. მოტივად კი იმას ასახელებს, რომ თითქოს ევროპას საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევა არ შეუძლია, ორმა ქვეყანამ საერთო ენა თავად უნდა გამონახოსო. ჩვენ დახმარებას გიწევთ რეფორმების გატარებაში, ეკონომიკის საკითხებში და ა. შ., მაგრამ ურთიერთობები ორივე მხარემ თავად უნდა მოაწესრიგოთო. „დისტანცირების“ ნამდვილი მიზეზი კი ის არის, რომ რუსეთს ადვილად „ყურს ვერ აუწევენ“, რადგანაც ის უძლიერესი გავლენის ატომური სახელმწიფოა. ექსპერტების აზრით, ეს განწყობა მაშინ შეიცვლება, როცა მეორე ზესახელმწიფო დაინტერესდება და მოინდომებს, რუსეთს „ყური აუწიოს“.

ჯერჯერობით არც ამერიკას და, შესაბამისად, არც ევროპას, რუსეთის განაწყენება არ სურთ, რასაც რუსეთი სათავისოდ ძალიან კარგად იყენებს. კერძოდ, პუტინი ბესლანის ტრაგედიას კრემლის ძალაუფლების შემდგომი გამყარებისთვის იყენებს. გუბერნატორის თანამდებობა არჩევითი იქნებოდა თუ დანიშვნითი, ყველაფერს მაინც პუტინი წყვეტდა, მაგრამ ის არ არის ადამიანი, რომელიც რუსეთს ერთპიროვნულად მართავს. იგი, შეიძლება ითქვას, რუსულ დერჟავულ წესრიგს ექვემდებარება. განხორციელებული რეფორმებით პუტინი რუსეთის გამაგრებას ყველანაირად ცდილობს, რათა რუსეთის დაშლას წინ აღუდგეს. საინტერესოა ამ საკითხზე ამერიკელი გეოპოლიტიკოსების მოსაზრება. მათი აზრით, თუ სიტუაცია 30 წელიწადში ძირფესვიანად არ შეიცვალა, რუსეთს დაშლა არ ასცდება. ექსპერტები აქ ერთ საგულისხმო გარემოებაზე მიუთითებენ – რუსეთის დაშლა საქართველოსაც წამოიყოლებს.

ბუნებრივია, თუ რუსეთის დაშლა დაიწყება, ამას დიდი კავკასიური ომი მოჰყვება, ამ ომში კი ნებსით თუ უნებლიეთ ჩათრეულები, თუნდაც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამო, ჩვენც აღმოვჩნდებით. აქედან გამომდინარე, რაც უნდა ანტიდემოკრატიულად განხორციელდეს რუსეთის გამთლიანებისკენ გადადგმული ნაბიჯი, ჩვენთვის ობიექტურად დადებითია. თუ ასეა, უხეშად რომ ვთქვათ, თავიც უმტვრევიათ, მაგრამ აქ ერთი სახიფათო მომენტიცაა: არავინ არ იცის, ოქტომბერში დსთ-ს სამიტზე პუტინი რას შემოგვთავაზებს. დსთ-ს გაერთიანებას სათავეში პუტინი ჩაუდგა, ამდენად, ექსპერტები შიშობენ, რომ შესაძლოა მან კოლექტიური უსაფრთხოების სისტემაში საქართველოს შეყვანაც მოითხოვოს, რაც ჩვენს ინტერესებში არანაირად არ შედის.

ასეა თუ ისე, უფრო უარეს სიტუაციაშიც ვყოფილვართ, მაგრამ მოგვიგია. თუ ჩვენ გარკვეულ დრომდე დსთ-ში ყოფნა გვიწევს, სასურველია, რომ ჩვენმა სახელმწიფომ ისევე რეალურად და მკაფიოდ გამოიყენოს იგი, როგორც ეს ბოლო სამიტის დროს მოხდა.

ამჟამად საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ამერიკაში გაეროს ასამბლეის სესიაზე იმყოფება, სადაც პრეზიდენტის რანგში პირველად წარსდგება. გაეროს ტრიბუნიდან იგი საერთაშორისო საზოგადოებას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებს კიდევ ერთხელ შეახსენებს. გაერო კი, მოგეხსენებათ, მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისთვის ძალიან კარგი ტრიბუნა გახლავთ.

**მზია გელენავა.**

◎ სხვათა თვალით

## რუსეთი კავკასიაში

### (ყირიმის ომის გაკვეთილები)

**ვრცელ ანალიტიკურ სტატიაში პოლიტოლოგი ალექსანდრ მუზაფაროვის მიერ გაანალიზებულია რუსეთის კავკასიური პოლიტიკის ეტაპები, განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი დასავლეთის სახელმწიფოთა ინტერესებს, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული რუსეთის გავლენის შესუსტებასთან შავი ზღვის რეგიონში. როგორც ავტორი აღნიშნავს, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს კავკასია ნაკლებად აინტერესებთ, „კავკასია მათთვის რუსეთის ძლიერების შესუსტების მხოლოდ ერთ-ერთი ფაქტორი, ყურადღების სხვაზე გადამტანი მანევრია“, ისინი უფრო დიდი მიზნისკენ მიისწრაფიან: კავკასიიდან რუსეთის გაძევებით დასავლეთი უფრო სანუკვარ მიზანს შეისრულებს – გაბატონდება შავი ზღვის რეგიონში, ანუ ყირიმი და უკრაინა მისი იქნება. ამით მოსკოვი საბოლოოდ დაკარგავს სამხრეთის მიმართულებას.**

„ტერორისტული აქტებით ჩვენ ომი გამოგვიცხადეს. იმ დროს, როცა რუსეთი ჩეჩნეთის პრობლემის მოგვარებას ცდილობს, უდიდეს ფინანსებს ხარჯავს ეკონომიკის ასაღორძინებლად, ლტოლვილთა დასაბრუნებლად და მოსახლეობის შემორიგებისთვის, დასავლელი პოლიტიკოსების წაქეზებით ჩვენს მიმართ ტერორი ძლიერდება – უცხოეთის პრესაში აქტიურად იბეჭდება და ვრცელდება რუსეთის წინააღმდეგ მიმართული მასალები, ანუ იქმნება უარყოფითი საინფორმაციო ფონი... და რადგანაც ომი უკვე დაიწყო, დროა გამარჯვების სტრატეგიაზეც ვიზრუნოთ. ამისათვის საჭიროა გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ვიმსჯელოთ, შევეცადოთ და განვიხილოთ რუსეთისა და დასავლეთის დაპირისპირების რამდენიმე ისტორიული მომენტი, განსაკუთრებით კი 150 წლის წინათ მომხდარი ყირიმის ომის გაკვეთილები.

XIX საუკუნის 30-იან, 40-იან წლებში ისლამურმა თურქეთმა (ოსმალეთმა) სლავური მოსახლეობის შევიწროვება დაიწყო. რა თქმა უნდა, რუსეთმა კონსტანტინოპოლზე დიპლომატიური ზეწოლა მოახდინა, მაგრამ ამ მცდელობას რაიმე შედეგი არ გამოუღია. კაცმა რომ თქვას, თურქეთის სამხედრო პოტენციალი რუსეთისას ბევრად ჩამოუვარდებოდა – მანამდე მომხდარ ყველა თორმეტივე ომში ხომ რუსეთმა გაიმარჯვა, მაგრამ ახლა კი ოსმალეთმა სანკტ-პეტერბურგის მოთხოვნები აინუნშიც არ ჩააგდო. რატომ? რისი იმედი ჰქონდა? იმიტომ, რომ თურქეთის უკან „დიდი ბიძიები“ იდგნენ – საფრანგეთი და ინგლისი, რომლებმაც სასწრაფოდ დაიწყეს რუსეთის წინააღმდეგ კოალიციის შექმნა. სწორედ მათი ფლოტი და არმია შემოვიდა შავ ზღვაში ყირიმის ომის დროს.

გავიხსენოთ მოკავშირეთა სტრატეგია – ყირიმის ომის წინა პერიოდში მათ აქტიურად დაიწყეს კავკასიის „თავისუფლებისმოყვარე მთიელების გმირული ბრძოლის“ მხარდაჭერა, რომელიც „რუსული თვითმპყრობელობის“ წინააღმდეგ იყო მიმართული. დასავლეთი კავკასიელ მთიელებს იარაღითაც ამარაგებდა – 1836 წელს რუსულმა კრეისერმა შავ ზღვაზე ინგლისური გემი დააკავა, რომელზეც ასეულობით თოფ-იარაღი და სხვა საბრძოლო მასალები აღმოჩნდა.



იხ. მე-7 გვ.

კომპეტენტური აზრი

# ვის ბოსტანში ისვრის კენჭებს პრეზიდენტი პუტინი?

**რუსეთი საქართველოს მზეს არასდროს იფიცებდა, მაგრამ ბოლო ხანებში დიდ მეზობელთან ურთიერთობა განსაკუთრებულად დაგვეძაბა. ცხინვალის მოვლენების დროს ჩვენ რუსეთის სამხედრო ძალის წინაშე აღმოვჩნდით. შემდეგ იყო ბესლანის ტრაგედია, როცა საქართველო ლამის მუსულმან ტერორისტთა საწვრთნელ ბაზად გამოცხადდა და, შესაბამისად, მუქარაც გაისმა. ამ ფონზე ზოგი შეშინდა, ზოგმაც ვაჟკაცობის გამოვლენა ისურვა და ბრძოლის სურვილი გამოთქვა. მთლიანობაში კი მოსახლეობა შეშფოთდა. საით მიემართება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, რა მოჰყვება შედეგად დსთ-ს სამიტზე მიხეილ სააკაშვილისა და ვლადიმერ პუტინის შეხვედრას და რას შეიძლება მოველოდეთ ახლო მომავალში? ვეძიოთ კითხვებზე პასუხი პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძესთან ერთად.**



**— აჭარის პროცესების დასრულებისას რუსეთი ისე მოიქცა, რომ ქართველი პოლიტიკოსების მხრიდან მადლობაც კი დაიმსახურა. მაშინ მან ზუსტად დაიცვა საჭირო დისტანცია და მოიქცა ისე, როგორც ეს შეეფერებოდა კორექტულ მეზობელს. რა მოხდა შემდეგ? ცხინვალის მოვლენების დროს რატომ არ გაიმეორა მან ასეთივე კორექტულობა? თუ პუტინის რეპლიკებს გავიხსენებთ, მრჩება შთაბეჭდილება, რომ რუსეთი უკმაყოფილო იყო ამ პროცესების მასთან შეუთანხმებლად დაწყების გამო. მოლაპარაკებაც უნდა შეგვეძლოს და შეთანხმებულ-დაპირებული საკითხების შესრულებაცო, — თქვა მან და, ვფიქრობ, ამით ქართულ ბოსტანში ისროლა კენჭი. რაკი მხარე წინასწარ მოლაპარაკებას მოითხოვს, ესე იგი, დარწმუნებულია, რომ საქართველოში მიმდინარე პროცესები მხოლოდ ჩვენ კი არა, მასაც ეხება. სხვა საკითხია, რამდენად სამართლიანია ეს, მაგრამ, როგორც ჩანს, რუსეთი ასე ფიქრობს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რა პოზიციას იკავებდა ამერიკა (არ უთქვამს, ეს საქართველოს შინა საქმეა და, მოდით, ნურავინ ჩაერევაო. ის მხარეებს მოლაპარაკებისკენ მოუწოდებდა), საფიქრებელია, რომ არც ამერიკასთან იყო მოლაპარაკებული. ამერიკის ასეთმა პოზიციამ ბევრად განსაზღვრა ის, რომ რუსეთმა თავისუფლად გადმოსხა თავისი შეიარაღებული ძალები და საქართველო მისი სამხედრო პოტენციალის პირისპირ დადგა. ამერიკამ ეს დაუშვა.**

ყველამ კარგად ვიცით, რომ ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობა მუდამ სხვა, ძლიერი ქვეყნების ინტერესთა სფეროში გვაქცევდა. „ევროპააზიის დერეფანში“ გავლა-გამოვლა დღესაც ყველას უნდა და ხვალაც მოუნდება. რა თქმა უნდა, თავისი გავლენის გასაფართოებლად... ახალი არც ის არის, ამ საკითხში ამერიკისა და რუსეთის ინტერესები ერთმანეთს რომ კვეთს. თუმცა, ბატონი რამაზის თქმით, ამერიკის ხელისუფლებას ამ თემაზე მძაფრი დაპირისპირება ცოტა ხანს ხელს არ აძლევს. ამერიკის პრეზიდენტის არჩევნების დასრულებას უნდა დაველოდოთ.

ცხინვალის მოვლენებთან დაკავშირებით ამერიკის პოზიციას სხვადასხვაგვარად ხსნიან. მაგალითად, კობა დავითაშვილის აზრით, რიჩარდ მაილსის ჩვენდამი არამეგობრული განცხადებები საქართველოში ტერორისტთა ყოფნის შესახებ, ჩვენი ხელისუფლების არა პროდასავლური, არამედ პრორუსული პოლიტიკით არის გამოწვეული. რამაზ საყვარელიძე ამ მოსაზრებას არ იზიარებს.

**— მაილსის განცხადებები მხოლოდ არამეგობრული კი არ იყო ჩვენს მიმართ, მეტიც, რუსეთის წისქვილზე ასხამდა წყალს. იფიქრებდი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი კი არა, რუსეთის თავდაცვის მინისტრი ივანოვი ლაპარაკობსო. მაილსი თუ ჩვენი პოლიტიკით უკმაყოფილების გამო შეეცდებოდა ჩვენს „დასჯას“, პრორუსულ განცხადებებს არ გააკეთებდა. მის მიმართაც ისეთივე დისტანციური იქნებოდა, როგორიც ჩვენს მიმართ იყო. რა თქმა უნდა, ისეთ დიპლომატს, როგორიც მაილსია, შემთხვევით არაფერი წამოსცდება. მისი სიტყვები შეიძლება სხვადასხვაგვარად აიხსნას: შეიძლება, ამერიკას, უბრალოდ, ამჯერად არ სურს რუსეთთან ურთიერთობის გართულება ან შეიძლება, ამ ფრაზის საფუძველზე თავისი სამხედრო კონტინგენტის გაძლიერება უნდოდეს. ჯერჯერობით ძნელია გადაჭრით რაიმეს თქმა, მაგრამ სავარაუდოა, რომ ამერიკა შემდგომში არ აპირებს ამ ფრაზის გამოყენებას. რადგან მაილსი უფრო მეტია, ვიდრე — ელჩი, მას შეიძლება, თავისი კავშირები ჰქონდეს რუსეთთან და მისი სიტყვებიც ამით იყოს ნაკარნახევი.**

რუსეთი დიდი და ძლიერი ქვეყანაა, რომელიც ხან გვტუქსავს, ხანაც ცალყბად გვიღიმის. გინდა არ გინდა, მისი არსებობის და ინტერესების გათვალისწინება გიწევს. კითხვაზე, რატომ მოქმედებენ ცხინვალში რუსი სამშვიდობოები, როცა საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთი კონფლიქტში მონაწილე მხარედ აღიარა, — ბატონი რამაზის პასუხი ასეთია:

— რა თქმა უნდა, უპრიანია, უთხრა, წადიო, მაგრამ რა მოჰყვება ამას? რუსეთმა აფხაზეთი წაგვართვა იმისთვის, რომ თავისი ჯარები შემოეყვანა რაიმე სახით, გვაიძულა ეს. თუ ამ ჯარებს გავიყვანთ, აქ შეგვიქმნის ისეთ მდგომარეობას, რომ ხელახლა გვაიძულოს, ვეხვეწოთ, შემოიყვანეო.

ერთი სიტყვით, რუსეთის უნდა გვეშინოდეს. ჩეჩნებივით ვიბრძოლებთო, — ამბობს ზოგიერთი. ეს კი, ბატონი რამაზის სიტყვით, განადგურებას ნიშნავს, რუსეთს თავისი ბავშვები არ ენანება, არც თავისი ჯარი, მით უფრო — არც ქართველები. ჩეჩნები კი მას უკვე მეთოდურად მიჰყავს დემოგრაფიულ კრიზისამდე.

დსთ-ს სამიტზე რუსეთის და საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრიდან ბევრს მოელოდნენ. ამასთან ერთად, რამაზ საყვარელიძე სხვა საყურადღებო ფაქტსაც აღნიშნავს:

**— როგორც რუსული მედიის საშუალებით შევიტყვე, ოთხსაათიანი შეხვედრა ჰქონდათ სომხეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებს. ამ მოლაპარაკების შედეგები შეიძლება ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს ჩვენთვის. ოღონდ გააჩნია, ვისი ინტერესები უფრო მეტად იქნება დაკმაყოფილებული, დათმობს თუ გააძ[illegible] [illegible]იზმს. მაგრ[illegible] ისიც, რომ [illegible] კიდევ ერთი დამაფიქრებელი ფაქტი. მე ველოდი, რომ რუსეთი ჩვენ, იმ რამდენიმე ქვეყანას, რომელიც კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის გარეთ ვართ დარჩენილი, ამ სისტემაში შესვლას შემოგვთავაზებდა. დამაიმედა იმან, რომ ასე არ მოხდა, თუმცა, ალბათ, ეს დროებით გადაიდო. არადა, რუსული მასმედია ამ სამიტზე სიურპრიზს გვპირდებოდა, პუტინის სიურპრიზები კი რაც არის, ვიცით. თუ სამხედრო სისტემაში შეგვიტყუა, ეს მოსკოვის გავლენის ქვეშ მოქცევას ნიშნავს.**

მომავალ სამიტზე თუ ამ წინადადებას მართლაც შემოგვთავაზებენ, რამაზ საყვარელიძე ხელისუფლებას ურჩევს, ორჭოფულად უპასუხოს და ამერიკის გამოღვიძებამდე დრო გაიყვანოს. ამერიკა კი ან 4 ნოემბერს გამოიღვიძებს (თუ კვლავ ბუში გახდა პრეზიდენტი), ან 4 ნოემბრიდან, დაახლოებით, ექვსი თვის განმავლობაში (პრეზიდენტად კერის არჩევის შემთხვევაში).

სამიტის შემდეგ რუსულ-ქართულ ურთიერთობებში ცოტათი დათბა. სხვა საქმეა, ამ „დათბობაში“ რა მიიღო რუსეთმა. ყველა ხედავს, რომ რუსეთი ამერიკის წინასაარჩევნო ნეიტრალური პოზიციით სარგებლობს და ჩქარობს. რამაზ საყვარელიძეს ამის დადასტურებად მიაჩნია შემდგომი სამიტის ოქტომბერში დანიშვნა.

ბევრი ამბობს, საქართველო რუსეთს კოჭს უგორებსო. ამას ბატონი რამაზი აუცილებლობით ხსნის, რადგან კარგი პოლიტიკოსი იშვიათად მოქმედებს სურვილის მიხედვით. ჩვენ გვიწევს, ისევე გავუწიოთ ანგარიში რუსეთს, როგორც პატარა ბავშვი ითვალისწინებს მეზობელი ხელჯოხიანი ძიას არსებობას. გალახვის უნდა გვეშინოდეს? მშობელი ვერ დაგვიცავს? ჩემი რესპონდენტის თქმით — ვერა, რადგან დედ-მამა, უბრალოდ, არ გვყავს, ობოლი ვართ. თუმცა არც ასეთი უსაშველო გვჭირს რამე. ამერიკის გამოღვიძება და ჩვენი სწორი პოლიტიკა, საბოლოოდ, ყველაფერს მოაგვარებს. მანამდე კი ქართული ანდაზა გავიხსენოთ — დათვი თუ შემოგხვდა, ბაბა დაუძახეო.

**რუსუდან გახარია.**

პროკურატურა

# ომში ერთგულებს უშვებენ,

## ამბობს გურჯაანის რაიონის პროკურორი ალექსანდრე ფერიაშვილი

**ბოლო წლების მანძილზე მოსახლეობა შეწუხებულია ქვეყანაში არსებული კრიმინოგენური ვითარებით. თითქმის ყოველ ნაბიჯზე გვხვდება ძარცვა-ყაჩაღობის, ქურდობის, მანქანისა თუ პირუტყვის გატაცების ფაქტები. ყველა რაიონს პროკურორი ჰყავდა, მაგრამ ერთი რაიონის ზედამხედველობა რატომღაც მაინც უჭირდათ.**

**ახლა პროკურატურის სისტემაში ცვლილებებია. თანამშრომელთა რაოდენობა შემცირდა, რაიონული სტრუქტურები კი შეერთდა. ამჯერად ვესაუბრებით გურჯაანის რაიონულ პროკურორს ალექსანდრე ფერიაშვილს, რომლის დაქვემდებარებაშიც შედის გურჯაანის, ყვარლის და ლაგოდეხის რაიონული პროკურატურები.**

**— ბატონო ალექსანდრე, დავიწყოთ ყველაზე მტკივნეული თემით, — კორუფციით. რა მდგომარეობაა რაიონებში, თუ შემცირდა ასეთი ფაქტები?**

— გურჯაანის რაიონში კორუფციის ფაქტები აშკარად შემცირდა. გამოვლენილია რამდენიმე კორუმპირებული პიროვნება, ვგულისხმობ, სოფლის გამგებლებს, მათ მიმართ აღძრულია საქმეები. გურჯაანის რაიონულ პროკურატურაში ასეთი ხუთი საქმეა. აქედან ზოგი დაპატიმრებულია, ზოგთანაც მოხდა საპროცესო შეთანხმება, რის შემდეგაც მათ ზარალი აანაზღაურეს. საბოლოო შედეგი, ალბათ, რამდენიმე ხანში, სასამართლოს შემდეგ გვექნება. ვფიქრობ, დაუსჯელობის სინდრომის მოხსნამ მთელ საქართველოში დიდი როლი ითამაშა. სახელმწიფო სამსახურში მყოფი ადამიანები, რომლებსაც შეხება აქვთ მოქალაქეებთან, უანგაროდ აკეთებენ ყველაფერს. ჩვენთან ძირითადი ფონი ამ ეტაპზე სწორედ ასეთია.

**— რა, პრევენციული ღონისძიებების განხორციელება საჭირო აღარ არის?**

— როგორ არა. ამ სამ რაიონში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციას უშუალოდ მე ვახორციელებ. აქედან გამომდინარე, შეხება მაქვს სამ გამგებელთან, პოლიციის უფროსთან, საგადასახადო ზონალური ინსპექციის უფროსთან, საფინანსო პოლიციის უფროსთან. გვაქვს მჭიდრო კოორდინაცია იმის შესახებ, თუ რა კეთდება კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად. მაქსიმალურ კონტროლზე აგვყავს ყველა მოქალაქის განცხადება, რომელიც, ამა თუ იმ სახით, რომელიმე ჩინოვნიკის მიმართ საჩივარს შეიცავს. ამასთან, პოლიციას მიცემული აქვს სხვადასხვა სახის დავალებები, რომელთა შესრულება ამ მავნე სენს სპობს. მაგალითისთვის ერთ ფაქტს დავასახელებ: — ახლახან ფინანსურმა პოლიციამ გურჯაანის ტერიტორიაზე ამოიღო დიდძალი კონტრაბანდული საქონელი. ტვირთმა, რომელიც 14.000 დოლარად იყო განბაჟებული, ლაგოდეხის საბაჟო გადმოკვეთა, მაგრამ რეალურად საქონელი გაცილებით მეტი თანხის აღმოჩნდა. დამნაშავეები, ცხადია, პასუხს აგებენ.

**— როგორია, საერთო ჯამში, სტატისტიკური მონაცემები. წინა წლებთან შედარებით თუ შემცირდა დანაშაულებრივი ქმედებები? სოფლის მოსახლეობას ძალზე აწუხებს პირუტყვის ქურდობის ფაქტები...**

— საქონლის ქურდობა, ისედაც გაჭირვებული მოსახლეობის განწყობაზე განსაკუთრებით მოქმედებს. მათი აღშფოთება სამართალდამცველი ორგანოების მიმართ სრულიად სამართლიანია. თუმცა მინდა გითხრათ, რომ ამ კუთხით ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში საკმაო სამუშაოები შევასრულეთ, სამივე რაიონის მაგალითზე თუ ვიტყვით, დაკავებულია დაახლოებით 32 ადამიანი, რომლებიც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ეპიზოდებით საქონლის ქურდობაში არიან მხილებულნი. წინა წლებთან შედარებით შემცირდა ძარცვის და ყაჩაღობის ფაქტები. ქურდობაზე ამას ვერ ვიტყვით, თუმცა არც მატებაა.

მთავარია ის, რომ სახელმწიფოს მიდგომა დამნაშავეთა სამყაროს მიმართ შეიცვალა, რისი ნებაც წინა ხელისუფლებას არ გააჩნდა. სწორედ ადრინდელმა განსაკუთრებულმა ლოიალობამ დაამკვიდრა დაუსჯელობის სინდრომი. დღეს სხვა ვითარებაა, სპეცოპერაციებისას შავი სამყაროს უამრავი ავტორიტეტი დავაკავეთ. დამნაშავე ციხეში უნდა იჯდეს, იზოლირებული უნდა იყოს. შემდეგ, თუ იგი აღიზრდება და გამოსწორდება, ციხიდან უნდა გამოვიდეს. წინა წლებში, ვიდრე ასეთი მიდგომა არ იყო, დანაშაულობებიც მატულობდა.

**— ბოლო ხანს არ ინდობენ სამართალდამცავებსაც. მათ არ პატიობენ არავითარ გადაცდომას. რა სიტუაციაა თქვენს ზონაში?**

— აქ რამდენიმე საქმეა აღძრული ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტზე. სამივე რაიონში 8 პოლიციელია პასუხისგებაში მიცემული, რაც არცთუ ცოტაა. რამდენიმე მათგანი დანაშაულის დაფარვაში, კერძოდ, განცხადებების აღურიცხაობაში და მათს მიჩქმალვაშია ეჭვმიტანილი, ანუ მათ სამსახურებრივი უფლებამოსილება ბოროტად გამოიყენეს. ამ კუთხით მუშაობა მომავალშიც გაგრძელდება.

**— რამდენია დღეს პროკურორის ხელფასი?**

— 450 ლარი.

**— თუ არის ეს საკმარისი, რომ რიგითმა პროკურორმა ქრთამი აღარ აიღოს?**

— რა თქმა უნდა, საკმარისია. დღეს ქრთამზე ლაპარაკიც არ შეიძლება. პროკურორის ხელფასი 25 ლარი იყო. ამ მიზერული ხელფასის ფონზეც კი ზოგიერთები ზღაპრულ ვილებში ცხოვრობდნენ და არაფერს იკლებდნენ. 25 ლარი მართლაც ცოტა იყო, ელემენტარულად ქვეყნის დაცინვა და ღირსების შელახვაა, რომ პროკურორი 25 ლარზე ამუშაო. ერთი ხელის მოსმით არ შეიძლება, რომ ჩვენ, უცბად, 3000 და 5000 ლარი ხელფასი ვინატროთ. 450 ლარი, რომელსაც დღეს პროკურორი იღებს, პატარა თანხა არ არის, მით უმეტეს, რომ საუბარია ხელფასის კიდევ მომატებაზე. ბოლო პერიოდის ცნობილი მოვლენების შემდეგ პროკურატურის პრესტიჟი, პროკურატურის მიდგომა სახელმწიფოსთან მიმართებაში ძალიან მაღალ დონეზე ავიდა. ამან ქვეყანასაც არგო. მომავალში ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება შეიძლება.



**— სამ ამხელა რაიონში წესრიგის დამყარება იოლი საქმე არ არის, როგორ აპირებთ ამ ყველაფრის განხორციელებას?**

— „ომში ერთგულებს უშვებენ“. მზად ვარ ვიომო ჩემი ქვეყნის, ჩემი მამულის გულისთვის. მათ კი, ვინც ნდობა გამომიცხადა, მეც და ჩემი კოლეგებიც დავუმტკიცებთ, რომ ქართველებს შორის ნდობა არსებობს.

პირველ ეტაპზე კოორდინაცია ცოტა რთულია, თუმცა ეს ყველაფერი ახლო მომავალში მოწესრიგდება. პროკურატურების გაერთიანება სწორედაც ეფექტურობის თვალსაზრისით მოხდა. ასეთი ცვლილება აუცილებლად გაამართლებს. როგორც მე მენდნენ, მეც ასევე ვენდობი ჩემს კოლეგებს, იმ გუნდს, რომელიც დღეს გვერდში მყავს. დღეისათვის ჩვენთან მიდის სადღეღამისო მუშაობა. ამას ახლა საქმე და ქვეყანა ითხოვს. მაგრამ, ალბათ, მალე დადგება ის დრო, როდესაც წესრიგს დავამყარებთ და ყველა ჩვეულებრივ რეჟიმში ვიმუშავებთ.

**ესაუბრა**
**ლელა ხვადაგიანი.**

ინფორმაცია

პანკისის ხეობა

### მიმდინარეობს დოკუმენტაციის გადამოწმება

**საქართველო ცდილობს კიდევ ერთხელ დაამტკიცოს, რომ პანკისის ხეობაში ჩეჩენი ბოევიკები არ არიან.**

**ღონისძიების ფარგლებში პანკისის ხეობაში კომპაქტურად ჩასახლებული ჩეჩენი ლტოლვილების დოკუმენტაციის გადამოწმება ხორციელდება, რასაც შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრების მოადგილეები — გია გეწაძე და გიგი უგულავა ხელმძღვანელობენ.**

**გიგი უგულავას განცხადებით, პანკისის ხეობა დიდი ხანია ტერორისტთა თავშესაფარი აღარ არის და აბსურდულია რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების წარმო-**



**მადგენლების მიერ გაკეთებული განცხადებები პანკისში ბოევიკების არსებობის შესახებ.**

**ჩეჩენი ლტოლვილების დოკუმენტაციის და საცხოვრებელი ადგილების შემოწმება ხეობის სამ სოფელში — დუისში, ხალაწანსა და წინუბანში მიმდინარეობს.**

**აღსანიშნავია, რომ პანკისის ხეობის ჩეჩენ ლტოლვილთა შორის დოკუმენტაციის გადამოწმების პროცესს პანიკა და უკმაყოფილება არ გამოუწვევია.**

პოზიცია

### არა, არ გადავდგები!

**„რუსთავის მეტალურგიული კომბინატის“ რეაბილიტაციის მმართველი ბენო ქაშაკაშვილი ეკონომიკური განვითარების მინისტრის კახა ბენდუქიძის ბრალდებებს უსაფუძვლოს უწოდებს და მისი მოთხოვნის მიუხედავად, თანამდებობიდან გადადგომას არ აპირებს.**

**„ეკონომიკის მინისტრმა ჩემს მიმართ ტერორი დაიწყო. ბენდუქიძეს სურს, რომ ამ ბრძოლაში დავიღალო და პროგრამის მმართველის თანამდებობიდან საკუთარი ნებით წავიდე, თუმცა მინდა იცოდეს, რომ არ ვაპირებ უარგუმენტო მითითებებით განცხადების დაწერას“, — განაცხადა გუშინ სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე ქაშაკაშვილმა. მისივე თქმით, კომბინატის პრივატიზაციამდე სულ ორი კვირაა დარჩენილი და „მით უმეტეს ამ პერიოდში, არ აპირებს თამაშიდან გასვლას“.**

**ქაშაკაშვილის თქმით, იგი თანამდებობაზე სასამართლომ კრედიტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით დაამტკიცა და მისი გათავისუფლებაც მხოლოდ სასამართლოს საშუალებით უნდა მოხდეს.**

**— ასე რომ, ბენდუქიძეს ჩემი გათავისუფლების უფლება არ აქვს, — განმარტა მან.**

მოსწავლეთა ოლიმპიადა

### ვერცხლი და ბრინჯაო – ათენიდან

**ქართველმა მოსწავლეებმა ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს საბერძნეთის დედაქალაქ ათენში ჩატარებულ მოსწავლეთა შორის ინფორმატიკის მე-16 საერთაშორისო ოლიმპიადაში.**

**როგორც ინტერ-პრესს განათლების და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განუცხადეს, ოლიმპიადა, რომელსაც საბერძნეთის განათლების სამინისტრო მასპინძლობდა, ოლიმპიური სოფლის მედია-ცენტრში ჩატარდა და მასში 81 ქვეყნის 300-მდე კონკურსანტი მონაწილეობდა.**

**საქართველოდან ათენში გაემგზავრნენ დემირელის კოლეჯის მეათეკლასელი ზვიად მეტრეველი, თსუ-ს გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი ირაკლი ხომერიკი, ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკის გიმნაზიის მეცხრეკლასელი დავით თვალჭრელიძე და მე-10 კლასის მოსწავლე გიორგი ლეკვეიშვილი.**

**ზვიად მეტრეველმა მოიპოვა ვერცხლის მედალი, რომელიც ინფორმაციის დამმუშავებელთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ იყო დაწესებული, ხოლო ირაკლი ხომერიკმა ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.**

ბაზარი

### 22–23 სექტემბერი სანიტარიული დღეებია

**სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის თაოსნობით, 22-23 სექტემბერს ქვეყნის ყველა სასურსათო ბაზარში სანიტარიული დღეები ცხადდება.**

**როგორც ინტერ-პრესს ინსპექციაში განუცხადეს, სანიტარიული დღეები აქციის — „ჯანსაღი პირობების“ ფარგლებში ჩატარდება. ორი დღის განმავლობაში დახლები მღრღნელების საწინააღმდეგო ვაქცინით მოიწამლება.**

**აქციაში მონაწილეობას მიიღებენ დასუფთავების შესაბამისი სამსახურები, ბაზრების ადმინისტრაციები და რეალიზატორები.**

**ინტერ-პრესი.**

ინფორმაცია

### 25 ნაცვლად 70-ისა

**საქართველოს გენერალური პროკურორის ზურაბ ადეიშვილის ბრძანების თანახმად, ქვეყანაში რაიონული პროკურატურების რეორგანიზაცია განხორციელდება და მათ ბაზაზე მხოლოდ 25 რაიონული პროკურატურა შეიქმნება.**

**რაიონული პროკურატურების გაერთიანება სისტემის ოპტიმიზაციისა და საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების მიზნით ხორციელდება.**

**ამ დრომდე საქართველოში 70-მდე რაიონული პროკურატურა იყო. რაიონული პროკურატურების წარმომადგენლები რეორგანიზაციამდე მათ წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმეების და დოკუმენტაციების აღრიცხვა-ინვენტარიზაციას მოახდენენ.**

### მძღოლები დაკავებულია, ტვირთის პატრონი არ ჩანს

**გუშინ უშიშროების სამინისტროს წალენჯიხის განყოფილების მუშაკებმა წალენჯიხის რაიონის ტერიტორიაზე ექვსი სატვირთო ავტომანქანა დააკავეს, რომლებიც იშვიათი ჯიშის წიწვოვანი ხის მასალით იყო დატვირთული.**

**ხეტყით დატვირთული ავტომანქანები, სავარაუდოდ, სოფელ ჯვარის სახერხი საამქროების მიმართულებით მიდიოდა, უკვე დამუშავებულ მასალას კი, თურქეთში გადაიტანდნენ.**

**ექვსივე მძღოლი დაკავებულია, თუმცა ტვირთის მეპატრონეთა ვინაობა ჯერჯერობით დადგენილი არ არის. ჩამორთმეული მასალა გადაეცა წალენჯიხის ფინანსურ პოლიციას, დაწყებულია მოკვლევა ტვირთის მეპატრონეთა დადგენის მიზნით.**

**ექვს სატვირთო ავტომანქანაზე საერთო ჯამში 120 კუბური მეტრი ხეტყე იყო მოთავსებული.**

### თანხებს მალავდნენ

**„ჭიათურმანგანუმის“ ხელმძღვანელების მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. საწარმოში ჩატარებული შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ 2003-2004 წლებში სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმი“ სახელმწიფოს გადასახადებს უმალავდა.**

**დამალულმა თანხამ 390 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო ჯარიმის გათვალისწინებით დარიცხულმა თანხამ 906 ათას ლარზე მეტს მიაღწია. ფინანსური პოლიციის იმერეთის ოპერატიულ განყოფილებაში სისხლის სამართლის საქმე „ჭიათურმანგანუმის“ დირექტორის აკაკი გუჯაბიძის და მთავარი ბუღალტრის გიორგი გურგენიძის მიმართ განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადებისგან თავის არიდების ფაქტზე აღიძრა.**

### „წითელ ხიდთან“ კონტრაბანდა დააკავეს

**ფინანსურმა პოლიციამ „წითელი ხიდის“ ტერიტორიაზე ნახევარი მილიონი ლარის ღირებულების კონტრაბანდული ტვირთი დააკავა.**

**აზერბაიჯანიდან შემოსული 120 კუბის ტევადობის სატვირთო ავტომანქანა ლილოს ტერმინალში 13 ათას ლარად განბაჟდა.**

**— მებაჟეებმა არ გადაამოწმეს რეალურად რა იყო სატვირთო მანქანაში და მხოლოდ „ინვოისის“ მიხედვით იხელმძღვანელეს. „ინვოისში“ კი ფასები ათჯერ იყო შემცირებული და ძვირადღირებული ტექნიკა საერთოდ არ იყო აღნიშნული, — განაცხადეს პოლიციაში.**

**ინტერ-პრესი.**

კერძო აზრი

# აი, სად უნდა ვეძიოთ კრიზისის ფესვები

## სამარცვლე მეურნეობა ის ქვაკუთხედია, რაზეც შენდება ქვეყნის რეალური დამოუკიდებლობა

**გავრცელებულია აზრი, რომ დღევანდელი ეკონომიკური კრიზისი გასული საუკუნის ბოლოს დაიწყო. სინამდვილეში კრიზისის ფესვები უფრო ღრმაა, მისი წინაპირობა იმ დროს შეიქმნა, როცა საქართველო რუსეთის იმპერიის ეკონომიკურ დანამატად, მისთვის წიაღისეული სიმდიდრისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მიმწოდებლად იქცა, რასაც მოჰყვა ცალკეული დარგების შერჩევა იმის მიხედვით, რა სჭირდებოდა იმპერიას. საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასაწყისში იმპერიამ ჩვენი დასჯის ერთ-ერთ იარაღად ჩვენი ნედლეულისა თუ მზა პროდუქციის შესყიდვაზე უარის თქმა გამოიყენა, რასაც მოჰყვა კიდეც კრიზისი აქედან გამომდინარე შედეგებით: უმუშევრობა, მოსახლეობის გაღატაკება, საწარმოების ნგრევა, სტრატეგიული ნედლეულის უცხოეთში გაზიდვა ჩალის ფასად და სხვ.**



ყველაფერი ეს ყველასთვის ცნობილია, მაგრამ უბედურება ის არის, ამ ფაქტიდან საჭირო დასკვნები ვერ გამოვიტანეთ და არც ვცდილობთ, ქვეყნის ეკონომიკა ისე მოვაწყოთ, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა განმტკიცდეს, სხვის ხუშტურებზე ნაკლებად ვიყოთ დამოკიდებული. ჯერაც არის ტენდენცია, რომ საქმე გავაგრძელოთ ძველებურად, ვაიძულოთ ქვეყნის მესვეურნი, მოიპოვონ რუსეთის ბაზარზე ადგილი ჩვენი ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის (ღვინო, ხილი, ციტრუსები) რეალიზაციისათვის. ასეთი მიდგომა ქვეყნის მოწყობისა საფუძველშივე მცდარია. ჩვენზე უფრო სამხრეთით მდებარე ქვეყნებშიც არსებობს პირობები, რომ აწარმოონ სამხრეთული კულტურები და ჩრდილოეთის ქვეყნებში გაყიდონ მისი პროდუქცია, მაგრამ ეს არ გამხდარა მათთვის ძირითადი მიმართულება, რის დასადასტურებლად ერთი ასეთი მაგალითიც გამოდგება.

ცნობილია, როგორი დიდი შრომისა და დანახარჯების ფასად აქციეს ისრაელში ნიადაგები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისათვის ვარგისად, რა ტექნიკური სიძნელეები გადალახეს, რომ ამ მიწებისათვის საკმარისი რაოდენობის სარწყავი წყალი მიეღოთ, მაგრამ ამ ქვეყანაში ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია მარცვლეულია. მისი წარმოება ისეთ სიმაღლეზე აიყვანეს, რომ აპურებენ ჩვენზე ბევრად უფრო მრავალრიცხოვან საკუთარ მოსახლეობას, უზრუნველყოფენ მეცხოველეობას ისეთნაირად, რომ მეწველი ფურის ულუფაში მარცვლის ხვედრითი წილი 80 პროცენტს აღწევს. ამ გზით ფურის საშუალო წველადობა წლიურად 10 ათას ლიტრამდე გაზარდეს, ამასთან, ადგილზე მოხმარებული მარცვლის მოცულობა 42 პროცენტს უდრის, დანარჩენი 58 პროცენტი საექსპორტოდ გადის. ამ ქვეყანაში მიხვდნენ, რომ სამარცვლე მეურნეობა ის ქვაკუთხედია, რაზეც შენდება ქვეყნის რეალური დამოუკიდებლობა. ჩვენ ავირჩიეთ საპირისპირო გზა, რის გამოც ყოველთვის სხვის დაკრულზე ცეკვა მოგვიწევს, სხვისი ნება-სურვილი უნდა შევასრულოთ, თანაც როდის გადაიკეტება ეს ჩვენთვის სასიცოცხლო არტერია, არავინ იცის.

მეორე ბერკეტი, რასაც ასე მოხერხებულად იყენებს ჩვენი დიდი მეზობელი, ჯერ ერთი, ჩვენს დასამორჩილებლად, და მეორეც, საკუთარი ეკონომიკის სასარგებლოდ, ეს ენერგოშემცველებია — გაზი და ელექტროენერგია. საქართველოს დიდი ძალისხმევა სჭირდება მათი ღირებულების გადასახდელად, ამავე დროს აქვს საკმაოდ დიდი ჰიდრორესურსები, რომელსაც შეუძლია ქვეყნის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ენერგიაზე, მაგრამ, ჯერჯერობით, ამ მხრივ თვალსაჩინო ცვლილებები არ ჩანს, აქცენტი აღებულია მხოლოდ იმპორტირებულ

იხ. მე-4 გვ.

ფიქრები

# „პესიმისტის ჩანაწერები“



რაულ ჩილაჩავა

### სიხარბის სიმბოლოები

როგორც ჩანს, ელინელებს ოქროსადმი განსაკუთრებული სიყვარული ამოძრავებდათ (ამ ზმნის პირდაპირი მნიშვნელობით). არგონავტების თქმულების გარდა, ცნობილია აგრეთვე მითი ჰერაკლეზე, რომელმაც მიწიერი წრის უკიდურეს დასავლეთში მდებარე ჰესპერიდების ბაღის დამცველი ურჩხული მოკლა და იქიდან ოქროს ვაშლები გაიტაცა. აიეტის ოქროს ვერძი და ჰესპერიდების ოქროს ვაშლები მათი სიხარბის სიმბოლოდაც შეიძლება ვიგულისხმოთ.

### დაუქირავებელი ჩრდილი

ერთმა კაცმა მეურმე დაიქირავა ტვირთის გადასაზიდად. გზად ხრიოკი ადგილები უნდა გაევლოთ. როცა ძალიან დაცხა, კაცმა ურემი გააჩერებინა და გადასაჩრდილებლად მის ქვეშ შეძვრა, რაზეც მეურმის პროტესტი დაიმსახურა: თქვენ ურემი კი დაიქირავეთ, მაგრამ მისი ჩრდილი არ დაგიქირავებიათო. მართალია, პოლიტიკური ეკონომია ცუდად მახსოვს, ვერც თანამედროვე ეკონომიკურ პრინციპებში ვერკვევი ზედმიწევნით, და მაინც, ის ყბადაღებული გადასახადი, დამატებითი ღირებულებისთვის რომ გვწაპნიან, სწორედ ერთგვარი ურმის ჩრდილი მგონია, რომელიც, მეურმეს თუ ვერწმუნებით, არ დაგვიქირავებია.

### კონტექსტი

იყო დრო, როცა პოეტები მხედართმთავრულ, ხოლო მხედართმთავრები პოეტურ დაფნის გვირგვინებზე ოცნებობდნენ. „ხან ხმალს ვიშიშვლებ, ხან კალამს“, — გორსილასო დე ლა ვეგას ეს სტრიქონი სწორედ იმ ეპოქის სულისკვეთებას გამოხატავს, როცა ესპანელთათვის „პოეზიაში პოლიტიკოსობა და პოლიტიკაში პოეტობა“ სულაც არ ყოფილა დაგმობის ღირსად მიჩნეული. მე მშვენივრად მესმის არსი ქართული ტრაგიკული კონტექსტისა, რამაც აკაკის ყველა ჩვენგანისთვის კარგად ცნობილი სარკასტული ფრაზა დააცდინა. სწორედ იმ კონტექსტის სამწუხარო განმეორებამ უბიძგა ბევრ თანამედროვე პოეტსაც პოლიტიკისკენ, თუმცა, არა მგონია, პოლიტიკისა და პოეზიის შეუთავსებლობა მათზე უკეთ ვინმეს ესმოდეს! (პოეტებს ოცნების ლაჟვარდებში ფრენა უყვართ, პოლიტიკოსები კი მყარ ნიადაგზე რეალურ ნახტომებს ამჯობინებენ. ოღონდ, რაც უფრო დიდი ნახტომისთვის ემზადები, მით უფრო უნდა მოიკაკვო წელში).

### პენდერიზმის „დედამთავარი“

მონობა არა მარტო უუფლებობა და არაადამიანური შრომაა, არამედ ამ შრომის დამამცირებელი პირობები და გარემოებანიც. ლიდიის დედოფალი ომფალა, რომელთანაც ჰერაკლემ მონობის სამი წელიწადა გაატარა, სახელგანთქმულ გმირს აიძულებდა, ქალური სამუშაო ასევე ქალის კაბაში გამოწყობილს ეკეთებინა. მართალია, ჰენდერული იდეებით გატაცებული ბევრი თანამედროვე მანდილოსანი ამაში რაიმე საჭოჭმანოს ვერ შენიშნავს (მსოფლიო სისხლის სამართლის პრაქტიკამ არ იცის შემთხვევა, რომ ცოლს თანამეცხედრე მაშინ მოეკლას, როცა ის უკანასკნელი ჭურჭელს რეცხავდა) და მეტიც, იქნებ მადლიერიც კი დამრჩეს, რომ მათი მოძრაობის სავარაუდო „დედამთავარი“ დავუსახელე.

### სიკვდილი – სამართლიანი და უსამართლო

„ჩვენ ყოველდღე ვკვდებით, რადგან ყოველი დღე გვართმევს სიცოცხლის ნაწილს და მაშინაც კი, როცა ვიზრდებით, სიცოცხლე გვაკლდება,“ — ამბობს სენეკა. როცა იმ პროცესებში, რომლებიც ბუნებრივად უნდა მოხდეს (მე აქ, ცხადია, უპირველესად სიცოცხლესა და სიკვდილს ვგულისხმობ), ადამიანი ერევა, დიდ ცოდვასთან გვაქვს საქმე.

„შენ უსამართლოდ კვდები,“ — ჭმუნვით უთხრა თურმე ათენელთაგან სასიკვდილოდ განწირულ სოკრატეს მისმა მეუღლე ქსანტიპამ.

„განა შენ ჩემი სამართლიანად სიკვდილის მომხრე ხარ?“ — მშვიდად შეპასუხებია მას მიღმეთის გზაზე შემდგარი ფილოსოფოსი. და მართლაც, სამართლიანად მხოლოდ ამაზრზენი დამნაშავე და პირწავარდნილი ბოროტმოქმედი უნდა კვდებოდეს („არსებობენ მკვდრები, რომლებიც სიკვდილით დასჯას იმსახურებენ!“ — ამბობს რუსთაველის თეატრის ერთ-ერთ სპექტაკლში გურამ საღარაძე), სხვა დანარჩენი სიკვდილი ყოველთვის უსამართლოა.

### შემთხვევითობა და გარდუვალობა

ერთადერთი შემთხვევითობა ადამიანის ცხოვრებაში, ალბათ, მისი ამქვეყნად გაჩენაა. სხვა დანარჩენი — გარდუვალობაა და ბედისწერა, ამიტომ, რამდენიც არ უნდა ვიჯიუტოთ, იმ უხილავ რუკაზე, რომელზეც ჩვენი საციცოცხლო მარშრუტებია მონიშნული, ვერაფერს შევცვლით. ძვირფას ცხედრებთან მდუღარე ცრემლების ღვრა, გლოვა და ზარი კი ოდენ უსასოო პროტესტია იმ უსამართლობის გამო, რომელიც, ადრე თუ გვიან, ყველა ჩვენგანის მიწიერ ყოფას დაუსვამს წერტილს.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი.
იხ. „სრ“ № 212, 214, 216, 217.

მემკვიდრეობა

# ქვათა სამოთხეები

## რას ღაღადებენ ჯავახეთის ძეგლები

**საქართველოში ვერსად შეხვდებით ერთად იმდენ გამოქვაბულს, რომდენსაც ჯავახეთში, მტკვრის ხეობაში. მიდიხარ გზაზე, მარჯვნივ თუ მარცხნივ კი გამოქვაბულები არ ილევიან, ერთმანეთს ცვლიან დიდი და მცირე კომპლექსები, კლდეში ობლად ნაკვეთი ტაძრები და უზარმაზარი საცხოვრებლები. ამ კომპლექსთაგან ყველაზე მეტად ცნობილი ვარძიაა, იგი ყველაზე დიდიცაა. დანარჩენებზე ბევრ ქართველს ნაკლებად სმენია, არადა, მათ მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ქართულ არქიტექტურასა და ისტორიაში. ალბათ, ვინც ამ მხარეში ნამყოფია (ძირითადად უფროსი თაობის წარმომადგენლები, თორემ, სხვადასხვა ყოფითი პრობლემების გამო, ახალგაზრდები აქაურობას ხშირად ვერ სტუმრობენ), დამეთანხმება, რომ არსად ისე მძაფრად და თვალნათლივ არ შეიგრძნობა ჩვენი ქვეყნის სიძველე და წინაპართა სუნთქვა, როგორც აქ, მაღალი კლდეებით შემოზღუდულ მტკვრის ხეობაში.**

ხერთვისიდან სამხრეთით, თურქეთის საზღვრამდე ქვაბ-სენაკთა და სახიზართა რამდენიმე კომპლექსია. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ვარძიის გარდა, გელსუნდას, ჭოლდას, ჭაჭკარის, საყუდაბელოს და მირახშანის კლდეში ნაკვეთი უბნებია, მარჯვენა სანაპიროზე – ვაჰანის ქვაბები, ბერთაყანა, თავკვეთილა (ვერტაში), მირაშხანი და ოლოდაა.

გელსუნდას გამოქვაბულთა კომპლექსი საკმაოდ დიდია და სამი უბნისგან შედგება. მათგან ყველაზე დიდი შუათანა უბანია, უზარმაზარი დარბაზით. ზედა უბანი ძალიან მაღლაა და ამჟამად მიუვალია, ხოლო მცირე უბანში, რომელიც სოფელ გელსუნდას ზედ აკრავს, შემორჩენილია იშვიათობად ქცეული ქვის ვეება კარი, რომელიც დღესაც მოძრაობს ანჯამებზე.

ჭოლდა გელსუნდას უბანზე გაცილებით მცირეა და მასში შემორჩენილია სამეკლესიანი სამლოცველო თავისი სამარხებით. საგულისხმოა, რომ აქ XIII-XIV საუკუნეებში დაიწერა ცნობილი „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოვლისავე“, ანუ ე.წ. „ბექსა და აღბუღას სამართალი“, რომელიც ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნშიც შევიდა, როგორც ქართული სამართლის უმნიშვნელოვანესი წყარო.

ვარძიიდან სამხრეთით საყუდაბელოა, ანუ დაყუდებულ ბერთა გამოქვაბულების სამონასტრო კომპლექსი, რომელშიც კლდის სამსართულიანი ეკლესიაა. ამავე კომპლექსთან ახლოს არის უძველეს დროში, ასევე კლდეში ნაკვეთი სარწყავი არხი, რომლისთვისაც 2,5 მეტრის სიმაღლის გვირაბებია გაჭრილი.

გადაჭარბებაში ნურავინ ჩაგვითვლის თუ ვიტყვით, რომ საყუდაბელოს მიდამოებში მოხვედრილი კაცი რეალობათა შეგრძნებიდან ამოვარდება. ეს პატარა სამოთხეა.

სანამ ვარძიამდე მიხვალთ, გზად ვანის ქვაბები შემოგეფეთებათ. ექსკურსანტები გულგრილად ჩაუვლიან კლდიდან მომზირალ ქვაბულებს და პირდაპირ ვარძიისკენ აიღებენ გეზს. წლიდან წლამდე ამაოდ ელის მნახველებს ქართველ ბერთა ეს უძველესი სავანე.

ვანის ქვაბები VIII-XVI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების და კულტურის ძეგლია. ქვაბთა ერთი ნაწილი VIII საუკუნეშია გამოკვეთილი, ნაწილი კი IX-XI საუკუნეებში. თამარის ეპოქაში მონასტრის დაზიანებული ნაწილის რეკონსტრუქცია დაიწყო. ამ საქმის მოთავე მონასტრის პატრონი იჩქით გურგენისძე ყოფილა. მან აღადგინა და ძვირფასი ხატებით შეამკო წმ. გიორგის ტაძარი. მის გვერდით ააგო საგვარეულო ეკვდერი და ორივე შესასვლელში თავისი მოღვაწეობის ამსახველი წარწერა გააკეთა. თამარის დროისაა ასევე ანტონ ჭყონდიდელის მიერ აგებული მონასტრის გალავანი და მცირე კარიბჭე.

ამჟამად ვანის ქვაბებში 200-მდე გამოქვაბულია შემორჩენილი. სპეციალისტები აქ 22 სართულს ითვლიან. თუმცა, ქვედა სართულების უმეტესობა დღეს მიწით და კლდის ნაშალი ქვა-ღორღით არის ამოვსებული.



ვანის ქვაბები.

შთამბეჭდავია კომპლექსის ბოლო სართულზე მერცხლის ბუდესავით მიყუჟული მცირე გუმბათიანი ეკლესია. გარედან იგი თეთრადაა მობათქაშებული, ამიტომ შორიდანვე იტაცებს თვალს თავისი სიკოხტავით და მშვენიერებით.

დღეს ამ ეკლესიაში მოხვედრა ძალიან რთულია. კლდეში ვერტიკალურად ჩაჭრილ გვირაბებში აცოცება სპეციალური აღკაზმულობის გარეშე გამოცდილ ალპინისტსაც გაუჭირდება. ერთ დროს, როცა სახელმწიფო კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ზრუნავდა, აქ თურმე რკინის კიბეებიც ყოფილა და უპრობლემოდ მოხვდებოდით ზედა სართულზე. შემდეგ, ამ კიბემაც ქვეყანაში სხვა ლითონების ბედი გაიზიარა და გაქრა – უეჭველია, ვიღაცამ ჯართში ჩააბარა. ჯართს ქართველები ყოვლად გამოუსადეგარ რკინის ნივთებს ვეძახით და ერთი რამაა საკვირველი – რატომ ჩათვალა ვიღაცამ, რომ ეს კიბე ანუ გზა ტაძრისკენ, აღარავის სჭირდებოდა?

ამ მშვენიერი ტაძრის კედლებზე XVI საუკუნის II ნახევარში შეხიზნულ ქალებს მელნით სხვადასხვა სტრიქონები წაუწერიათ, მათ შორის „ვეფხისტყაოსნისა“ და „როსტომიანის“ სტროფთა უძველესი ნიმუშები. წარწერების ავტორები არიან: გულქანი, ანა რჩეულიშვილი, თუმიან გოჯიშვილი, მისი და შაღაბანი სულთანი და სხვანი. წარწერებიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისინი აქ იძულებით მოუყვანიათ და თავიანთ ბედს ემდურიან. ერთი ასეთი წარწერა გვამცნობს: „ვაიმე, იმედო, ნახვამდის!..“ დღეს აქ უძველესი ასოების გარჩევა ხელოვნური ნაჯღაბნებისგან ძალიან ძნელია. პირდაპირ გასაოცარია, რომ ადამიანი მხოლოდ იმიტომ მოძვრება ამ სახიფათო გზაზე, რომ მერე ტაძრის გუმბათში თავისი სახელი დაწეროს და მხატვრული რუსულით მიაჯღაბნოს „Лупов первоко всклята“. ეს ხელოვნური წარწერები მწვავე ვირუსივითაა მოდებული ქართულ ტაძრებს და, როგორც ჩანს, ისეთი დაუნდობელი სენია, ყველა კუთხე-კუნჭულს რომ მოივლის. იგი მიუვალი კლდის ქარაფზეც მისწვდომია ქართული ხუროთმოძღვრების „პატარა მარგალიტს“.

იხ. მე-8 გვ.



ოლოდას ქვაბების ეკლესია.



საყუდაბელო.

ინფორმაცია

### რა ღირს ქარქაშაძის ქონება?

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ყოფილი რექტორის ნაპოლეონ ქარქაშაძის ქონების ღირებულებას ექსპერტიზა შეაფასებს, რის შემდეგაც საოლქო სასამართლოში ქონების კონფისკაციის შუამდგომლობის განხილვა განახლდება. ამის შესახებ ინტერ-პრესს ქარქაშაძის ადვოკატმა გოჩა სვანიძემ განუცხადა.

ექსპერტიზის დანიშვნა დაცვის მხარემ მოითხოვა. ქარქაშაძის ადვოკატები სასამართლოს მიერ ქონების კონფისკაციაზე მსჯელობას უკანონოდ მიიჩნევენ, მაშინ როცა სასამართლოს გადაწყვეტილებით, ქარქაშაძის მიერ სახელმწიფოსთვის ზარალის მიყენების ფაქტი ჯერჯერობით არ დადასტურებულა.

საოლქო სასამართლო საბურთალოს ტერიტორიაზე მდებარე ქარქაშაძის კუთვნილი საცხოვრებელი ბინების შეძენის კანონიერებაზე მსჯელობს. ბინები სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო ბიურომ რამდენიმე დღის წინათ დააყადაღა.

### აინტერესებთ „იაკ-42“

ბათუმის მერიის ბალანსზე რიცხული თვითმფრინავის „იაკ-42“-ის იჯარით აღების შესახებ აჭარის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროში ორი განაცხადი შევიდა. განაცხადები ავიაკომპანია „თბილავიამშენმა“ და 16 სექტემბერს რეგისტრირებულმა ახალმა ავიაკომპანიამ „ბათუმის ავიახაზებმა“ შეიტანეს. განაცხადების გაცნობა ფინანსთა სამინისტროში საჯაროდ მოხდა.

ორივე კომპანია მზადაა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები შეასრულოს – ზამთარში ბათუმი-მოსკოვის მიმართულებით რეისი კვირაში ერთხელ განახორციელოს, ხოლო ზაფხულის სეზონზე კვირაში ორჯერ. ერთი ფრენის დროს კი, საათში ბიუჯეტში 600 დოლარი გადაიხადონ.

შპს „ბათუმის ავიახაზებმა“ აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დამატებითი პირობები შესთავაზა. ფრენებზე ზაფხულში 30-პროცენტიანი ფასდაკლება ბილეთის ფასზე და დამატებითი სამუშაო ადგილები.

### ჯერ „ბოლივუდი“...

საქართველოში მალე ერთობლივი ქართულ-ინდური ფილმების წარმოება დაიწყება. ამის შესახებ გუშინ სასტუმრო „დიპლომატში“ გამართულ პრესკონფერენციაზე ინდოეთის კინოკომპანია „ბოლივუდის“ გენერალურმა დირექტორმა არუნ კიმარმა განაცხადა.

მისი თქმით, თბილისში დაგეგმილია ახალი მრავალდარბაზიანი კინოკომპლექსის აშენება, ან ერთ-ერთი დანგრეული კინოთეატრის რეკონსტრუქცია.

— თანამედროვე ინდურ ფილმებში სხვადასხვა ქვეყნებში გადაღებულ მუსიკალურ ნომრებს სვავენ, რაც მაყურებელს საშუალებას აძლევს ფილმის ყურებისას სხვადასხვა ქვეყნის ლამაზ ქალაქებში იმოგზაუროს, მათ შორის საქართველოში — აღნიშნა კიმარმა.

ინტერ-პრესი.

გვირეკავენ, გვეკითხებიან

**– გთხოვთ განმიმარტოთ, აქვს თუ არა შეთავსებით მომუშავე მუშაკს შვებულებით სარგებლობის უფლება და როგორი წესით?**

**მანანა კუხიანიძე.**

– შეთავსებით მომუშავე მუშაკს ეძლევა უხელფასო შვებულება იმ პერიოდში, როდესაც იგი სარგებლობს კუთვნილი ფასიანი შვებულებით – ძირითადი სამუშაო ადგილიდან.

**– პროფესიული კავშირი ერთდროულად დახმარებას უწევს ეკონომიკურად მძიმე მდგომარეობაში მყოფ პროფკავშირის წევრებს – 15-20 ლარის ოდენობით, რომელსაც რაიონული საგადასახადო ინსპექცია გვიბეგრავს. ასევე ახორციელებენ დაბეგვრას დედათა და ბავშვთა საგზურების ღირებულებებზე.**

**მიგვაჩნია რა აღნიშნული არასწორად, გთხოვთ განგვიმარტოთ, ვის მივმართოთ ამ საკითხთან დაკავშირებით?**

**თინა ჯულელი.**

– თქვენთვის საინტერესო საკითხზე გირჩევთ მიმართოთ საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტს, ვინაიდან სხვა რომელიმე ორგანო მოკლებულია კანონიერ შესაძლებლობას გადაწყვიტოს თქვენს შეკითხვაში დასმული – პროფკავშირის წევრებისთვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხი.

**– ჩემი ოჯახი შედგება 4 სულისგან. ვარ II ჯგუფის ინვალიდი. სხვა ოფიციალური შემოსავალი არ მაქვს.**

**მეკუთვნის თუ არა რაიმე დახმარება და ვის უნდა მივმართო?**

**მიხეილ ახვლედიანი.**

– II ჯგუფის ინვალიდებისთვის, რომელთაც ოჯახში ჰყავთ თუნდაც ერთი შრომისუნარიანი წევრი, სოციალური დახმარების დანიშვნა მოქმედი კანონმდებლობით, სამწუხაროდ, გათვალისწინებული არ არის.

შეკითხვაში არ აღნიშნავთ თქვენი ოჯახის წევრები შრომისუნარიანები არიან თუ შრომისუუნაროები, ამიტომ იმის გასარკვევად, გეკუთვნით თუ არა სოციალური დახმარება, უნდა მიმართოთ თქვენი რაიონის სოციალურ საკითხთა განყოფილებას.

კერძო აზრი

# აი, სად უნდა ვეძიოთ კრიზისის ფესვები

(მესამე გვერდიდან)

გაზსა და ელექტროენერგიაზე. თუ კვლავაც ასე განვაგრძობთ, წინსვლა არასოდეს გვეღირსება, ერთეული პიროვნებებისთვის ჩამორთმეული ნაძარცვი ქონება საარსებოდ დიდხანს არ გვეყოფა. მოსახლეობის ენთუზიაზმი რომ შევინარჩუნოთ და არსებული კრიზისული მდგომარეობა დავძლიოთ, უნდა შევიგნოთ, რომ ისეთი პროდუქციის იმპორტი, რომლის წარმოება ჩვენთანაც შეიძლება, ქვეყნის ეკონომიკის გამანადგურებელია. მზა პროდუქციის მომხმარებლიდან საქართველო მის მწარმოებლად უნდა გადაიქცეს.

ამისთვის კი საჭიროა სამარცვლე (ხორბალი, ქერი, სიმინდი, მზესუმზირა, სოია, სხვა პარკოსანი საკვები კულტურები) მეურნეობის განვითარება. მიწების დაქუცმაცებამ და მსხვილი წარმოების მოშლამ, ფაქტობრივად, ძალზე დააქვეითა ამ მეურნეობის დონე. ხელისუფლებამ ყოველნაირად უნდა წაახალისოს მსხვილი საფერმერო მეურნეობების მოწყობა, მიწის მაღალ აგროტექნიკურ დონეზე დამუშავებისთვის მექანიზაციის თანამედროვე საშუალებებით აღჭურვილი აგროსერვისის შექმნა, იმპორტული მარცვლეულის მოხმარების შეზღუდვა. ამასთან, გაბედულად უნდა გადაიდგას ნაბიჯები მიწის მოცდენის აღსაკვეთად. თუ კაცს არ ძალუძს აუცილებელი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულება, მან სამოღვაწეოდ ან სამოქმედოდ სხვა სფერო უნდა აირჩიოს.

ხომ ცნობილია, რომ საკმაოდ დიდი ფართობები უქმად ცდება, ის დაბევებული აქვს ისეთ ხალხს, რომელიც საერთოდ არ გაჰკარებია თავის სამფლობელოს, ნებსით თუ უნებლიეთ საბოტაჟს უწევს ქვეყანას, რომელსაც ასე სჭირდება აქ მოწეული პროდუქცია. მიწა არ არის ის ობიექტი, რომელიც შეგიძლია, არ გამოიყენო. მკაცრად უნდა გაკონტროლდეს მიწის გამოყენების მდგომარეობა, ის ქვეყნის სამსახურში უნდა ჩადგეს. მიწის ეფექტიან გამოყენებაზეა დამოკიდებული როგორც მცენარეული, ისე მეცხოველეობიდან მიღებული სასურსათო პროდუქციის წარმოება. უნდა მოვეშვათ მიწის დამარხვას ისეთი ობიექტების შენებით, რომელთა შექმნა გადაუდებელ აუცილებლობას არ წარმოადგენს, ვისწავლოთ მიწისადმი დამოკიდებულება განვითარებული ქვეყნების მაგალითზე. არ უნდა იფლანგებოდეს ასე უანგარიშოდ ეს სიმდიდრე, რომელიც მოჭარბებულად სულაც არ გვაქვს.

ჩვენ სულაც არ ვფიქრობთ, რომ ისეთი პროდუქციის წარმოება, როგორიცაა ხილი, ყურძენი, ციტრუსები, მეორეხარისხოვანი საქმეა. პირიქით, შესაბამისი დარგების განვითარება აუცილებელია, მაგრამ ამ პროდუქციის რეალიზაციის პრობლემების მოსაგვარებლად არ უნდა წავიდეთ ისეთ ნაბიჯზე, რაც სხვას საშუალებას მისცემს, თავისი პოლიტიკური ნება მოგვახვიოს თავს, ჩვენთვის საზარალო საქმე ჩაგვადენინოს.

იმისი გაანგარიშება, დღეს რამდენად მომგებიანია ამ პროდუქციის წარმოება მარცვლეულთან შედარებით, არასწორია, არაგონივრულია, როცა საქმე ქვეყნის დამოუკიდებლობას ეხება. თავის დროზე დარგების განვითარების ასე რადიკალურად მიმართულების შეცვლა ზოგიერთის კერძო ინტერესს ემსახურებოდა, რაც ასე ცუდად დამთავრდა. დაე, ესეც ჭკუის სასწავლებლად ვიმყოფინოთ!

საკუთარი ელექტრომეურნეობა უნდა მოვაწყოთ როგორც ჰიდრორესურსების, ისე ენერგიის სხვა არატრადიციული, განახლებადი წყაროებით. ღმერთმა გვიბოძა ქვეყანა, რომელიც ასეთ წყაროებს ფლობს, გამოვიყენოთ ის ჭკვიანურად, მომჭირნედ. რისთვის გვჭირდება სხვასთან ხვეწნა-დაჩოქება იმ დროს, როცა არის საშუალება, დამამცირებელ მდგომარეობასა და მძიმე უღელს თავი დავაღწიოთ. როცა ასეთ დიდ საქმეს შევეჭიდებით, დროებით უფრო ნაკლებადმნიშვნელოვანი გვერდზე უნდა გადავდოთ, ძირითადი ფულადი და მატერიალური რესურსები საკუთარ ელექტრომეურნეობაში დავაბანდოთ, მოვიზიდოთ როგორც უცხოური, ისე საკუთარი მოსახლეობის სახსრები, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელს ასე დაკარგული აქვს რწმენა საერთო საკუთრებისადმი, რადგან ბევრჯერ აგემეს მოტყუების სიმწარე.

ჩვენ აქ მხოლოდ ეკონომიკის ორ სფეროს შევეხეთ, ქვეყნის განვითარებისთვის ისინი ერთნაირად მნიშვნელოვანია. ეჭვგარეშეა, სხვა დარგების განვითარებისთვის პრობლემების მაღალეფექტიანი გადაწყვეტა იმავე პოზიციიდან უნდა მოხდეს, რაც ქვეყნისთვის არის სასარგებლო და საჭირო. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ საკუთარი საქმეების მოსაგვარებლად უპირველესად საკუთარი შესაძლებლობები უნდა გამოვიყენოთ.

**გიორგი მაძლარაშვილი,**
**პროფესორი.**

პრობლემა

# რა გახდა ეს კოლორადოს ხოჭო?

## კიდევ ერთხელ მავნე მწერებთან ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდების შესახებ

**დღეს საქართველოს მეცნიერებისთვის სოფლის მეურნეობის განვითარება, გარემოს დაცვა და მოსავლიანობის გადიდება, ძირითადი ამოცანაა. მავნე მწერების მიერ სოფლის მეურნეობისთვის მიყენებული ზარალი 10-20 პროცენტს აღწევს. კერძოდ, კარტოფილის მავნებელი კოლორადოს ხოჭოს მიერ მიყენებული ზარალი აურაცხელია. ასევე დიდია მუხის არაფარდი პარკმხვევიით, კალიებით, მზომელებით, ხვატარებითა და სხვა მავნებლებით გამოწვეული ზარალი.**

ჩამოთვლილი მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლა დღეს ჩვენში, ძირითადად, ქიმიური (პესტიციდური) და ზოგ შემთხვევაში ბიოლოგიური (ბაქტერიული) პრეპარატებით წარმოებს. შხამქიმიკატებით გამოწვეული გარემოს დაბინძურება, დაბალი ეფექტი, მისი ძვირი ღირებულება საგრძნობი პრობლემებია, ამიტომ ჩვენს მიერ შემოთავაზებული ნემატოდური ბიოპრეპარატის პრაქტიკაში გამოყენება სამივე ამ უარყოფით მხარეს გამოთიშავს. საქართველო მსოფლიოში მესამე ქვეყანაა აშშ და კანადის შემდეგ, სადაც 35 წელია, რაც ნემატოდობაქტერიალური კომპლექსი (ნ.ბ.კ.) შეიქმნა. სამწუხაროდ, დღემდე არც სახელმწიფო გვეხმარება და არც სპონსორი გამოიძებნა. საჭიროა 260 ათასი აშშ დოლარი, რათა წარმოება ამუშავდეს. დღეს ნ. ბ. კ. 57 ქვეყანაშია დანერგილი, მაღალეფექტიანი, ეკოლოგიურად სუფთა, იაფი პრეპარატი ყველგან ფართოდ იკიდებს ფეხს, ჩვენთან კი?..

პრეპარატის ზემოქმედება უვნებელია ყველა ცხოველისა და ადამიანისთვის. იგი არჩევითად მხოლოდ მწერებზე მოქმედებს, დღეისთვის იგი 254 სახეობის მწერზეა გამოცდილი (ჩვენში – 17 მავნე მწერზე), მიღებულია მაღალი ეფექტი. ბიოპრეპარატის წარმოებაში თუთის პარკმხვევიას გამოყენებამ პრეპარატი ოთხჯერ უფრო გააიაფა, ვიდრე აშშ-ს თაფლის ფიჭის ჩრჩილით პრეპარატის მიღებამ. ნემატოდების გამოსავლიანობა თუთის პარკმხვევიას (აბრეშუმის ჭიის) მატლებიდან და ჭუპრიდან ორჯერ მეტია აბრეშუმის ჭიის ტანის დიდი ზომის გამო, სადაც ნემატოდების გამრავლება სამ თაობას იძლევა), თაფლის ფიჭის ჩრჩილში და სხვა მწერში კი მხოლოდ ორს (ნემატოდების რაოდენობა 210 000-280 000, აბრეშუმის ჭიაში კი – 460000-480000-ზე მეტია).

ნ. ბ. კ.-ს ორმხრივი მოქმედება ახასიათებს. იგი მცენარის ფოთოლსა და ღეროზე დასახლებულ მატლებს (ნ. ბ. კ.-ს შესხურების შედეგად) ხოცავს, დახოცილი მატლებიდან გამოსული ათეული მილიონობით ნემატოდა კი ნიადაგში ხვდება, სადაც უკვე ჩვენს ჩაურევლად იქ მობინადრე მწერების რიცხოვნობას არეგულირებს. ასეთი უნივერსალობა არც ერთ პესტიციდს და სხვა ბიოპრეპარატს არ ახასიათებს. პრეპარატი ნ. ბ. კ. მზეზე, შესხურებიდან 3-5 საათის შემდეგ, შრება. ამიტომ წესდებაშიც აღნიშნულია და აქაც ვიმეორებთ, რომ პრეპარატის შესხურება უნდა მოხდეს საღამოს მზის ჩასვლის შემდეგ, ან ერთი საათით ადრე. სამუშაო სითხეს, ე. ი. პრეპარატს, რომელიც გამიზნულია შესასხურებლად, ჭურჭელში ემატება შაქრის ბადაგი ან ერთპროცენტიანი გლიცერინის ხსნარი, რაც პრეპარატის გამოშრობას ხელს უშლის.



**ჩვენს მიერ შექმნილი ბიოპრეპარატი ნ. ბ. კ. პატენტირებულია (პატენტი №00001), სერტიფიცირებულია – (სერტიფიკატი №062) და შეტანილია სახელმწიფო წიგნში – §90.**

დღემდე ზოოლოგიის ინსტიტუტის ენტომონემატოლოგიის ლაბორატორიაში ჩატარებულია ათეულობით ცდა როგორც ლაბორატორიულ, ისე ველის პირობებში და სრულიად დამაჯერებელი და მაღალი შედეგია მიღებული, ისიც მხოლოდ ერთი შესხურებით.

1991 წელს სამტრედიაში ამერიკული თეთრი პეპელას წინააღმდეგ გამოიყენეს პრეპარატი ნ. ბ. კ., ერთი შესხურებით მატლების სიკვდილიანობამ 71 პროცენტს მიაღწია. ასევე მაღალი შედეგებია მიღებული პრეპარატის მუხის არაფარდი პარკმხვევიას, მზომელების, ხვატარებისა და ბუზების, მატლების წინააღმდეგ გამოყენებისას.

იხ. მე-6 გვ.

◎ მსოფლიო მბრძანებლები

# ნაპოლეონი – „თავისუფლების იმპერატორი“



## ახალი მაკედონელი

**1807 წლის ივნისი გახდა ნაპოლეონის იმპერიულ სწრაფვათა მწვერვალი. მთელი ევროპა დანციგიდან (დღევანდელი პოლონეთის ქალაქი გდანსკი) ნეაპოლამდე მის ფერხთით იყო გაგებული. არ არსებობდა ძალა, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევდა ფრანგების სწორუპოვარ არმიას. ურჩი ინგლისი ლაფავდა სულს საზღვაო ბლოკადის მარწუხებში.**

მაგრამ ნაპოლეონმა, რომელმაც ირწმუნა თავისი უძლეველობისა, შეცდომების დაშვება დაიწყო. ერთ-ერთი ასეთი შეცდომა საბედისწერო აღმოჩნდა. 1808 წლის მაისში საფრანგეთის იმპერატორი უხეშად ჩაერია ესპანეთის საქმეებში – მან წაართვა გვირგვინი მეფე კარლოს მეოთხეს და გადასცა იგი თავის ძმას – ჟოზეფს. სულ რამდენიმე დღეში მთელს ესპანეთს მოედო სახალხო აჯანყება. ქვეყანაში შეყვანილი მიურატის არმია მახეში გაება. ქალები კლავდნენ მძინარე ფრანგ ჯარისკაცებს, ბავშვები მყესებს უჭრიდნენ ცხენებს, მღვდელთმსახურები მოუწოდებდნენ უამრავ პარტიზანს მოეღოთ ბოლოთ „ანტიქრისტეს ურდოებისთვის“. ვერც მოწყალებამ, ვერც ტერორმა ვერ გაანელა თავისუფლებისმოყვარე ესპანელთა გააფთრებული წინააღმდეგობა. ერთი წლის განმავლობაში ნაპოლეონმა ესპანეთში თავისი არმიის ნახევარი დაკარგა.


ნაპოლეონი ფონტებლოს ციხესიმაგრეში.

უკმაყოფილება სულ უფრო იზრდება ფრანგების მიერ ოკუპირებულ სხვა მიწებზეც. დიდმა ბეთჰოვენმა ნაპოლეონისადმი მიძღვნილი სიტყვები წაშალა თავისი გენიალური მესამე სიმფონიის პარტიტურიდან, უბრალო ტიროლელმა მიკიტანმა ანდრეას ჰოფენმა კი პარტიზანთა მთელი ლაშქარი შეკრიბა. 1809 წელს საფრანგეთს ომი გამოუცხადეს ავსტრიელებმა, მაგრამ ისინი დამარცხდნენ ვაგრამთან. სხვათა შორის, ამან გარდატეხა შეიტანა ნაპოლეონის პირად ცხოვრებაში – ზოგიერთი პროვინციის გარდა, იმპერატორი ფრანცი იძულებული გახდა მისთვის ცოლად მიეცა თავისი ქალიშვილი, ნაპოლეონი გაეყარა ჟოზეფინას და 19 წლის ერცჰერცოგინია მარია-ლუიზა ჩავიდა პარიზში. ბონაპარტი მონუსხული იყო მისი სილამაზით. ერთხელ მან თავის კარისკაცებს ასეთი რამ უთხრა: „ცოლად შეირთეთ ავსტრიელი ქალები! ისინი ხომ ვარდებივით მშვენიერები არიან“. ერთი წლის შემდეგ მარია-ლუიზას გაუჩნდა მემკვიდრე, რომელსაც ასევე უწოდეს ნაპოლეონი. ახალშობილს უნდა გაეგრძელებინა მამის სახელოვანი საქმეები. თუ მამა ვერ შეძლებდა მთელი მსოფლიოს დაპყრობას, ეს ვაჟს უნდა გაეკეთებინა.

მაგრამ 1812 წლის დამდეგს ნაპოლეონის მდგომარეობას ბრწყინვალეს მხოლოდ მლიქვნელი კარისკაცები თუ უწოდებდნენ. ინგლისი არათუ ნებდებოდა, არამედ გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევდა ზღვაზე გაჩაღებულ სავაჭრო ომში, ხელს უშლიდა საფრანგეთში საჭირო საქონლის მიწოდებას. გრძელდებოდა აჯანყება ესპანეთში. დაუპყრობელი იყო რუსეთი. ბონაპარტმა გადაწყვიტა, რომ სწორედ რუსეთისთვის უნდა მიეყენებინა მორიგი დარტყმა.

როგორც ყოველთვის, ამ ოპერაციასაც უძღოდა მძლავრი პროპაგანდისტული კამპანია – იმპერატორს უწოდებდნენ ახალ ალექსანდრე მაკედონელს, რომელიც ებრძოდა აზიელ ბარბაროსებს. ათასგვარ პასკვილებს თხზავდნენ რუს კაზაკებზე, რომლებშიც ისინი გამოჰყავდათ სისხლისმსმელ ველურებად, თითქმის კაციჭამიებად. ნაპოლეონი აპირებდა რუსეთის წინააღმდეგ წამოეწყო მთელი დასავლეთის ჯვაროსნული ლაშქრობა, მასში მონაწილეობა უნდა მიეღოთ გერმანელებს, იტალიელებს, ესპანელებს, პოლონელებს. ნაპოლეონის უძლეველი არმია 610 ათასს აღწევდა. ეს იყო ყველაზე მძლავრი სამხედრო მანქანა, რომელიც კი ოდესმა გამოჩენილა ევროპის გზებზე. 1812 წლის 24 ივნისს ფრანგებმა გადალახეს ნემანი და შეიჭრნენ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე.

და აქ ნაპოლეონი კვლავ დაალალატა გეოგრაფიის სუსტმა ცოდნამ. მან ვერ გაითვალისწინა რუსეთის თვალუწვდენელი სივრცეები, ამ ქვეყნის უაღრესად მკაცრი ჰავა, აგრეთვე ის, რომ რუსეთში არ იყო ევროპული ყაიდის გზები. ყოველდღიურად ავადმყოფობებისა და დეზერტირობის გამო ფრანგების არმია 5-6 ათას კაცს ჰკარგავდა. მაგრამ ასეთი დანაკარგების მიუხედავადაც კი ნაპოლეონს ჰქონდა, ასე ვთქვათ, „რიცხობრივი უპირატესობა“. ორივე რუსული არმია, რომლებიც სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილებში მოქმედებდნენ, მხოლოდ 175 ათას კაცს ითვლიდა.

სმოლენსკის დატოვებისა და ბოროდინოს ბრძოლის შემდეგ, ფელდმარშალი კუტუზოვი იძულებული გახდა უკან დაეხია, რათა გადაერჩინა გვარიანად შეთხელებული, მაგრამ კვლავ სულით ძლიერი რუსული არმია. როცა 14 ოქტომბერს რუსეთის დედაქალაქში შევიდა, ნაპოლეონმა შვებით ამოისუნთქა: „ომი დასრულდა, ახლა დაველოდოთ, თუ როდის მოვა ჩვენთან მუხლებზე ხოხვით რუსთ ხელმწიფე ალექსანდრე“. მაგრამ ყოველივე ამის ნაცვლად ფრანგებმა მიიღეს მთლიანად გადამწვარი მოსკოვი, პარტიზანების ულმობელი თავდასხმები და კარსმომდგარი უმკაცრესი ზამთრის პირობებში სურსათ-სანოვაგის სრული უკმარისობა. ნაპოლეონი მიხვდა, რომ რუსეთიდან უნდა წასულიყო...

კუტუზოვის მთავარი გამარჯვება გახდა მარჯვე მანევრი, რომლის წყალობითაც მოწინააღმდეგე შეიტყუეს გაპარტახებულ სმოლენსკის გზაზე. მალე მთელი გზა მოფენილი იყო დახოცილი ჯარისკაცების გვამებითა და ცხენების ლეშით, ფრანგების მიერ მიტოვებული ზარბაზნებით და ნაძარცვ-ნაალაფევით. თოვლის ტყვეობაში შემორჩენილ ფრანგებს ხოცავდნენ სახალხო მოლაშქრეები.

26 ნოემბერს 200 ათასმა ფრანგმა და მათმა მოკავშირეებმა დაიწყეს გადასვლა სასაზღვრო მდინარე ბერეზინაზე. მათი უმრავლესობა ან მდინარეში დაიხრჩო, ან დაიღუპა ნაპირზე გაჩაღებულ ბრძოლებში. 5 დეკემბერს იმპერატორმა მიატოვა არმია, სარდლობა გადასცა მიურატს, რომელსაც უკან მიჰყვებოდა 30 ათასი ჩამოძონძილი, სიქაგაცლილი ჯარისკაცი – ყოველივე ის, რაც დარჩა ძლევამოსილი 610-ათასიანი არმიიდან. „სად არის დიდი არმია?“ ჰკითხა ნაპოლეონს ერთ-ერთმა დაახლოებულმა პირმა. „დიდი არმია აღარ არსებობს“, – გულგრილად უპასუხა ნაპოლეონმა, თითქოს საქმე ეხებოდა დაკარგულ ღილს.

## დიდიდან სასაცილომდე

**სასაცილომდე სათუარია, მაგრამ რუსეთში ლაშქრობის ჩაფლავებას ბონაპარტზე დიდი გავლენა არ მოუხდენია. ევროპა კვლავ მის ხელში იყო. სამშობლოში კი 300 ათასი ახალწვეულისაგან შემდგარი ახალი არმია ელოდა. თუმცა, იგი გარკვეულწილად შეაშფოთა გენერალ მალეს ანეკდოტურმა შეთქმულებამ.** საპყრობილედან გამოქცეულმა ამ თვითმარქვიამ გამოაცხადა, რომ ნაპოლეონი დაიღუპა და კინაღამ პარიზსაც დაეუფლა. მეამბოხე გენერალი დააპატიმრეს და სიკვდილით დასაჯეს, მაგრამ ეს ცუდი ნიშანი იყო – ფრანგები ჰკარგავდნენ თავიანთი იმპერატორისადმი რწმენას. იმის იმედიღა რჩებოდა, რომ ომის შედეგად დასუსტებული რუსეთის არმია აღარ შეიჭრებოდა ევროპაში, მაგრამ რუსებმა გადაკვეთეს საზღვარი და პრუსიის მეფემ ფრიდრიხ ვილჰელმმაც გამოუცხადა ომი ნაპოლეონს. გამარჯვებულთა მხარეზე გადავიდნენ გერმანელი და იტალიელი მთავრები. 1813 წელს ფრანგები გამოდევნეს ესპანეთიდან. თითქოს ამას ელოდნენო, ავსტრიელებიც დაუყოვნებლივ ჩაებნენ ომში. იმავე წლის 15 ოქტომბერს 500 ათასი ფრანგი და მათი მოწინააღმდეგეები ერთმანეთს შეებნენ ლაიფციგთან. სამდღიანი ბრძოლის შემდეგ ნაპოლეონს უკან დახევა მოუწია. 1814 წლის მარტში ავსტრიის, პრუსიისა და რუსეთის არმიები, რომლებიც კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ მას, პარიზს მიუახლოვდნენ. ტიუილრის სასახლეში მარშლები, სენატორები, მინისტრები ემუდარებოდნენ იმპერატორს ტახტიდან გადამდგარიყო. „ესენი კაზაკები არიან! – ამბობდა ორპირი ტალეირანი. ისინი პარიზში ქვას ქვაზე არ დატოვებენ! ისინი გააუპატიურებენ ჩვენს ცოლებსა და ქალიშვილებს!“ (თვით ტალეირანს კი უკვე საიდუმლო მიმოწერა ჰქონდა რუსეთის იმპერატორთან ალექსანდრესთან: „ნაპოლეონი ნამდვილი ურჩხულია. იჩქარეთ პარიზში შემოსვლა, სანამ ამ უგუნურს ყველა არ დავუღუპივართ“.) გარემომცველი პირების დიდი ზემოქმედების შემდეგ იმპერატორმა 6 აპრილს მოაწერა ხელი ბრძანებას ტახტიდან გადადგომის შესახებ, რომელიც თავის ვაჟს დაუთმო. ორი დღის შემდეგ, ინტრიგების დიდოსტატებმა ტალეირანმა და ფუშემ გვირგვინი შესთავაზეს უკვე ხანდაზმულ ლუდოვიკო მე-18-ს, 1793 წელს სიკვდილით დასჯილი მეფის ძმას. კიდევ ხუთი დღის შემდეგ კი ნაპოლეონმა თავის მოკვლა სცადა...

დამარცხებული მტრის თაობაზე მოკავშირეებს სხვადასხვაგვარი გეგმები ჰქონდათ. პრუსიელი ფელდმარშალი ბლიუხერი აპირებდა ნაპოლეონის ჩამოხრჩობას, ინგლისელთა მხედართმთავარი ველინგტონი კი ოცნებობდა ბონაპარტის რკინის გალიაში გამომწყვდევაზე. იმპერატორი საშინელ დამცირებას გადაარჩინეს ალექსანდრე მეორემ და მისმა სიმამრმა – ავსტრიის იმპერატორმა ფრანცმა. ადამიანს, რომელიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ევროპის მბრძანებელი იყო, გადასახლება ელოდა.

ჯარისკაცებთან გამომშვიდობებისას ნაპოლეონმა თქვა: „გახსოვდეთ, მართალია თქვენ ჩემს გამო ბევრი რამ დაკარგეთ, მაგრამ მოიპოვეთ ყველაზე ძვირფასი რამ – დიდება“. ჯარისკაცებმა ჩვეულებისამებრ ერთხმად შესძახეს: „გაუმარჯოს იმპერატორს!“

## ხელისუფლების სათავეში დაბრუნება და არავითარი ომი

**გამარჯვებულმა მხარემ ნაპოლეონის გადასახლების ადგილად შეარჩია იტალიის პატარა კუნძული ელბა. ევროპის ყოფილი მბრძანებლის დაუოკებელმა ენერგიამ იქაც ჰპოვა გამოყენება. მან დაიწყო სასარგებლო წიაღისეულის საბადოების დამუშავება, ააშენა თეატრი, წამოიწყო რეფორმები, რითაც საკმაოდ დააშინა ადგილობრივი მწყემსები, რომლებიც კუნძულის მთელ მოსახლეობას შეადგენდნენ. მთელი ევროპა დასცინოდა ნაპოლეონის ასეთ „თამაშ თოჯინებით“. მაგრამ ევროპელი მონარქები ვერც კი იეჭვებდნენ, რომ მთელ საფრანგეთში უკვე დაიხლართა შეთქმულებათა უზარმაზარი ქსელი იმპერატორის ტახტზე დაბრუნების მიზნით.**

თავდაპირველად, ნაპოლეონს არ სურდა ელბის დატოვება, სადაც იგი აპირებდა მშვიდად ცხოვრებას ცოლ-შვილთან ერთად. მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ – მარია-ლუიზამ უარი თქვა ქმართან გამგზავრებაზე. ახალგაზრდა ქალმა სულ მოკლე ხანში გამოუნახა შემცვლელი ნაპოლეონს ავსტრიელი გენერლის ნეიპერგის სახით. მოგვიანებით მან გააჩინა ორი ბავშვი და აღარც კი გახსენებია ნაპოლეონი და მათი ვაჟი, რომელიც 21 წლის ასაკში გარდაიცვალა ისე, რომ არ უნახავს არც მამა და არც საფრანგეთი. ელბაზე გადასახლებულ ნაპოლეონთან ჩადიოდნენ მხოლოდ დედა და მისი და – პოლინა. არც გრაფინია მარია ვალევსკაიას დავიწყნია ყოფილი იმპერატორი. მან ნაპოლეონს ჩაუყვანა მათი ვაჟი – ხუთი წლის ალექსანდრ-ფლორიანი.

სწორედ ამ დროს დაებადა გეგმა იმპერატორს: იგი დაბრუნდება ხელისუფლების სათავეში, გაეყრება მოღალატე მარია-ლუიზას და ცოლად ითხოვს ვალევსკაიას. მას ექნება ყველაფერი: მოსიყვარულე ცოლი, ტახტის მემკვიდრე და ქვეყანა, რომელსაც იგი ბედნიერს გახდის. და არავითარი ომი – თუ მტერი არ დაესხმება თავს საფრანგეთს... 1816 წლის 26 თებერვალს ნაპოლეონმა გემით დატოვა ელბის ნაპირები. ინგლისელთა ფლოტს არ შეუშლია ხელი ამისთვის. შესაძლოა, ბრიტანელები განზრახ უბიძგებდნენ კიდეც თავიანთ დაუძინებელ მტერს უკანასკნელი ავანტიურისაკენ, რათა ერთხელ და სამუდამოდ გაესწორებინათ მისთვის ანგარიში. ინგლისელებს ეგონათ, რომ ნაპოლეონი განწირული იყო – მის წინააღმდეგ გამოვიდოდა მეფის მრავალათასიანი არმია და აუჯანყდებოდა მთელ საფრანგეთს, რომელიც ძალზე გატანჯა გაუთავებელმა ომებმა. ძველი თანამებრძოლები წყევლა-კრულვით მოიხსენიებდნენ ყოფილ იმპერატორს, მარშალმა ნეიმ კი დაიფიცა, რომ ნაპოლეონს პარიზში რკინის გალიით ჩაიყვანდა.

მაგრამ ინგლისელები მწარედ მოტყუვდნენ. როცა ნაპირთან მისულ გემს დახვდნენ შეიარაღებული ჯარისკაცები, ნაპოლეონმა მათ შესძახა: „ფრანგებო! ნუთუ, თქვენ ესვრით თქვენს იმპერატორს?“ ჯარისკაცებმა თოფები დაუშვეს.

**(დასასრული იქნება).**


ბოროდინოს ბრძოლა.

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 218-219.**

# წყალდიდობამ ჰაიტიში დიდი მსხვერპლი გამოიწვია

**სულ ცოტა 556 კაცი დაიღუპა ჰაიტიში ტროპიკული გრიგალის „ჟანას“ შედეგად გამოწვეული წყალდიდობის გამო.**

ქალაქ გონაივში ადამიანების დაღუპვის შესახებ იტყობინებოდა გაეროს სამშვიდობო მისიის წარმომადგენელი ტუისან კონგ-დუდუ, რომელმაც დაიმოწმა ჰუმანიტარულ სააგენტოთა მონაცემები.

როგორც გაეროს სამშვიდობო მისიის წარმომადგენელმა აღნიშნა, მეზობელ ქალაქ პორ-დე-პეში კიდევ 56 კაცი დაიღუპა. ჰაიტის მეზობელი პატარა კუნძული ტორტიუ თითქმის მთლიანად დაფარა წყალმა.

გაეროს სამშვიდობო მისიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მსხვერპლთა რიცხვი, შესაძლოა, კიდევ გაიზარდოს.

მანამდე კი მეზობელ დომინიკელთა რესპუბლიკაში შტორმს ემსხვერპლა 11 კაცი. გრიგალმა გეზი ატლანტის ოკეანისკენ აიღო.

ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენელთა თქმით, ორდღიანი კოკისპირული წვიმის შედეგად მდინარეები გადმოვიდნენ კალაპოტიდან. ჰაიტის დროებითმა პრემიერ-მინისტრმა ჟერარ ლატორტიუმ დახმარებისათვის მიმართა საერთაშორისო გაერთიანებას.



80 ათასი კაცი ქალაქ გონაივში უსახლკაროდ, საკვებისა და სასმელი წყლის გარეშე დარჩა, თქვა ლატორტიუმ. ადამიანებს მოუწიათ ღამეები გაეთენებინათ სახლების სახურავებზე, რადგან ქალაქის ქუჩები წყალუხვ მდინარეებად იქცა.

ამ რაიონის მრავალი მკვიდრი უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლება. ეს ქვეყანა ხშირად განიცდის წყალდიდობების შემოტევას თავისი ლანდშაფტის გამო: კუნძულზე თითქმის მთელი ტყეები გაჩეხილია.

კუნძულის მცხოვრებლებს დახმარებას უწევენ გაეროს მშვიდობისმყოფელები და საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაციების წარმომადგენლები. გაეროს მსოფლიოს სასურსათო პროგრამის ხელმძღვანელთა თქმით, ქალაქ გონაევისაკენ უკვე გაიგზავნა სურსათით დატვირთული 12 მანქანისაგან შემდგარი პირველი კოლონა.

წყლის დონე თანდათანობით კლებულობს, რაც ქალაქთან სახმელეთო კავშირის განახლების საშუალებას იძლევა, მაგრამ გაეროს თანამშრომლის ენ პოლსენის თქმით, მთელი რაიონის ტერიტორიის დაახლოებით ნახევარი კვლავ წყლით არის დაფარული.

# მძევლის ოჯახის წევრები ტონი ბლერს დახმარებას სთხოვენ

**ერაყში მძევლად აყვანილი ბრიტანეთის მოქალაქის ნათესავებმა საჯაროდ სთხოვეს ქვეყნის პრემიერ-მინისტრს ტონი ბლერს შეასრულოს მოთარეშეთა მოთხოვნები.**

კენ ბიგლის ოჯახმა ტელევიზიით საჯარო განცხადება გააკეთა მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ერაყში მოკლეს ამერიკელი მძევალი იუჯინ არმსტრონგი.

„ვთხოვ ტონი ბლერს, იფიქროს იმაზე, თუ რა დიდძალი სისხლი დაიღვარა უკვე ერაყში... მე ვთხოვ მას, შეასრულოს მოთარეშეთა მოთხოვნები, რათა მამაჩემი გადაარჩინოს. მხოლოდ თქვენ, ბატონო პრემიერო, შეგიძლიათ მისი ხსნა. თქვენ გყავთ შვილები და უნდა გრძნობდეთ, თუ რას განვიცდი მე“, – თქვა ბიგლის ვაჟმა.

ერაყის ექსტრემისტული დაჯგუფების წევრებმა განაცხადეს, რომ ორშაბათს მოკლეს სამი მძევლად აყვანილი უცხოელიდან ერთ-ერთი. არაბული ტელეარხი „ალ-ჯაზირა“ იტყობინებოდა, რომ ვიდეოფირი, რომელზეც აღბეჭდილია მკვლელობის კადრები, განათავსეს ინტერნეტში.

დაჯგუფების წევრები, რომელსაც მეთაურობს აბუ მუსაბ ზარქავი, მოითხოვენ ერაყის საპყრობილეებში მყოფი ორი ქალის განთავისუფლებას, რომლებიც ბრალდებულნი არიან მასობრივი განადგურების იარაღის შემუშავებაში. ბრიტანელი ინჟინრის კენ ბიგლის გარდა, მოთარეშეებს მძევლად ჰყავთ აგრეთვე ამერიკელი ჯეკ ჰენსლი.



ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურმა წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ერაყში იპოვეს ამერიკელი იუჯინ არმსტრონგის თავმოკვეთილი გვამი.

ზოგიერთი ექსპერტი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ არმსტრონგი პირადად ზარქავიმ მოკლა. ვიდეოფირზე აღბეჭდილი ხმა ემთხვევა წინათ გავრცელებულ სხვა ჩანაწერებს. ამერიკელებს მიაჩნიათ, რომ ზარქავის ეკისრება პასუხისმგებლობა ძალადობის იმ ტალღის აგორებისათვის, რომელიც ერაყს მოედო. ზარქავის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციისათვის ვაშინგტონი მზად არის გადაიხადოს 25 მილიონი დოლარი. დაჯგუფების წევრები აცხადებენ, რომ მეორე მძევალს სიკვდილით დასჯიან 24 საათის განმავლობაში, თუ მათ მოთხოვნებს არ შეასრულებენ.

# ჯონ კერი: ერაყში ომის დაწყება შეცდომა იყო

**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატმა დემოკრატიული პარტიისაგან ჯონ კერიმ მკაცრად გააკრიტიკა ჯორჯ ბუშის მიერ ერაყში განხორციელებული პოლიტიკა.**

კერიმ განაცხადა, რომ „ბუშმა უდიდესი შეცდომები დაუშვა სიტუაციის შეფასების დროს“.

პრეზიდენტის არჩევნებამდე ექვსი კვირით ადრე ჯონ კერის, როგორც ჩანს, თავის წინასაარჩევნო კამპანიაში სურს ძირითადი ყურადღება ეკონომიკიდან ერაყზე გადაიტანოს.

ზოგიერთი მეთვალყურის აზრით, კერის მცდელობა, გახდეს „ომის მოწინააღმდეგე კანდიდატი“, გაბედული, მაგრამ, შესაძლოა, მცდარი ნაბიჯია.

აქამდე სენატორ კერის არ ჰქონდა მკაფიოდ გამოკვეთილი პოზიცია. იმის თაობაზე, იყო თუ არა სადამ ჰუსეინის დამხობა სწორი გადაწყვეტილება.

მაგრამ ჯონ კერი, რომელიც თავის დროზე სენატში მხარს უჭერდა ჯორჯ ბუშისათვის სრული უფლებამოსილების მინიჭებას ერაყში საომარი მოქმედების დაწყების საკითხში, ახლა ერთმნიშვნელოვნად აცხადებს, რომ იგი ომს არ დაიწყებდა.

კერიმ აგრეთვე გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიერ გაკეთებული განცხადება იმის თაობაზე, რომ იგი იმ შემთხვევაშიც დაიწყებდა ომს, თუ ეცოდინებოდა, რომ სადამ ჰუსეინს არ ჰქონდა მასობრივი განადგურების იარაღი.

კერის თქმით, ერაყში დაწყებულმა კამპანიამ ამერიკელთა ყურადღება ჩამოაშორა უფრო სერიოზულ საფრთხეს – ტერორიზმს და უსამა ბენლადენს – და წარმოქმნა კრიზისი, რომელსაც, შესაძლოა, მოჰყვეს დაუსრულებელი ომი.

კერიმ ხაზი გაუსვა იმას, რომ ერაყის ომში უკვე დაიღუპა ათასზე მეტი ამერიკელი. მან წარმოადგინა კონფლიქტის მოგვარების გეგმა, რომელიც ოთხი პუნქტისგან შედგება. კერძოდ, კერის გეგმა გულისხმობს: მეტი მხარდაჭერის მოპოვებას სხვა ქვეყნებისგან, ერაყის უშიშროების ძალების მომზადების გაუმჯობესებას, ერაყელი ხალხისთვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევას და მომავალ წელს ქვეყანაში დემოკრატიული არჩევნების გამართვას.

კერის აზრით, ეს ღონისძიებები შექმნის იმის შესაძლებლობას, რომ ოთხი წლის განმავლობაში ერაყიდან გამოიყვანონ ამერიკელთა ჯარები, და მათი გამოყვანა უკვე მომავალი წლის ზაფხულიდან დაიწყოს.

პრეზიდენტი ბუში დაუყოვნებლივ გამოეხმაურა კერის კრიტიკას.

ნიუ-ჰემპშირში გამართულ მიტინგზე გამოსვლისას ბუშმა განაცხადა: „კერის ასეთი გამონათქვამი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, თუ როგორ იცვლის ჩემი ოპონენტი პოლიტიკურ შეხედულებებს. ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში კერი აცხადებდა: ის ადამიანები, რომლებსაც ეჭვი ეპარებოდათ, რომ ერაყი და მთელი მსოფლიო უკეთ იცხოვრებდნენ სადამ ჰუსეინის გარეშე, აგრეთვე ისინი, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მათი სიცოცხლე არ გახდა უფრო უსაფრთხო სადამ ჰუსეინის დაკავების შემდეგ, არ შეიძლება იბრძოდნენ შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტისთვის და არ შეიძლება გახდნენ ქვეყნის პრეზიდენტი“, – გაიხსენა ბუშმა კერის სიტყვები.



ბუშის საარჩევნო შტაბი კერის ადანაშაულებს ერაყის მიმართ არათანმიმდევრული პოლიტიკის განხორციელებაში და აცხადებს, რომ ომის დროს პოლიტიკის შეცვლა არ არის ის, რაც სჭირდება ერს.

# კოლუმბიაში მემარჯვენე პარტიზანების ლიდერი მოკლეს

**კოლუმბიაში მოკლეს მემარჯვენე ამბოხებულთა დაჯგუფების „თავდაცვის გაერთიანებული ძალების“ ერთ-ერთი ლიდერი მიგელ აროიავე. ეს მკვლელობა ეჭვქვეშ აყენებს ქვეყანაში სამშვიდობო პროცესის გაგრძელებას.**

როგორც კოლუმბიის სპეცსამსახურები აცხადებენ, აროიავე იყო არა მარტო პარტიზანების გავლენიანი წინამძღოლი, არამედ იგი კოლუმბიაში ერთ-ერთი მთავარი ნარკობარონიც გახლდათ.

მიგელ აროიავესა და მისი პირადი მცველების გვამები იპოვეს ორ ავტომობილში ქვეყნის აღმოსავლეთ პროვინციაში. ცხედრები ტყვიებით არის დაცხრილული.

აროიავე ხელმძღვანელობდა „ბლოკო სენტაუროს“ დაჯგუფებას, რომელშიც თითქმის ექვსი ათასი მებრძოლია გაერთიანებული. „თავდაცვის გაერთიანებული ძალების“ რიგებში იგი ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მეთაური იყო, ხოლო აროიავეს მონაწილეობა მთავრობასთან გამართულ სამშვიდობო მოლაპარაკებაში დამატებით მნიშვნელობას მატებდა ამ პროცესს.

ახლა, მისი სიკვდილის შემდეგ, ჯერჯერობით არ არის ცნობილი, თუ რას მოიმოქმედებს „თავდაცვის გაერთიანებული ძალების“ დაჯგუფება.

აროიავეს მოკვლა ბევრს სურდა კოლუმბიაში. ეჭვმიტანილთა შორის არიან ამბოხებული-მარქსისტები, მემარჯვენე დაჯგუფებების მეტოქეები, აგრეთვე კონკურენტი ნარკობარონები.

პოლიცია არც იმას გამორიცხავს, რომ აროიავე, შესაძლოა, მოკლეს მასთან დაახლოებულმა პირებმა, კერძოდ იმათ, ვისაც არ სურთ მთავრობასთან სამშვიდობო მოლაპარაკების გაგრძელება.

შეიძლება ითქვას, რომ კოლუმბიაში მოკლეს პარტიზანების ერთ-ერთი ყველაზე ულმობელი და სასტიკი ლიდერი, რომლის ინტერესების სფეროში შედიოდა კოლუმბიის ხუთი პროვინცია, აგრეთვე ქვეყნის დედაქალაქი ბოგოტა.




# მოკლედ

**ისრაელი შეერთებული შტატებისგან შეისყიდის თანამგზავრული დამიზნების, ეგრეთწოდებულ, „ჭკვიან“ ბომბებს. სულ ისრაელის მხარე 5 ათასი ასეთი ბომბის შესყიდვას აპირებს. გარიგების საფასურს – 319 მილიონ დოლარს – აანაზღაურებენ ისრაელისათვის ამერიკელთა მიერ გაწეული სამხედრო დახმარების ხარჯზე.**



* * *

**შვედეთის სამეფოს მიგრაციის სამმართველომ ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ანა ლინდის მკვლელს – 25 წლის ეთნიკურ სერბს მიხაილო მიხაილოვიჩს ჩამოართვა შვედეთის მოქალაქეობა მიხაილოვიჩის პირადი განცხადების საფუძველზე. მიხაილოვიჩი რჩება სერბეთისა და ჩერნოგორიის მოქალაქედ. თუ რამ აიძულა ასეთი ნაბიჯის გადადგმა დამნაშავეს, ჯერჯერობით ცნობილი არ არის.**



* * *

**ექვსი ეგვიპტელი სტუდენტი წარსდგება ისრაელის სასამართლოს წინაშე. მათ ბრალად ედებათ ებრაელი სამხედროების გატაცებისა და მკვლელობის დაგეგმვა. ეგვიპტის ხელისუფლება ამტკიცებს, რომ სტუდენტებს „მხოლოდ სურდათ გამოეხატათ სოლიდარობა პალესტინელი ხალხის მიმართ“.**

* * *

**გუანტანამოს ბაზაზე კუბელი პატიმრები უკვე მეოთხე დღეა განაგრძობენ შიმშილობას. შიმშილობა დაიწყო შეერთებული შტატების ტერიტორიაზე არალეგალურად შეღწევის მცდელობის დროს დაკავებული 38 კუბელიდან 13 კაცმა. ისინი უკვე რამდენიმე თვეა ელიან პასუხს შეერთებულ შტატებში პოლიტიკური თავშესაფრის მიცემის შესახებ თხოვნაზე.**



* * *

**ჩინეთში დამნაშავე თავს დაესხა სკოლის მოსწავლეებს და 25 ბავშვი დაჭრა. თავდამსხმელი აღმოჩნდა ადგილობრივი მცხოვრები, ერთ-ერთი მოსწავლის მამა, რომელსაც მოუვიდა ჩხუბი ამ ქალაქის სხვა მცხოვრებთან. მან თავისი ქალიშვილი გადმოსვა მანქანიდან სკოლის წინ, შემდეგ შეჰყვა მას შენობაში და, როცა იქ ვერ იპოვა თავისი „დამჩაგვრელი“, დანით დაერია ბავშვებს.**



* * *

**გაერთიანებულ არაბულ საამიროებში დაიწყო მსოფლიოში ყველაზე მაღალი ცათამბჯენის მშენებლობა. „დუბაის კოშკის“ სიმაღლე 600 მეტრი იქნება, რაც თითქმის 100 მეტრით აღემატება ამჟამინდელი „რეკორდსმენის“ – ტაივანის დედაქალაქ ტაიბეის ცათამბჯენის სიმაღლეს. „დუბაის კოშკის“ მშენებლობას 3 წელიწადი დასჭირდება და დაახლოებით მილიარდი დოლარი დაჯდება.**

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა
**ზაზა ბეჟანიძემ.**

◎ მოღვაწე

# თანამდებობის ავტორიტეტით კი არა, ცოდნით, შრომითა და მაძიებლობით

**ჰოლდინგური კომპანია „სამთო ქიმიის" პრეზიდენტს, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, ღირსების და მრავალი სხვა ორდენისა და მედლის კავალერს ნიკა ცხაკაიას, 22 სექტემბერს 75 წელი შეუსრულდა.**

რთული და შინაარსიანია ბატონი ნიკას ცხოვრების გზა. რეპრესიების, სამამულო ომის და მრავალი სხვა გაუსაძლისი პირობის, უღარიბესი ცხოვრების ფონზე მძიმე შრომაში ჩაიარა მისმა ბავშვობამ, მაგრამ ინტელექტუალურ გარემოცვაში და ქართულ ტრადიციებზე გაზრდილმა, შეიძინა შრომისმოყვარეობა, პატიოსნება, საქმისადმი თავდადება, მიზანდასახულობა... იგი, შეიძლება ითქვას, ასეთად დარჩა დღემდე. გამორჩეულია მისი ინტელექტუალური პოტენციალიც, — ეს არც არის გასაკვირი, იგი ხომ ისეთ გარემოცვაში იზრდებოდა (პაპა — დედის მხრიდან სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ქრისტეფორე III ციცქიშვილი, მამა — შიო ცხაკაია, ეკონომისტი, იურისტი, კულტურის დამსახურებული მუშაკი, დედა — მარიკა ციცქიშვილი, ექიმი, უაღრესად განსწავლული ქალბატონი, ბიძები — გობრონ ციცქიშვილი, ცნობილი პუბლიცისტი, პოეტი, მთარგმნელი, ვასო ციცქიშვილი — ცნობილი ინჟინერი, მექანიკოსი). ამიტომაც გამოირჩეოდა ერუდიციით, განათლებით და ავტორიტეტით.

მეტად საინტერესოა ბატონი ნიკას შრომითი ბიოგრაფიაც: პირველი საშუალო სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე. შემდეგ მუშაობას იწყებს ჯერ კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ, შემდეგ საავიაციო ქარხანაში რიგით ინჟინრად, უფროსის მოადგილედ, საამქროს მექანიკოსად. რესპუბლიკის ხელმძღვანელობას არ გამორჩენია ბატონი ნიკას ორგანიზატორული ნიჭი და შემართება. სხვადასხვა დროს მუშაობდა კომკავშირულ თუ პარტიულ სამუშაოზე (საავიაციო ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, პარტიის რაიონული კომიტეტის მდივანი, ცენტრალური კომიტეტის მრეწველობის და ტრანსპორტის განყოფილების გამგის მოადგილე, საავიაციო ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი, პარტიის რაიკომის მდივანი, თბილისის კომიტეტის მდივანი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი), მრავალჯერ აირჩიეს 26 კომისრის რაიონის, ქ. თბილისის საქალაქო საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ყველგან, სადაც კი ბატონ ნიკას ხელმძღვანელად უმუშავნია, მუდამ წარმატებები იყო მისი თანამგზავრი და ეს იმიტომაც, რომ იგი თანამდებობის ავტორიტეტით კი არ მართავდა საქმეს, არამედ — ცოდნით, დაუღალავი, მაძიებლური შრომითა და უმაღლესი პასუხისმგებლობით.

ეს თვისებები განსაკუთრებით გამოვლინდა 1972 წლიდან მოყოლებული, რა დროიდანაც დღემდე ბატონი ნიკა ცხაკაია „სამთო ქიმიის" უცვლელი ხელმძღვანელია (ტრესტის მმართველი, გაერთიანების გენერალური დირექტორი, ჰოლდინგური კომპანია „სამთო ქიმიის" პრეზიდენტი).

ამ თანამდებობაზე მოსვლის დღიდან გაერთიანებას ძლიერი ხელი დაეტყო. გამოცდილ მუშაკს არ უღალატა ალღომ და დიდი მოქალაქეობრივი პათოსით, პასუხისმგებლობით შეუდგა სრულიად ახალ საქმეს. მალე საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა „სამთო ქიმიის" წარმატებები და პერსპექტივები. ხელმძღვანელის მაღალმა პროფესიონალიზმმა, განსაკუთრებულმა ორგანიზატორულმა ნიჭმა, სიახლეების საოცარმა ალღომ, ინიციატივის უნარმა „სამთო ქიმია" ჩააყენა მოწინავეთა რიგებში. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ახალი ტექნიკის და ტექნოლოგიის დანერგვას დაქვემდებარებულ საწარმოებში, მოწინავე გამოცდილების გადმოღებას იაპონიის, აშშ-ს, გერმანიის და სხვა ქვეყნების მართვის პრაქტიკიდან.



ბატონი ნიკას ხელმძღვანელობის პერიოდში „სამთო ქიმია" დაჯილდოვდა ხალხთა მეგობრობის ორდენით, ხოლო 1995 წელს მადრიდში საერთაშორისო შესარჩევმა კომისიამ სპეციალიზებული კომპანიებისა და პროფესიონალ ჯგუფთან „ევროპის საერთაშორისო ოქროს ვარსკვლავი" მიანიჭა საუკეთესო კორპორაციული იმიჯისა და ხარისხისათვის. 1999 წელს „სამთო ქიმია" დაჯილდოვდა საერთაშორისო ხარისხის ვარსკვლავით, პლატინის კატეგორიის საერთაშორისო ბიზნესის მართვის ხაზით.

ბატონი ნიკას უშუალო ხელმძღვანელობით საგრძნობლად განვითარდა და გაძლიერდა სამთო ქიმიური მრეწველობა, დაინერგა მრავალი სიახლე, ახალი ტექნოლოგიური ხაზები, ავტორია 100-მდე გამოგონებისა და მრავალი რაციონალიზატორული წინადადებისა, რომელთა დანერგვა დიდი ეკონომიკური ეფექტით განისაზღვრა. იგი დიდ ყურადღებას უთმობს საზღვარგარეთის ფირმებთან მუშაობას — მზა პროდუქციის მიწოდებას და მარკეტინგს.

ანტიკოროზიულმა და ანტიბაქტერიულმა საღებავმა „პიგმენტმა" წარმატებით გაიარა გამოცდა საზღვრის დაცვის დეპარტამენტში. საღებავი გამოყენებული იყო საზღვაო და საოკეანო ტრანსპორტის (გემების) წყალში მყოფი ნაწილების შესაღებად, აღსანიშნავია სამუშაოები მანქანების გამონაბოლქვის დასაჭერად ფილტრებში ცეოლითების გამოყენებით. ატმოსფეროს დაბინძურებამ მსოფლიოს მეცნიერთა ყურადღება მიიპყრო, მიუხედავად ამისა, პრობლემა ჯერჯერობით გადაუჭრელია. „სამთო ქიმიამ" კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად გამოიმუშავა ტექნოლოგია, რომელიც დანერგვის სტადიაშია და მსოფლიოში ანალოგი არა აქვს.

„სამთო ქიმიის" ძირითად მიმართულებასთან ერთად ბატონი ნიკა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სოციალურ საკითხებს. იგი უბადლო ქველმოქმედია, მისი უშუალო ხელმძღვანელობით და მონაწილეობით აშენებულია მრავალი საცხოვრებელი სახლი (თბილისში, ქუთაისში, ოზურგეთში, წყალტუბოში...) ქუთაისს საჩუქრად გადაეცა სპორტული კომპლექსი. მიწისძვრისაგან დაზარალებული აჭარლებისათვის ახალქალაქში აშენებულია საცხოვრებელი სახლები, ტანძიელი ბავშვებისათვის — ქართული სკოლა. სკოლა აშენდა, აგრეთვე, კრასნოდარის მხარის სოფელ პლასტუნკაში, სადაც 400 ქართული კომლი სახლობს. აღსანიშნავია დასასვენებელი ბაზები ურეკში, შოვში, ბაკურიანში. საშეფო ორგანიზაციას — ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოს აუშენდა სასტუმრო, შეძენილია ძვირადღირებული მოწყობილობა-დანადგარები. გულდასაწყვეტია, რომ ქ. თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე მშენებარე საცხოვრებელი სახლის მშენებლობა გაჭიანურებულია უსახსრობის გამო.

ბატონი ნიკა ცხაკაია არის საინჟინრო აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი და აქტიური მოღვაწე. პირუთვნელი ხიბლით გამორჩეულს ოჯახიც გამორჩეული ჰყავს. მას და მის მეუღლეს — საქართველოს დამსახურებულ პედაგოგს, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის წამყვან პედაგოგს ლეილა მამულაიშვილ-ცხაკაიას არ შეუნელებიათ ყურადღება, რომ ღირსეულთ ღირსეული შვილები აღეზარდათ ოჯახისა და ქვეყნისათვის.

ვულოცავთ ბატონ ნიკას დაბადების 75 წლისთავს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, პირად ბედნიერებას, დიდხანს სიცოცხლეს დამშვენებულს ჩვეული წარმატებებით თავის ლამაზ ოჯახთან ერთად. კვლავაც ნაყოფიერი, ნაცადი გზით ევლოს საქვეყნო საქმის სამსახურში, სამშობლოს კეთილდღეობისთვის.

**საქართველოს საინჟინრო აკადემია;**
**ჰოლდინგური**
**კომპანია „სამთო ქიმია".**

◎ პრობლემა

# რა გახდა ეს კოლორადოს ხოჭო?

**(მეოთხე გვერდიდან)**

აღსანიშნავია, რომ საქართველო მსოფლიოში მეორე ქვეყანაა აშშ შემდეგ, სადაც 1997 წელს ღრაჭა მარტორქას მატლებზე ახალდაბის ექსპერიმენტულ ბაზაზე აღწერეს ენტომოპათოგენური ნემატოდას Heterorhabditis-ის ახალი სახეობა, რომელიც შტეინერნემა გვარის წარმომადგენლებისდაგვარად არეგულირებს მწერების რიცხოვნობას. საქართველოში ენტომოპათოგენური ნემატოდის რამდენიმე სახეობა და შტამი გვყავს (საძიებო სამუშაოები გრძელდება).

დღეს მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში ბიოპრეპარატი ნ. ბ. კ. სხვადასხვა შტამით 254 სახეობის მწერზეა გამოცდილი და სრულიად დამაკმაყოფილებელი, მაღალი შედეგებია მიღებული. ეს შედეგი გამაგრებულია პრეპარატის იაფი ღირებულებით, ეკოლოგიური საიმედოობით და მწერის გარდა, სხვა ცხოველზე და მცენარეზე ზემოქმედების უსაფრთხოებით. ყოველივე ეს დღეს ჩვენი მეცნიერებისა და პრაქტიკოსების წინაშე აყენებს საკითხს პესტიციდების — შხამქიმიკატების თანდათან ხმარებიდან ამოღებაზე და ბიოპრეპარატ ნ. ბ. კ.-ის დანერგვაზე.

ჩვენს მიერ შექმნილი ბიოპრეპარატი ნ. ბ. კ. ამერიკულ პრეპარატზე ოთხჯერ იაფია. იქ სპექტრის დამუშავება ჯდება 69 აშშ დოლარი, ჩვენთან — 17 დოლარი. ასევე ძვირია პრეპარატი კანადაში, გერმანიასა და რუსეთში. რუსეთმა 2003 წელს უკვე დაიწყო პრეპარატის წარმოება.

დავძენთ, რომ განვლილ პერიოდში ჩვენს ბიოპრეპარატზე მოეწყო ტელეგადაცემა, რამდენჯერმე გამოაქვეყნეს კიდეც ჩვენი მიღწევები. გაზეთი „კომუნისტი" ჯერ კიდევ 1986 წელს წერდა ამის თაობაზე სტატიაში „ეს საოცარი ნემატოდები", ასეთივე ხასიათის წერილები სხვა გაზეთებსა და ჟურნალებშიც გამოქვეყნდა, მაგრამ შედეგი მაინც არ ჩანს.

ბიოპრეპარატ ნ. ბ. კ.-ს აუცილებლობა სოფლის მეურნეობასა და გარემოს დაცვაში ცხადია, მიუხედავად ამისა, მთავრობის, პარლამენტისა და თვით პრეზიდენტის სახელზე დახმარების შესახებ გაგზავნილი თხოვნისა, დღემდე ამ საქმეს საშველი არ დაადგა.

რა გვიშლის ხელს და რა გვჭირდება ნ. ბ. კ.-ს წარმოება რომ დავიწყოთ? პრეზიდენტი, პრემიერმინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე იცნობენ ბიოპრეპარატს. უპირველესად საჭიროა 3-4 ოთახი და 260 ათასი დოლარი. დამაჯერებელ და სასურველ შედეგებს 3-4 თვეში აუცილებლად მივიღებთ.

**გოლა კაკულია,**
**ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;**
**იური ნიკოლაიშვილი,**
**ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.**

## საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის განკარგულება

**2004 წლის 20 სექტემბერი** **№666**

**სს კბ „გამაბანკში" დროებითი ადმინისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ**

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 59-ე მუხლისა და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე, 32-ე და 34-ე მუხლების შესაბამისად:

1. სს კბ „გამაბანკში" დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელს დ. პაქსაშვილს დამატებითი სამუშაოების დასრულების მიზნით, გაუგრძელდეს ვადა 2004 წლის 20 ოქტომბრის ჩათვლით. ადმინისტრატორი ზ. ბიწკინაშვილი გამოყვანილ იქნეს დროებითი ადმინისტრაციის შემადგენლობიდან.

2. საქართველოს ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველომ (ზ. გაჩეჩილაძე) უზრუნველყოს სს კბ „გამაბანკის" დროებითი ადმინისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელების გადაწყვეტილების ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნება.

3. ამ ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრება შეიძლება გაცნობიდან ექვს თვეში თბილისის საოლქო სასამართლოში (თბილისი, რობაქიძის, 6ა).

**მ. კაკულია.**

## სააქციო საზოგადოება „საწარმოუზრუნველყოფას" აქციონერთა საყურადღებოდ

2004 წლის 15 ოქტომბერს დღის 12 საათზე შედგება სააქციო საზოგადოება **„საწარმოზრუნველყოფას"** აქციონერთა კრება.

მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, მე-4 სართული.

**დღის წესრიგი:**

**1. სააქციო საზოგადოება „საწარმოუზრუნველყოფას" ანგარიში 2003 წლის პერიოდში.**

**2. აუდიტის არჩევნები.**

**3. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნები.**

**4. დირექტორატის არჩევნები.**

აქციონერთა საერთო კრების სხდომაში მონაწილეობას მიიღებს ამ დასტურის და პირადობის მოწმობის წარმომდგენი.

**სს „საწარმოუზრუნველყოფას"**
**სამეთვალყურეო საბჭო.**

# განცხადებები ტენდერების ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მერიის განათლების საქალაქო სამსახური – მისამართი ხეთაგუროვის ქუჩა №2, აცხადებს საერთაშორისო ღია ტენდერს ზამთრის პერიოდში საჭირო სათბობი მასალის – საღუმელე თხევადი საწვავის მიწოდებაზე ქალაქის სკოლამდელი და სასკოლო დაწესებულებების 152 ობიექტზე, რაოდენობით 1700 ტონა და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა 2004 წლის 1 ნოემბრიდან 2005 წლის 1 აპრილამდე.

ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ საღუმელე თხევადი საწვავის მიწოდება მოხდება ეტაპობრივად შემსყიდველის მიერ მიმწოდებელზე გადაცემული განაცხადის საფუძველზე.

ტენდერში მონაწილეს უნდა გააჩნდეს სათანადო ბაზა მარაგებისათვის და შესაბამისი სპეც. ტრანსპორტი. ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში მათ საკუთარი ტრანსპორტით უნდა უზრუნველყონ სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში განაცხადში მითითებული საღუმელე თხევადი საწვავის შეტანა.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ (უცხო ქვეყნის წარმომადგენლების მონაწილეობის შემთხვევაში ინგლისურ) ენაზე უნდა წარმოადგინონ **2004 წლის 7 ოქტომბრის 12 საათიდან 8 ოქტომბრის 17 საათამდე** შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, ხეთაგუროვის ქუჩა №2, განათლების საქალაქო სამსახურის სატენდერო კომისიის აპარატი.**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას: *****

**4.1. იურიდიული პირისთვის:**

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საქ. ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდადებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**4.2 ფიზიკური პირისთვის:**

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, **500 (ხუთასი) ლარის** ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლებათ არაუგვიანეს **2004 წლის 11 ოქტომბრის 12 საათიდან 13 ოქტომბრის 17 საათამდე,** შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი ხეთაგუროვის ქუჩა №2, განათლების საქალაქო სამსახურის სატენდერო კომისიის აპარატი.** სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

7. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: **ზურაბ ქოჩიაშვილი – სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 95-99-04 და ბესო ჯაშარიძე – სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 95-52-78, მისამართზე: ქ. თბილისი, ხეთაგუროვის ქუჩა №2, განათლების საქალაქო სამსახურის სატენდერო კომისიის აპარატი.**

***) უცხო ქვეყნის წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.**

**სატენდერო კომისია.**

---

1. ქ. თბილისის მერიის განათლების საქალაქო სამსახური – მის. ხეთაგუროვის ქუჩა №2, აცხადებს ღია ტენდერს სკოლამდელი და სასკოლო დაწესებულებებისათვის ზამთრის პერიოდში საჭირო სათბობი და დასათბუნებელი მასალების მიწოდებაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვა ხორციელდება 4 პოზიციის (ლოტის) მიხედვით:**

**1. ნავთის მიწოდება ქალაქის სკოლამდელი და სასკოლო დაწესებულებების 250 ობიექტზე, რაოდენობით – 250 ტონა;**

**2. ქვანახშირის მიწოდება ქალაქის სკოლამდელი და სასკოლო დაწესებულებების 3 ობიექტზე, რაოდენობით – 150 ტონა;**

**3. შეშის მიწოდება ქალაქის სკოლამდელი და სასკოლო დაწესებულებების 230 ობიექტზე, რაოდენობით – 8000 მ³;**

**4. მინის მიწოდება ქალაქის სკოლამდელი და სასკოლო დაწესებულებების 420 ობიექტზე, რაოდენობით – 18000 მ².**

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა 2004 წლის 1 ნოემბრიდან 2005 წლის 1 აპრილამდე.

ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ საქონლის მიწოდება მოხდება ეტაპობრივად შემსყიდველის მიერ მიმწოდებელზე გადაცემული განაცხადის საფუძველზე.

ტენდერში მონაწილეს უნდა გააჩნდეს სათანადო ბაზა მარაგებისათვის და შესაბამისი სპეც. ტრანსპორტი. ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში მათ საკუთარი ტრანსპორტით უნდა უზრუნველყონ სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში განაცხადში მითითებული საქონლის შეტანა.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ **2004 წლის 7 ოქტომბრის 12 საათიდან 8 ოქტომბრის 17 საათამდე** შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, ხეთაგუროვის ქუჩა №2, განათლების საქალაქო სამსახურის სატენდერო კომისიის აპარატი.**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1. იურიდიული პირისთვის:**

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საქ. ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდადებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**4.2 ფიზიკური პირისთვის:**

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, **500 (ხუთასი) ლარის** ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ არაუგვიანეს **2004 წლის 11 ოქტომბრის 12 საათიდან 2004 წლის 13 ოქტომბრის 17 საათამდე,** შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი ხეთაგუროვის ქუჩა №2, განათლების საქალაქო სამსახურის სატენდერო კომისიის აპარატი.** სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

7. ტენდერში მონაწილეობის მსურველებს განაცხადი შეუძლიათ წარმოადგინონ როგორც მთლიანად, ისე ცალკეული პოზიციების (ლოტების) მიხედვით, შესაბამისად ტენდერის შედეგად შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა პოზიციების (ლოტების) მიხედვით.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: **ზურაბ ქოჩიაშვილი – სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 95-99-04 და ბესო ჯაშარიძე – სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 95-52-78, მისამართზე: ქ. თბილისი, ხეთაგუროვის ქუჩა №2, განათლების საქალაქო სამსახურის სატენდერო კომისიის აპარატი.**

**სატენდერო კომისია.**

# საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის განცხადება

1. საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის 16.09.2004 წლის №8 სხდომის ოქმის თანახმად, საქართველოს პარლამენტის 2004 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების შესაბამისად, პარლამენტი მსუბუქი ავტომობილების შეძენაზე (18 ცალი, 2004 წელს გამოშვებული ავტომობილი, მწარმოებელი ქარხნის გარანტია არანაკლებ 2 წელი, საგარანტიო მომსახურების პერიოდში უფასო დიაგნოსტიკა, ძარასედანი, აუდიოსისტემა, სრული ელ. პაკეტი, ცენტ. საკეტი დისტანციური პულტით, მოცურების საწინააღმდეგო ელექტრონული სისტემა, ბლოკირების საწინააღმდეგო სისტემა, გატაცების საწინააღმდეგო სიგნალიზაცია, უსაფრთხოების ბალიშები – უსაფრთხოების მაღალი მაჩვენებელი, კონდიციონერი, ბენზინის ძრავა – არანაკლებ 4 ცილინდრი, მოცულობა არანაკლებ 2,0 ლიტრი და არანაკლებ 110 ცხენის ძალა, 4 კარი, მაღალი კლირენსი და გაძლიერებული დაკიდება გათვალისწინებული დსთ-ს ქვეყნებისთვის, მექანიკური 5-სიჩქარიანი კოლოფი, საჭის ჰიდროგამაძლიერებელი) აცხადებს ღია ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. ავტომობილების მოწოდება სასურველია მოხდეს 2004 წლის 30 ნოემბრამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2004 წლის 8 ოქტომბრის 10 საათიდან 12 ოქტომბრის 16 საათამდე, საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის აპარატში სათანადო რეგისტრაციის გავლით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის 8 (დამატებითი ცნობებისთვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს: 93-25-09, 893-39-45-80 ზაურ ჯიოშვილი).

4. დაინტერესებული პირის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებს და ინფორმაციებს, რომ:

ა) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან);

ბ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);

გ) მის მიმართ არ მიმდინარეობს იძულებით სააღმსრულებლო წარმოება (ცნობა სააღმსრულებლო ბიუროდან);

დ) ტენდერის დაწყების მომენტისთვის მისი ხელმძღვანელის (ფიზიკური პირის) მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

ე) ფიზიკური პირისთვის: ცნობა, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (ცნობა ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამისი უწყებიდან);

ვ) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

ზ) ბოლო წლის აუდიტირებული ბალანსი, აუდიტის დასკვნასთან ერთად;

თ) დადგენილების ასლი სასამართლოში რეგისტრაციის შესახებ;

ი) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;

კ) საგარანტიო მომსახურების ცენტრის(ების) მისამართი;

ლ) ოფიციალური წარმომადგენლობის (დისტრიბუტორი ან დილერი) დამადასტურებელი დოკუმენტი.

5. იურიდიული ან ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ცნობასა და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. ტენდერში მონაწილეობისათვის პრეტენდენტი იხდის სატენდერო მოსაკრებელს 500 ლარის ოდენობით, რომელიც უნდა გადაიხადოს სატენდერო დოკუმენტაციის მიღების ვადის გასვლამდე (სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა 2004 წლის 15 ოქტომბრის 10 საათიდან 19 ოქტომბრის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის 8, სატენდერო კომისიის აპარატი) საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ №000141408 „შესყიდვებთან დაკავშირებით მიღებული სატენდერო მოსაკრებლის" სპეციალურ ანგარიშზე, ბანკის კოდი 220101107.

7. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

**სატენდერო კომისიის თავმჯდომარე.**

**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" მოთხოვნით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ევროცემენტის" მიერ წარმოდგენილია I კატეგორიის საქმიანობაზე:**

**„კასპის რაიონის სოფ. კავთისხევის ცემენტის მინი-ქარხნის გარემოზე ზემოქმედების შეფასება ასპირაციის სისტემა დამატებები და შესწორებები"**

**საპროექტო დოკუმენტაციის გაცნობა და წერილობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა შესაძლებელია ა. წ. 9 ნოემბრამდე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს პრესცენტრში: თბილისი, კოსტავას №68ა, VI სართული და გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახურში: თბილისი, ფალიაშვილის №87, ტელ. 25-02-19.**

**საჯარო განხილვა შედგება 2004 წლის 9 ნოემბერს 12 საათზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საკონფერენციო დარბაზში.**

**გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახური.**

**სს კომერციული ბანკი „ლიბერტის" სალიკვიდაციო კომისია 2004 წლის 5 ოქტომბრის დღის 12 საათზე ქ. ბათუმში გრიბოედოვის ქ. №2-ში მდებარე „ლიბერტი" ბანკის შენობაში აცხადებს ღია აუქციონს, სადაც გასაყიდად გამოტანილი იქნება „ლიბერტი" ბანკის საკუთრებაში არსებული კომპიუტერული ტექნიკა, ავეჯი, ავტომობილები: „LINCOLN CONTINENTAL" და „ვოლგა"**

**დამატებითი ცნობისთვის დაგვიკავშირდით: 893-39-25-63.**

სხვათა თვალით

# რუსეთი კავკასიაში

(მეორე გვერდიდან)

ინგლისისა და საფრანგეთის მხარდაჭერით თურქებმა და მთიელებმა რუსულ პოსტებზე თავდასხმები გააააქტიურეს, არადა, შავი ზღვის სანაპიროზე არსებული ეს პოსტები თურქეთისთვის არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენდნენ, რადგან ისინი ძირითადად მხოლოდ საბაჟო საქმიანობით იყვნენ დაკავებულნი.

თურქების გააქტიურებაზე რუსეთის არმიის სარდლობამ შესაბამისი რეაგირება მოახდინა — გააძლიერა კავკასიის განსაკუთრებული კორპუსი, მის შესავსებად სხვა რეგიონებიდან, მათ შორის ყირიმიდან, გადასროლილი იქნა ქვეითთა მე-13 დივიზია. რუსი გენერლები მოწინააღმდეგის გამოჩენას კავკასიის ფრონტზე ელოდნენ, მაგრამ... მოტყუვდნენ: ინგლისმა და საფრანგეთმა ისარგებლეს რა რუსული არმიის კონცენტრირებით კავკასიაში, დესანტი ყირიმში გადმოსხეს, დაბლოკეს რუსეთის შავი ზღვის ფლოტი და სევასტოპოლს ალყა შემოარტყეს. ერთი წლის შემდეგ რუსეთმა სევასტოპოლი და ფლოტი დათმო, რითაც იმპერიას შავ ზღვაზე აქტიური პოლიტიკის გატარების შესაძლებლობა წაერთვა.

კავკასია? კავკასიაში რუსულმა არმიამ რამდენიმე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ მათი ნაყოფი ყირიმში დაიკარგა.

დავბრუნდეთ ოცდამეერთე საუკუნეში. 2004 წელი კავკასიაში სიტუაციის მკვეთრი გამწვავებით აღინიშნა. ამერიკელების აქტიური დახმარებით საქართველოს ხელისუფლებაში მოსულმა მიხეილ სააკაშვილმა რუსეთის მიერ კონტროლირებული სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის წინააღმდეგ ომის პროვოცირება დაიწყო. კონფრონტაციამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ შეიძლებოდა ორ სახელმწიფოს შორის კონფლიქტში გადაზრდილიყო. ცხადია, ისე არ უნდა ვიფიქროთ, რომ რუსეთის ხელისუფლებამ ამ ვითარებას ყურადღება არ მიაქცია. პირიქით — კრემლმა თავისი მკაცრი პოზიცია ოფიციალურად გამოხატა, გააძლიერა თავისი სამხედრო ყოფნაც. საქართველოს ხელისუფლება რომ გონივრულად მოქცეულიყო, უკან დაიხევდა, მაგრამ სააკაშვილი ძველებურად თავის პოლიტიკას აგრძელებს. რატომ?

როგორც ჩანს, რუსეთს იძულებულს ხდიან, რომ თავისი ჯარების კონცენტრაცია კავკასიის რეგიონში მოახდინოს. განა ეს ასე აუცილებელია? ხშირად საუბრობენ კავკასიის სამხედრო-პოლიტიკურ მნიშვნელობაზე, მაგრამ დღემდე რუსეთს, კავკასიის ქედის გადალახვით, თავს არავინ დასხმია. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმასაც, რომ კავკასიის რეგიონში კონფლიქტური ვითარების ისტორიის მანძილზე არც ერთ დასავლურ ქვეყანას, იქ შესვლის მიზნით, რადიკალური ნაბიჯი არ გადაუდგამს. რეალურად კავკასია, რუსეთის გარდა, არავის სჭირდება... კაცმა რომ თქვას, თვით რუსეთისთვისაც კი ამ რეგიონში ყოფნა უფრო ისტორიული და გეოპოლიტიკური „თავშეწირვის" ელემენტს წარმოადგენს, ვიდრე „სტრატეგიულ დაინტერესებას". შესაბამისად, ჩვენს გეოსტრატეგიულ „ოპონენტებს" კავკასია სჭირდებათ არა როგორც დამოუკიდებელ ფსონად „დიდ თამაშში", არამედ როგორც კომპლექსური დესტაბილიზაციის ფაქტორად, რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ გრძნობაზე მოქმედ ბერკეტად.

ყოველივე ზემოთ ნათქვამი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სიტუაციის მორიგი გამწვავება კავკასიაში მხოლოდ ყურადღების გადამტანი მანევრია — ისეთივე, როგორიც 150 წლის წინათ. ამ მანევრმა რუსეთის მზერა სხვა მნიშვნელოვან პროცესებს უნდა მოაცილოს. ასეთ პროცესებად, ჩვენი აზრით, უკრაინაში განვითარებული მოვლენებია. სწორედ მას აკვირდება დასავლეთი, რაც საბოლოო ჯამში რუსეთის წინააღმდეგ იქნება მიმართული.

თუ უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებში ვიქტორ იუშენკო გაიმარჯვებს, ეს რუსეთისთვის კატასტროფა იქნება. ვიქტორ იუშენკო ხომ მეორე სააკაშვილია. იუშენკოს ცოლი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომელი და ზბიგნევ ბჟეზინსკის მეგობარია. პრეზიდენტობის კანდიდატის პროგრამაშია უკრაინაში მოქმედი რუსულენოვანი მასმედიის ბლოკირება, რუსეთის შავი ზღვის სამხედრო ფლოტის განადგურება, უკრაინის განათლების სისტემის გაეროვნება, ყირიმიდან რუსულენოვანი მოსახლეობის გაძევება, ნატოში გაწევრიანება. იუშენკოს გამარჯვება პუტინის პრესტიჟის წინააღმდეგ მიმართული დარტყმა იქნება თვით რუსეთშიც — პუტინს შეიძლება აპატიონ ბესლანის ტრაგედია, იუგოსლავიისა და საქართველოს დაკარგვა (აჭარითა და აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთიანად), მაგრამ არ აპატიებენ უკრაინის დაკარგვას. დასავლეთის ბანაკში უკრაინის გადასვლა ვლადიმერ პუტინისთვის საფლავის ქვის დადგმას ნიშნავს.

დასავლეთი არ მალავს, რომ უკრაინის პრეზიდენტად ვიქტორ იუშენკოს ხილვა სურს. უკრაინის ლიდერად იუშენკოს არჩევა იგივე მიხეილ სააკაშვილის არჩევას ნიშნავს, მაგრამ უფრო შორს მიმავალი რეალური შედეგებით: უკრაინისა და რუსეთის საზღვარი ხომ ნამდვილი საზღვარი არ არის — აქ ყველაფერი პირობითია, არაა მთები, არ არიან აფხაზები და ოსები, აქედან მოკლე გზა პირდაპირ რუსეთის გულში მიემართება... თუ საქართველოში ამერიკის ბაზების განლაგება მხოლოდ პროპაგანდაა, ყირიმში მათი დისლოცირება სავსებით შესაძლებელია, ამერიკელების ყირიმში გამოჩენა კი შავ ზღვაზე გაბატონების მაჩვენებელი იქნება. ჩვენი ფლოტი, ანუ ის, რაც ძველი დიდებისგანაა დარჩენილი, იძულებული იქნება, სევასტოპოლიდან გამოვიდეს და თავი მოუწყობელ, პრიმიტიულ პორტებს შეაფაროს — როგორც ეს 1942 წელს მოხდა, როცა გერმანელებმა ყირიმი დაიპყრეს.

ისტორია მეორდება: სევასტოპოლი და ყირიმი — აი, რუსეთის სამხრეთის მიმართულების რეალური მიჯნები.

უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები რუსეთისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კავკასიაში ჩეჩენთა და ქართველთა გამოხტომები ერთად აღებული. ისტორია გვასწავლის, რომ ჩვენი წინაპრების შეცდომები აღარ გავიმეოროთ. მაშინ ჩვენ მხოლოდ შავი ზღვა დავკარგეთ, ახლა კი შეიძლება რუსეთი დავკარგოთ".


რუსეთ-თურქეთის ომი

დაზუსტება

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 18 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა სატენდერო განცხადება, რომელშიც დაშვებულია უზუსტობა. კერძოდ, განცხადების მე-7 პუნქტში მითითებული სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №52, ფოთის საზღვაო ნავსადგურის სატენდერო აპარატი, 13.10.2004 წ.-დან 15.10. 2004 წლის 16 საათამდე.

**ვ. ხოხობაია,**
**ფოთის საზღვაო ნავსადგურის სატენდერო კომისიის თავმჯდომარე.**

**სააქციო საზოგადოება „თბილისის საერთაშორისო აეროპორტი" მომსახურე ბანკის შერჩევის მიზნით აცხადებს ტენდერს**

**ტენდერში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ ყველა ბანკს.**
**მომსახურე ბანკის შერჩევისას ყურადღება მიექცევა:**

1. ბანკის კატეგორიას;
2. ფილიალების ქსელს;
3. მომსახურების სისტემას და ტარიფებს საწარმოსათვის და აეროპორტის თანამშრომელთათვის.

მათ შორის:
— საკონვერსიო ოპერაციებზე საზღაურს;
— საინკასაციო მომსახურების ოპერატიულობას, საიმედოობას და ღირებულებას;
— პლასტიკური ბარათებით უნაღდო ანგარიშსწორების სისტემას;
— პლასტიკურ ბარათზე რიცხული ნაშთის სარგებელს.
— ბარათიდან ნაღდი ფულის აღების საკომისიოს ოდენობას.
— ოვერდრაფტით სარგებლობის პროცენტს.
— საქართველოსა და თბილისის ფარგლებში ბანკომატების რაოდენობას.
— ხელფასების პროგრამების არსებობას. ხელფასების გაცემის სისტემას ბანკის პლასტიკური ბარათების მეშვეობით.
— იპოთეკური დაკრედიტების პროგრამებს.
— მომსახურების დონეს ვიპ კლიენტებისათვის.
— დამატებითი მომსახურების სახეებს.

ტენდერში მონაწილეობის მსურველ ბანკებს ვთხოვთ, ამა წლის 15 ოქტომბრამდე წარმოადგინონ თბილისის აეროპორტის ადმინისტრაციაში საინფორმაციო მასალა ბანკის შესახებ.

საკონტაქტო ტელეფონი: 43-31-00.
ფაქსი: 43-31-03.

... სიყვარულს უშენებია

# ერთად ვიყოთ...

**ბათუმის 26-ე საშუალო სკოლაში 20 წელიწადია, გამაჯანსაღებელ სასწავლო საწვრთნელ შეკრებას გადიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დავით კვაჭაძის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა კრივის ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული რესპუბლიკური სასპორტო სკოლის აღსაზრდელები. თუ ჭაბუკი მოკრივეები აჭარის დედაქალაქს წლების განმავლობაში სტუმრობენ, ახალგორის და ცხინვალის მიმდებარე სოფლების მოსწავლე სპორტსმენები ბათუმში წლეულს პირველად ჩავიდნენ.**

სამაჩაბლოდან ოსი და ქართველი მოსწავლე სპორტსმენების ბათუმში ერთობლივ სასწავლო-საწვრთნელ შეკრებაზე გაგზავნის იდეა კრივის სასპორტო სკოლის დირექციას ეკუთვნის. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე თემურ სამადაშვილთან შესათანხმებლად დ. კვაჭაძის სახელობის კრივის სასპორტო სკოლის დირექტორმა რევაზ მეგრელიშვილმა თბილისში მოიწვია ახალგორის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე სურენ ჩიგოევი, სპორტსკოლის დირექტორი ელგუჯა ოდიშვილი და მწვრთნელი ზურაბ ასიევი. რევაზ მეგრელიშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დღევანდელი დაძაბული სიტუაციის მიუხედავად, მან ყველაფერი იღონა, რათა მოსწავლე სპორტსმენთა დელეგაცია უსაფრთხოდ ჩასულიყო ბათუმში. ბატონ რევაზს, თავადაც ყოფილ მოკრივეს, არამარტო ბევრი მეგობარი ჰყავს ცხინვალის რეგიონში, მისი სკოლის აღსაზრდელებიც ავარჯიშებენ იქ მოზარდებს. მოკლედ რომ ვთქვათ, ამ ხალხის საერთო სურვილითა და გულისხმევით მოხერხდა ოსი და ქართველი ბავშვების ბათუმში ჩაყვანა. კარგად ესმის, რომ ოსებსა და ქართველებს შორის ჩატეხილი სამეგობრო ხიდის აღდგენა უმჯობესია, სწორედ მოსწავლე სპორტსმენებით დაიწყოს.



სასწავლო-საწვრთნელი შეკრების მონაწილეებს ბათუმში ეწვია განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია, რომელსაც ახლდნენ მისი მოადგილე თემურ სამადაშვილი, სამინისტროს თანამშრომლები: ლევან ქასელიძე, რატი ამაღლობელი, გრიგოლ დვალი, კახაბერ კახაძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი ალექსანდრე გეგენავა და აჭარის კრივის რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტი გელა ჩარგეიშვილი.

მინისტრი გაესაუბრა მოსწავლეებს, დაინტერესდა მათი ვარჯიშის, დასვენებისა და კვების პირობებით. მინისტრმა და მისმა მოადგილემ სპორტულ დარბაზში კალათბურთის მინიშეჯიბრებაშიც მიიღეს მონაწილეობა.

მთავრობის წარმომადგენლების სტუმრობისას სასაუბროდ მოვიხელთეთ კრივის ოლიმპიური რეზერვის სასპორტო სკოლის დირექტორი **რევაზ მეგრელიშვილი,** რომელმაც გვითხრა:

— ასეთი შეკრების მოწყობას ერთი ძირითადი განმსაზღვრელი მიზანი აქვს — რაც შეიძლება მეტი მოზარდი მოვწყვიტოთ ქუჩას და სპორტში ჩავაბათ. არა მარტო კრივი, სპორტის ყველა სახეობა უნდა განვითარდეს, მაშინ უსაქმურიც და ნარკომანიც ნაკლებად გვეყოლება.

რაც შეეხება ჩვენს სკოლას, იგი საქართველოდან პირველი ევროპის ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის დავით კვაჭაძის დაარსებულია (1984 წელს). ერთი წლის შემდეგ მან ესტაფეტა მე გადმომცა, ჩემი ინიციატივით იმავე წელს დაწესდა კვაჭაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მოკავშირე რესპუბლიკების მოკრივეებიც ასპარეზობდნენ. შეჯიბრებების გამართვა ყველაზე რთულ პერიოდშიც არ შეწყვეტილა.

ბათუმში ახალგაზრდების დღის რეჟიმი საკმაოდ გადატვირთული იყო. ყოველი დილა გამამხნევებელი ვარჯიშით იწყებოდა. საუზმის შემდეგ ჭაბუკები ოსტატობას ხვეწდნენ. ნასადილევს იმართებოდა სხვადასხვა ღონისძიება, ბიჭები ტელევიზიით თვალს ადევნებდნენ ათენის ოლიმპიურ თამაშებს, თავისუფალ დროს კომპიუტერით ერთობოდნენ, სპორტულ დარბაზში მინიფეხბურთს, კალათბურთს ან ფრენბურთს თამაშობდნენ. მოეწყო შიდასასკოლო სპარტაკიადა, გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ დიპლომებითა და სამახსოვრო სუვენირებით. იყვნენ ექსკურსიაზე სარფში, თხილნარის ჩანჩქერზე, გონიოსა და თამარის ციხეზე. ჩვენს საქმიანობას თვალყურს ადევნებდნენ და გვამხნევებდნენ სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები ბათუმელები, გამაჯანსაღებელ სასპორტო კლუბ „ზღვის ლომების" წევრები. ოსი და ქართველი მოსწავლე სპორტსმენების ურთიერთობამ გადამაწყვეტინა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელმძღვანელობასთან ერთად ზამთრის არდადეგებზეც მოვაწყოთ შეკრება ბაკურიანში. ვსარგებლობ შემთხვევით და თქვენი გაზეთის მეშვეობით მადლობა მინდა ვუთხრა აჭარის განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტროს, 26-ე საშუალო სკოლის ხელმძღვანელობას და მის ამაგდარ დირექტორს — მერი ირემაძეს ყურადღებისა და თანადგომისთვის.

საგულისხმოა ისიც, რომ სპორტსმენები ბათუმში მოინახულა ახალგორის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ სურენ ჩიგოევმა. ყოფილი სპორტსმენი კმაყოფილი დარჩა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ალექსანდრე ლომაიას და მის მოადგილეს თემურ სამადაშვილს სთხოვა, გაისადაც მოვაწყოთ ანალოგიური შეკრება.

ოსი და ქართველი ბავშვების მეგობრობა კვლავაც გაგრძელდება, გასაყოფი არაფერი გვაქვს, მე, როგორც საქართველოს ოსი საზოგადოების ერთ-ერთ ხელმძღვანელს, თამამად შემიძლია ვთქვა ეს სიტყვები და მჯერა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო კვლავაც ბევრჯერ გამოიჩენს ასეთ ინიციატივას. შორს არაა ის დრო, როცა შეჯიბრებები ცხინვალშიც გაიმართება და ანალოგიურ საწვრთნელ შეკრებებს ჩვენს რეგიონშიც მოვაწყობთ. ჯერჯერობით ასეთი და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები ჩვენ უნდა გავმართოთ, ვიდრე ვითარება დალაგდება და ხელისუფლება მოახერხებს უფრო მასშტაბიანი დიდი საქმეების გაკეთებას. ყველამ ერთად ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ საქართველო გამთლიანდეს, ჩვენი მოქალაქენი შეიკრან „ერთ სულ და ერთ ხორც", რათა ქვეყანა გაბრწყინდეს.

**ესაუბრა**
**ვანო მეძველია.**

ქართული ჭიდაობა

# მინისტრი — აღდგენილ ტურნირზე

**საქართველოს სოფლების გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში, რომლის დევიზია „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს", კარგა ხნის შესვენების შემდეგ კვლავ აღსდგა. ამ კეთილშობილურ საქმეში თავისი სიტყვა თქვა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ.**

განახლებული შეჯიბრება, რომლის მთავარი მსაჯი იყო ოლიმპიური თამაშების პრიზიორი გიორგი თენაძე, გაიმართა გორის რაიონის სოფელ კარალეთში (სოფლის ძველი სახელწოდებაა ნაჭარმაგევი). ასპარეზობაში 11 გუნდი მონაწილეობდა, გორი-ცხინვალის გზაზე მდებარე ღია საჭიდაო მოედანზე უამრავი გულშემატკივარი დაესწრო ოლიმპიური სისტემით გამართულ გუნდურ პირველობას.

გამარჯვება იზეიმა კარალეთის (გორი) გუნდმა, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ: გიორგი ჩილინდრიშვილი, ვანიკო გოგიაშვილი, გიორგი თათრიშვილი, გიორგი ჩხიკვაძე, პაატა მერაბაშვილი, რობერტ მშვიდობაძე, გიორგი რომელაშვილი, შოთა ვანიშვილი, იოსებ ჩილინდრიშვილი. მწვრთნელები: ქართლოს პავლიაშვილი და გივი ზაუტაშვილი.



მეორე ადგილი დაიკავა ძალისის (მცხეთა), მესამე — მაღლაკის (ქუთაისი) გუნდებმა.

ამ საინტერესო შეჯიბრებას თავის შვილებთან ერთად ესწრებოდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი **დავით შერვაშიძე,** რომელმაც ჩვენთან საუბარში თქვა:

— ეს არის ეროვნული სულის გამოღვიძება. ამ ბიჭებიდან რომელიმე, ალბათ, მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონიც გახდება. ქართული ჭიდაობას საოცარი დადებითი მუხტის შექმნა შეუძლია. ტრადიციების აღდგენას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ. ნიჭიერება კი ჩვენს ახალგაზრდობას არ აკლია...

რაც უფრო ხშირად ივლიან მთავრობის წევრები ამგვარ სპორტულ ზეიმებზე, თანაც შვილებთან ერთად, მით უკეთესი. ბავშვების სიხარულით ანთებულ თვალებს რომ ვუყურებ, ძალიან ოპტიმისტი ვხდები, — დასძინა დავით შერვაშიძემ. სხვა ქომაგებთან ერთად ასპარეზობას თვალს ადევნებდა საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ხევიაშვილი. მან ასე შეაფასა ეს ასპარეზობა: — ზურაბ ზვიადაურის ოლიმპიურმა „ოქრომ" ახალი იმპულსი მისცა ქართულ ჭიდაობას. მივესალმები გუნდური ტურნირის აღორძინებას. მადლობა სპონსორებსა და ფედერაციის მესვეურებს. მინდა გითხრათ, რომ 2005 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნება ქართული ჭიდაობის განვითარების საკითხიც. მერწმუნეთ, ჩვენი ეროვნული სპორტის სახეობა — ქართული ჭიდაობა — კვლავ საპატიო ადგილზე იქნება...





უნდა აღინიშნოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის ნუგზარ სარჯველაძის წვლილი ამ შეჯიბრების აღორძინების საქმეში. ქომაგთა შორის იყვნენ, აგრეთვე, ოლიმპიური, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონები. გამარჯვებულებს გადაეცათ თასები და ფასიანი საჩუქრები.

**გაბრიელ ბარჯაძე.**
**კარალეთი, გორის რაიონი.**
**სურათებზე: ასპარეზობის მომენტი. გამარჯვებულებს აჯილდოებენ დავით შერვაშიძე და გიორგი ხევიაშვილი.**

ყოველი მხრიდან

## აბრამოვიჩი მაინც უკმაყოფილოა

**„ჩელსის" მფლობელმა რომან აბრამოვიჩმა დასავლეთ სასექსის საგრაფოში საკმაოდ მოზრდილი ტერიტორია შეიძინა. ინგლისში თავისი საცხოვრებელი ადგილის კეთილმოსაწყობად მან 15 მილიონი ფუნტი სტერლინგი დახარჯა.** ჩუკოტკის გუბერნატორის ინგლისურ სახლს შვიდი საძინებელი ოთახი აქვს, ასევე, პოლოს სათამაშო მოედანი, ჩოგბურთის კორტი, ხელოვნური ტბა, სასროლეთი, კარტინგის ტრასა, ორი აუზი, საჯინიბე, ბოულინგის ბილიკები და ჰოკეის სათამაშო ადგილი, რომელიც 400 ათასი ფუნტი დაუჯდა. აბრამოვიჩმა ახლახან მოინახულა თავისი ახალი საცხოვრისი. მოეწონა შესრულებული სამუშაოების ხარისხი, მაგრამ უკმაყოფილო დარჩა ზოგიერთი ობიექტის ზომებით. ოლიგარქმა სატრენაჟორო დარბაზისა და ფიზკულტურის შემდეგ დასასვენებელი ოთახის ზომების გაზრდა მოითხოვა. საამისოდ დამატებით 5 მილიონი ფუნტი გამოყო.



## საცოლე — შიშველ კუნძულზე

**იტალიის „სამპდორიის" ფეხბურთელის — ფაბიო ბაცანის საცოლე ალესია მერცი (სურათზე) სატელევიზიო შოუში მონაწილეობს. თერთმეტ თანამემამულესთან ერთად იგი გაემგზავრა დაუსახლებელ კუნძულზე, სადაც ახლა გადაღებები მიმდინარეობს.**

მერცისა და ბაცანის სამიჯნურო რომანი წლეულს ზაფხულს დაიწყო. შეყვარებულები არ ერიდებოდნენ ხალხში თავიანთი გრძნობების გამომჟღავნებას. ცოტა ხნის წინათ მათ ნიშნობაც ჰქონდათ და მალე ქორწილსაც გადაიხდიან. ალესიამ კუნძულზე თან წაიღო ნიშნობის ბეჭედი, თუმცა, როგორ დაეხმარება იგი ერთგულების შენარჩუნებაში, არავინ უწყის.



## მობოდიშებამ ვერ უშველა

**გერმანელი ტელეკომენტატორი რენე ხიპენი მალე, შესაძლოა, უმუშევარი დარჩეს ან სულაც ციხეში აღმოჩნდეს. ყოველივე ეს იმ რამდენიმე უხერხული ფრაზის გამო, რომელიც მან დეიზი ლანგისა და რეგინა ხალმიხის ორთაბრძოლის კომენტირებისას თქვა.**

ლანგმა როგორც კი შეიტყო ეს ინფორმაცია, მას მყისვე გაახსენდა თავისი ნაცნობობა ხიპენთან და ისიც, რომ ტელეკომენტატორი კარგა ხანს უშედეგოდ ცდილობდა მის მონადირებას. ცხადია, მოკრივე ქალიშვილმა სარჩელი შეიტანა სასამართლოში. მართალია, ხიპენმა ერთ-ერთ ტელეგადაცემაში თავისი სიტყვების გამო მოიბოდიშა კიდეც, მაგრამ ეს საქმეს ვერ შველის და ლანგთან სასამართლოში მოუწევს შეხვედრა.

## ვიერის ახალი გულის სწორი

**„ინტერის" მწვრთნელები კარგა ხანია ამბობენ, რომ კრისტიან ვიერის საფეხბურთო ტალანტის ბოლომდე გახსნაში ქალები უშლიანო ხელს.** თუმცა, „ბობო" ჩინებულად უთავსებს წარმატებებს საწოლსა და საფეხბურთო მოედანზე. ქალთა გულის მპყრობელს ამას წინათ სასიყვარულო რომანი ჰქონდა მშვენიერ ქალიშვილ ვიქტორია სილვსტედთან, ახლა კი ახალი გულის სწორი ჰყავს, თუმცა მისი ვინაობა ყველაფრისმცოდნე ჟურნალისტებმაც ვერ გაარკვიეს.

**სპორტის რედაქცია**

ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



აზერბაიჯანსა და საქართველოში მცხოვრებ ინგილოთა დელეგაცია თელავში, ფაშიზმზე გამარჯვების 30 წლისთავთან დაკავშირებულ ზეიმზე. 1975 წელი.

ფოტო მოგვაწოდა რომან დავითაშვილმა.

სწავლა სიკვდილამდე შენია

# მასწავლებლის ლოცვა-ვედრება

(პირველი გვერდიდან)

უფალო შენ, რომელიც გვმოძღვრავ და გვასწავლი, მომიტევე, მეც რომ მოძღვრად და მასწავლებლად ვიწოდები, როგორც შენ მოგმართავდნენ ხოლმე დედამიწაზე.

გევედრები, დიდი სიყვარულით შემაყვარე ჩემი სკოლა. სილამაზე რომც დაჭკნეს და ჩაიფერფლოს, მაშინაც ნუ წამერთმევა სინაზე და სისათუთე.

უფალო, მიბოძე სულგრძელობა და მაშორე სულმოკლეობა. აღმოფხვერი ბილწი სურვილი შურისგებისა, ჯერ კიდევ რომ ბუდობს ჩემს გულში. ჭრილობას რომ მომაყენებენ, სამაგიეროს მიზღვის სურვილი თუ შემომეპარება, მისგანაც დამიფარე. შემეწიე, რომ არ გავწყრე, როცა ვერ გამიგებენ, და არ დავღონდე, ჩემი მოწაფეები თუ დამივიწყებენ.

მომმადლე ნიჭი სიყვარულისა, შემაძლებინე, რომ დედისა მჯობ დედად გავუხდე, დედასავით შევითვისო და დავიცვა ისინი, ვინც არ არის ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი ჩემი. მიბოძე ძალა, რომ ჩემი ლექსივით დავხვეწო და სრულვყო რომელიმე გოგონა ჩემს მოწაფეთაგან. და როცა ჩემი ბაგეები ვეღარ შეიძლებენ გალობას, იმ დროისთვის მის სულში ჩამატოვებინა ჩემი ყველაზე უფრო სულისშემძვრელი ჰანგი.

უფალო, დამანახვე, რომ ჩემს დროშიც ცოცხლობს შენი სახარება, რათა ყოველდღე, ყოველ წამს შეუსვენებლივ ვიბრძოლო მის დასამკვიდრებლად.

შენ გაუმარჯვე ჩემს სახალხო სკოლას, რათა მისმა ბრწყინვალებამ გზა გაუნათოს შენი ღატაკი, ფეხშიშველა ბავშვების გუნდს.





მე, სუსტ და ღარიბ ქალს, შემაძლებინე, რომ განვერიდო ყოველგვარ ძალმოსილებას, უწმინდური გზით მონიჭებულს; მიბოძე ძალა, რომ არ გავიკარო ძალაუფლება, რომელიც შენი ცხოველმყოფელი ნებით არ გადმოვა ჩემზე.

უფალო, იყავ ჩემი მეგზური და ჩემი საყრდენი.

ვიცი, ბევრჯერ დავრჩები მხოლოდ და მხოლოდ შენს ანაბარა. როცა უფრო დავხვეწ, რასაც ვასწავლი, როცა ჩემი სიმართლე უფრო მწველი გახდება, ვიცი, ყველანი შემომეცლებიან. მაშინ შენ ჩამიკრავ გულში: შენმა გულმა იცის მარტოობისა და მიუსაფრობის სიმწარე. მხოლოდ შენს მზერაში ვიპოვი სითბოს და მხარდაჭერას.

მიბოძე უბრალოება და მიბოძე სიღრმე. დამეხმარე, რომ ჩემი ყოველდღიური გაკვეთილები არც რთული იყოს, არც ერთფეროვანი.

ყოველ დილით, როცა ჩემი სკოლის კარს შევაღებ, შემაძლებინე, დავივიწყო ჭრილობები, მკერდზე რომ მატყვია; შემაძლებინე, რომ სამუშაო მაგიდასთან არ მიმყვეს ჩემი სადღეხვალიო საზრუნავი, გაუთავებელი წვრილმანი სატკივარი.

უფალო, სიმსუბუქე მიანიჭე ჩემს ხელს, როცა ბავშვს ვსჯი, და სინაზე შეჰმატე, როცა ვეფერები. შემრისხე კიდეც, ტკივილი მომგვარე, უსიყვარულოდ თუ დავტუქსავ.

შენ შემეწიე, უფალო, რომ ქვით ნაშენები ეგ ჩემი სკოლა სულიერად აშენდეს და აღორძინდეს; ჩემმა თავდაუზოგავმა შემართებამ მოიცვას მისი უბრალო დერეფნები და სადა საკლასო ოთახები; შემეწიე, რომ ჩემი გული დედაბოძად შეუდგეს სკოლის შენობას და ჩემი თავდადება მდიდრული სკოლების მოოქროვილ სვეტებზე უფრო ძლიერი ბურჯი და ჭეშმარიტი განძი გახდეს ჩემი სკოლისთვის.

ბოლოს კი, ველასკესის ერთი ფერგაცრეცილი ტილოს მეოხებით შემახსენე, რომ ამქვეყნად დიდი სიყვარულით ასწავლიდე, — ეს იგივეა, ჯვარცმული მაცხოვრისთვის ლონგინოზ ასისთავის მიერ ნაძგერები შუბით დაჭრილი და სიყვარულით ანთებული გულით მიატანო განკითხვის დღემდე.

ჯემალ კასრაძის ფოტო.

გიხაროდენ!

# გაიზარდოს!



ირმა მათეშვილმა და მისმა თანაკლასელებმა ამ 14 წლის წინათ დავამთავრეთ დედოფლისწყაროს პირველი სკოლა, მაგრამ დღემდე ვმეგობრობთ, ლხინსა თუ ჭირში ერთად ვართ. ირმამ ამ ერთი წლის წინათ არბოშიკელ დათო სეხნიაშვილს დაუკავშირა თავისი ბედი და ორივემ კარგი ქართული ოჯახი შექმნეს, ესეც აღვნიშნეთ თანაკლასელებმა.

ირმამ ახლახან, თბილისში, დავით ქორიძის სახელობის მე-4 სამშობიარო სახლში იმშობიარა, შეეძინა პირველი შვილი — ანი, თანაკლასელებმა ოჯახს მაშინვე მივულოცეთ გოგონას დაბადება. ასევე პაპასა და დიდედას ქუქუნა ნასრაშვილსა და სოსო მათეშვილს პირველი შვილიშვილის შეძნა მიულოცა დედოფლისწყაროს სახალხო ბანკის კოლექტივის სახელით მმართველმა ნანა ტოკლიკიშვილმა. შესვენებაზე ბანკში სახელდახელოდ გაშლილ სუფრაზეც აღინიშნა პატარა ანის დაბადება.

დედოფლისწყაროელები „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველები ვართ, ყოველთვის ინტერესით ვეცნობით რუბრიკით „გიხაროდენ“ დაბეჭდილ წერილებს. პატარა ანის მშობლები ირმა და დათო ძალიან ემადლიერებიან სამშობიარო სახლის სამედიცინო პერსონალს გულისხმიერებისა და კარგი მომსახურებისთვის.

გთხოვთ, ჩვენი სიხარული გაიზიაროთ.

**თანაკლასელთა დავალებით: მარიკა პოპიაშვილი, ქეთევან ბერუაშვილი, ელიკო ჯორკოშვილი.**

**დედოფლისწყარო.**

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

ცოტაც გავიღიმოთ...



— ნატაშა, გიხაროდენ, — დღეს ჩემი მშობლები თეატრში მიდიან.

— ღამის თევით?

* * *

— დედიკო, თუ ჩემი ძამიკო წერომ მოგიყვანათ, მე კომბოსტოში რატომ მიპოვეთ?

— იმიტომ, რომ ვერ მოგიტანა ჩვენამდე წერომ...

* * *

— რიგითო ივანოვ, რას ხატავ აქ?

— თვალსაჩინო აგიტაციის გაკეთება დამავალეს, ამხანაგო მაიორო...

— კარგი, ხატე, ხატე, გამიხდი რა შენც მოცარტი!

* * *

— თუ ძმა ხარ, იქნებ შენ მაინც მითხრა, როგორ ითარგმნება სწორად სიტყვები „I don't Know“? — ეკითხება მიხო ინგლისურიდან ცნობილ მთარგმნელს.

— „მე არ ვიცი“...

— შენც თუ არ იცი, აბა, ვინ იცის, ეს ოხერი ესა!

* * *

ჭიჭიკია და ბიჭიკია რესტორანში სხედან.

— ნახე, ბიჭო, რა მაგარი ნაშები სხედან იმ მაგიდასთან, ხომ არ გავეცნოთ? — ამბობს ჭიჭიკია.

— ნუ ჩქარობ, ჯერ დანახარჯი გადაიხადონ...

* * *

აუდიტორიის მიხურული კარებიდან მასწავლებლის შემპარავი ხმა ისმის:

— აბა, გოგონი, გაშალეთ ფეხები, ახლა ხელი მოკიდეთ ინსტრუმენტს და ფეხებს შუა ჩაიდეთ. კარგია, ძალიან კარგია... ახლა ნარნარად და ნაზად ამოძრავეთ — იქით-აქეთ, იქით-აქეთ. ძალიან კარგია. ოღონდ დაძაბული ნუ ხართ, მოდუნდით — ვიოლენჩელოს ძალდატანება არ უყვარს...

* * *

— რა ღირს თქვენთან ბავშვის დაბადების ფაქტის რეგისტრაცია? — კითხულობს ებრაელი მმაჩის ბიუროში.

— არაფერიც არ ღირს, უფასოა.

— ვაი, შენ კი დაგენაცვლე, მაშინ ტყუპისცალსაც გავატარებ რეგისტრაციაში...

მემკვიდრეობა

# ქვათა სამოთხეები

(მეოთხე გვერდიდან)

წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს კომპლექსის მთავარი ტაძარი — IX-XI საუკუნის წმ. გიორგის სახელობის კლდეში ნაკვეთი ეკლესია. მისგან დღეს მხოლოდ კონქი და საკურთხეველიღა შემორჩენილა, გარშემო არც ერთი კედელი აღარ არის, ცენტრში კი უშველებელი ლოდი გდია. ამ ლოდს ცალ მხარეზე ბათქაშის კვალი ემჩნევა, ოდესღაც ის ტაძრის ნაწილი ყოფილა. დიდი საკურთხეველი, რომლის კუთხეებშიც ჯერ კიდევ დგანან სვეტები, საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ, რამხელა იქნებოდა თავად ტაძარი. შთაბეჭდილება გამაოგნებელია. ის მცირე ნაშთებიც კი, რომელნიც დიდებული სამლოცველოსგან შემორჩენილა, მნახველს ატყვევებენ სიდიადითა და სიწმინდით, სპეტაკი მშვენიერებით, რომელშიც რაღაც მომნუსხველი ძალაა. იგი ხელ-ფეხს გიკრავს, მეტყველების უნარს გართმევს და გიმონებს. საკვირველია, მაგრამ აქ, არათუ გულჩვილები, ყველაზე მედგარი ადამიანებიც ვერ იკავებენ ცრემლებს, ალბათ იმიტომ, რომ ესოდენ მძაფრად შეიგრძნობენ ქვეყნის წარსულს. ასე გგონია, რომ ყველა გმირი წინაპრის სული ამ ფართოდ გაშლილ საოცარ ადგილას ტრიალებს.

დღეს ბევრმა არ იცის, როგორი ძვირფასი და მნიშვნელოვანია ეს კომპლექსი ჩვენთვის. ვანის ქვაბების ხუროთმოძღვრებაში აშკარად ჩანს კლდეში ნაკვეთ ადრეულ ქვაბთა თავისებურებანი, ამავე დროს იგი კლდის არქიტექტურის შუალედური ძეგლია, რომელმაც ვარძიის ხუროთმოძღვრულ ფორმებს ჩაუყარა საფუძველი.



ჭოლდა.

საოცარია პირდაპირ — ასეთი შესანიშნავი ძეგლი ხელიდან გვეცლება, ჩვენ კი ვერ ვშველით, წარმოიდგინეთ ვარძიის მსგავსი გამოქვაბულთა კომპლექსი, ოღონდ მიტოვებული და გავერანებული. იქ ყოფნისას ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს საკუთარი ქვეყნის მივიწყებულ, თვალებდათხრილ წარსულს ელაპარაკები. მტკივნეული წარმოსადგენია, რომ ერთ დღეს ეს ყველაფერი შეიძლება უკვალოდ გაქრეს, იმედია, ქართველები ამას არ დავუშვებთ და როცა ჩვენი სახელმწიფო წელში გაიმართება, ვანის ქვაბების რეკონსტრუქციის სურვილი და სახსრები გამოიძებნება.

აქ, ვანის ქვაბების ერთ-ერთ გამოქვაბულში კედლიდან ანკარა წყალი მოჟონავს და იქვე გუბდება, მერე გარეთ გამოდის და იკარგება. მის გარშემო, გამოქვაბულში სიმშვიდე და იდუმალება გამეფებულა. უცნაურია, როგორ გამოდის პიტალო კლდის მასივიდან წყალი. მაგრამ მღვიმის კედლებზე დაკიდებული წვეთები უფრო აქ მოღვაწე წმინდა მამების ცრემლებს გვანან.

რით შეგვიძლია დღეს ვანის ქვაბებს დავეხმაროთ? ალბათ, იმითვე, რითაც ჩვენი კულტურის ძეგლთა უმეტეს ნაწილს — არაფრით, ასეთი უსახსრობის ჟამს, როცა აშენებულიც თავზე გვენგრევა, ამ კომპლექსის გამოსუფთავებაზე, რეკონსტრუქციაზე და ტურისტულ ცენტრად ქცევაზე ოცნებაც არ შეიძლება. მაგრამ თუ დღეს ხელფეხი შეკრული გვაქვს და ვერაფრით ვერ ვეხმარებით, გვახსოვდეს მაინც, რომ მომავალში, როცა შესაძლებლობა გვექნება, მის ხელახალ სიცოცხლეზეც ვიფიქროთ. სწორედ ახლა, როცა ჩვენი ქვეყანა მსოფლიო ასპარეზზე გადის, აუცილებელია თითოეულმა ქართველმა კარგად გააცნობიეროს, რა სიმდიდრის პატრონები ვართ, რადგან თუკი მსოფლიო რუკაზე საქართველო მხოლოდ ერთი პატარა წერტილია, თავისი კულტურული მემკვიდრეობით მსოფლიოს ბევრ უმდიდრეს ქვეყანაზე მაღლა დგას.



გელსუნდა უძველესი ქვის კარი.

**სალომე ქოქიაშვილი,**
**შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი.**

გამოფენა

# ამ ნამუშევრებში კონტრასტულ პარიზს შეიცნობთ

**ექსპრომტ-ჩანახატებს პარიზის კაფეში ქმნიდნენ, პარიზის ქუჩებში ცოცხალ სიუჟეტებს ტილოზე რეალისტურად გადმოსცემდნენ... სახელოსნოში? ძალიან, ძალიან ბევრს მუშაობდნენ.**

ექსპოზიციებს პარიზის გალერეებში აწყობდნენ, პრესტიჟულ საგამოფენო დარბაზებში გალანტურობისა თუ ელეგანტურობის მაგნიტურ ქსელში მოქცეული ფრანგები ქართველ მხატვრებს შემდეგ ფრაზებს უძღვნიდნენ: **„ა ვოტრ სანტე“ — „გისურვებთ დღეგრძელობას“,** იტალიელები კი ფერწერულ ტილოებზე მიანიშნებდნენ: **„თუ გინდა თანამედროვე, კონტრასტული პარიზი შეიცნო, მაშინ ამ ნამუშევრებს უნდა გაეცნოო“.**

პოსტრევოლუციურ თბილისში, ამ ნამუშევრების „გაცნობა“ გალერეა „კოპალაშია“ შესაძლებელი... პერსონალურ ექსპოზიციაზე **სანდრო დალაქიშვილი** და **ნინო ფხალაძე** წარმოგვიდგენენ ფერწერულ პარიზს, ფრანგ ტიპაჟებს, სკულპტურული პაუზებით, მელანქოლოგიური შტრიხებით, რეალისტური პასაჟებით, ალეგორიული გადახვევებით... მარად ცოცხალი მოტივები დინამიკაშია მოქცეული და მსუბუქ ტონალობაშია გადაწყვეტილი — **„მზე წვიმის შემდეგ“, „მეჯლისი“, „ნატვრის ხე“, „სიმარტოვე“...** სევდანარევი სიყვარულის შთაგონებითაა გამჟღავნებული და გრაციოზული ხიბლითაა გამორჩეული — **„ნინიკო“, „სამი ფერია“, „მარგარიტა“**, იუმორისტული ელფერი დაჰკრავს ფერწერულ ტილოებს — **„ღიმილი ჩანგალზე“, „დილის ყავა“, „დილის ჩაი“...** ჟანრულ-საყოფაცხოვრებო საწყისებზეა აგებული — **„პარიზის კაფე“, „ზაფხულის დღე პარიზში“, „საღამო“, „ჩვენების წინ“...** ქალის შიშველი ნატურა კლასიკიდან მოდერნამდეა გააზრებული — **„ელზა“, „ქალი წითელზე“...**



ამ ნოვატორული და ექსპრესიული გამოფენის გარემოცვაში სიურრეალისტი მხატვარი რამაზ რაზმაძე იცით, რას მეტყვის?

**— „არაჩვეულებრივი გამოფენაა, ფანტასტიკური... თბილისში ასეთი ექსპოზიციებით არა ვართ განებივრებული. ამ ნამუშევრებით აშკარაა მხატვართა შესრულების კულტურა, მაღალი ოსტატობა, ძლიერი ტექნიკა. ეს არის ახალი ხედვა მხატვრობაში — ევროპული სკოლა, რომელიც ეხმაურება რეალიზმის ნატიფ გამოვლინებას და ფრაგმენტულად გადადის სიურრეალიზმში. მე ნინოს და სანდროს ხელწერას ვირტუალური სამყაროდან — ინტერნეტიდან ვიცნობ, მაგრამ ამჯერად, ცოცხალმა ტილოებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა“.**

ეს გამოფენა კლასიკისა და მოდერნის ერთგვარი სინთეზია, რომელიც დროსა და სივრცეში ესთეტიკური მიმართულებით მკვიდრდება... ამ ტილოებით აშკარად ჩნდება მხატვართა ფრთხილი დამოკიდებულება არა მხოლოდ ხელოვნებისადმი, არამედ გარესამყაროსადმი.

ნინოს და სანდროს ინტერესთა სფერო ისევე არ არის რადიკალურად განსხვავებული, როგორც მათივე ხელწერა, მანერა... უცხო თვალისთვის მათი ნამუშევრები ერთიმეორის მსგავსია, გარჩევა ძნელია, ანუ შემოქმედებითი ურთიერთგავლენა ცხადია.

**— „მართალია, ეს დასავლური მხატვრობაა, მაგრამ ხელოვნებას ხომ ეროვნულობა არ გააჩნია. მას შეიძლება ეროვნული საფუძველი ჰქონდეს, მაგრამ ვიწრო ჩარჩოებში არ მოექცეს. აქ წარმოდგენილი ნამუშევრები კომპოზიციურად კარგად არის გააზრებული, აქ ფერთა შეთანხმება თანამედროვედ არის დაცული. ძალიან საინტერესოა პარიზული მოტივები, რომლებიც განსხვავებული ხედვით არის წარმოდგენილი, პორტრეტული ჟანრი კი მრავლისმეტყველია, გამომსახველია... აქ ადამიანთა ხასიათი, ცხოვრება ჩანს“.**



— შთაბეჭდილებებს მიზიარებს მხატვარი ზურაბ სამხარაძე.

გალერეა „კოპალაში“ სანდრო დალაქიშვილისა და ნინო ფხალაძის ერთობლივი პერსონალური ექსპოზიცია 24 სექტემბრამდე გაგრძელდება.

**მზექა მახარაძე.**

**სურათებზე: სანდრო დალაქიშვილი და ნინო ფხალაძე; ნინო ფხალაძის ნამუშევარი „ნატვრის ხე“.**

ჯემალ კასრაძის ფოტო.

**დღის კალენდარი 22 სექტემბრისთვის**

☼ ამოდის 06.47, ჩადის 18.58

☾ ამოდის 14.02, ჩადის 22.19

**წლის 266-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 100 დღე.**

## საეკლესიო კალენდარი

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის შემდგომი დღესასწაული. წმიდათა და მართალთა მშობელთა ღვთისმშობლისათა იოაკიმ და ანნასი. მოწამე სევერიანესი (320); ღირსი თეოფანე აღმსარებლისა (დაახლ.300); მოწამე ხარიტონისა და სტრატონიკესი; ნეტარი ნიკიტა კონსტანტინეპოლელისა (XII); პოვნა და აღმოყვანება ნაწილთა წმიდა თეოდორე ჩერნიგოველ მთავარეპისკოპოსისა (1895). მესამე მსოფლიო კრების ხსენება (431).

## დაიბადნენ:

**1907 — ალექსანდრე გომელაური,** მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი.

**1920 — ვლადიმერ ჭავჭანიძე,** ფიზიკოს-თეორეტიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

**1942 — ხასან ინაიშვილი,** მხატვარი

**1900 — სერგეი ოჟეგოვი** — ენათმეცნიერი, „რუსული ენის ლექსიკონის“ შემდგენელი.

**1791 — მაიკლ ფარადეი,** ინგლისელი ფიზიკოსი და ქიმიკოსი, ელექტრომაგნიტური ველის შესახებ მოძღვრების ფუძემდებელი.

**1811 — ფერენც ლისტი,** უნგრელი კომპოზიტორი, დირიჟორი, პიანისტი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე.

## გარდაიცვალნენ:

**1864 — გიორგი ერისთავი,** დრამატურგი, პოეტი, თეატრის მოღვაწე.

**1921 — ივანე ვაზოვი**, ბულგარელი მწერალი.

**1972 — ბორის ლივანოვი,** რუსი კინომსახიობი.

**1985 — აქსელ შპრინგები**, გერმანელი გამომცემელი.

**2001 — ისააკ შტერნი,** ვიოლინოს მაესტრო.

## მოვლენები

**1762 წელი** — ეკატერინე II დედოფლად აკურთხეს.

**1792 წელი** — საფრანგეთი რესპუბლიკად გამოცხადდა.

**1862 წელი** — აშშ-ს პრეზიდენტმა ლინკოლნმა მიიღო დეკლარაცია მონობის გაუქმების შესახებ.

**1910 წელი** — თვითმფრინავის პირველი გაფრენა ინგლისში.

**1949 წელი** — ააფეთქეს პირველი საბჭოთა ატომური ბომბი.

**1966 წელი** — თანამგზავრი „შურვეყორ 2“ მთვარეზე დაჯდა.

**1980 წელი** — სასაზღვრო კონფლიქტი ირანსა და ერაყს შორის გადაიზარდა ფართომასშტაბიან ბრძოლაში.

## ღირსსახსოვარი დღეები:

**ტაჯიკეთი** — შემოდგომის ბუნიობის დღე.

**მალი** — დამოუკიდებლობის დღე.

**ბულგარეთი** — ეროვნული დღესასწაული.

**ყაზახეთი** — ყაზახეთის ხალხთა ენების დღე.

„მედია-ნიუსი“.

მშობლები ტატიანა, ვაჟა ნათელაშვილები, შვილები ალექსანდრე, ლუკა, იულია ოჯახით, და ნატო, ბიძა ილია, სიძე ზურაბ გიგიაძე, სიდედრი ირინა დემჩინსკაია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გიორგი ვაჟას ძე ნათელაშვილი

პანაშვიდი 23, 24, IX, 17 სთ. დაკრძალვა 25, IX, 14 საათზე. მისამართი ქ. თბილისი, ცაბაძის 1 კორპუსი, II სადარბაზო, მე-8 სართული, ბ. 66.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
გამომცემელი შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები.
მთავარი რედაქტორი **რუსლან რუსია.**
ნომრის მორიგე რედაქტორი **ანზორ ბასილაია.**

**ინდექსი 66434,** მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge
ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika